გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

№36 (300)

# ქართული სიტყვა

9 - 15 სექტემბერი 2015 წ.

ფასი 1 ლარი

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა



მე-2-3 გვ.

## იგორ გიორგაძის კადრები სამხედრო კონტრდაზვერვაში

„თუ თვლიდნენ, რომ „ნაცმოძრაობა“ დანაშაულებრივი რეჟიმი იყო, მაშინ დანაშაულებრივ რეჟიმთან კოჰაბიტაცია დანაშაულის დაფარვას ნიშნავს და მეტს არაფერს. მეტიც, ისიც დამნაშავეა, ვინც დამნაშავეს ხელს აფარებს.“

## გენერალი ნაირაშვილი მოხსნეს?! – რეაგირება „ქართულ სიტყვაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუზე

## „კლანური ხედვების მსხვერპლი გავხდი!“




სკანდალური ინტერვიუ ივანიშვილის გადაცემის ყოფილ წამყვანთან

„ივანიშვილის იდეების განხორციელების ხელშეშლა, დამახინჯება და დისკრედიტაცია მიზანმიმართულად ხდება... რატომ ენდობა ივანიშვილი იმ ადამიანებს, რომლებიც მის დისკრედიტაციას ახდენენ და მის იდეებს ამახინჯებენ? – არ ვიცი, ამაზე პასუხი არ მაქვს...“

## თამარ სანიკიძეს სასამართლოში უჩივლეს




მე-10-11 გვ.

## დიდი კინკლაობა უმრავლესობაში

### მეჭიაურ-„რესპების“ სკანდალი კოალიციას დაშლის?

„ბიძინა ივანიშვილის მიმართ ჩვენი პარტიაც დიდი მადლობელია, რომ დაგვეხმარა და კოალიციაში შესვლა პირველად ჩვენ შემოგვთავაზა. პირადად მეც დიდი მადლობელი ვარ იმიტომ, რომ ძალიან დამეხმარა და მაშინ, როცა საზღვარგარეთ სერიოზული მკურნალობა დამჭირდა, გვერდში დამიდგა. რაც უნდა მოხდეს და სადაც უნდა წავიდე, ეს არასოდეს დამავიწყდება და პიროვნულად ყოველთვის მადლობელი ვიქნები, მაგრამ... აუცილებელი არაა, იმ ერთ ადამიანს ყველაფერს უჯერებდე. მამაჩემიც ძალიან მიყვარდა, მაგრამ ყველაფერს არ ვუჯერებდი.“

## „ერთი ნაჭერი კარაქი ჩამოვაჭერი და რძალმა მისაყვედურა, რატომ ჭამ, ბავშვებისააო“




## წერილი, რომელიც გუგული მაღრაძემ აუცილებლად უნდა წაიკითხოს!

ქალბატონ მაღრაძეს ამ წერილის წაკითხვა, როგორც იტყვიან, დღეში სამჯერ უნდა „მიესაჯოს“. და რატომ, გუგული მაღრაძე? – იმიტომ, რომ ინგა გრიგოლიას „რეაქციაში“, რომელიც ქალბატონ მაღრაძეს, თურმე, არ მოსწონდა და მისი დახურვით არც გული დასწყვეტია, დეპუტატმა მაღრაძემ გარემო მოვაჭრეები მენტორულად დამოძღვრა, რას წუწუნებთ, მეც ვმუშაობ და თქვენზე არანაკლებ ვიღლები, თან შემოსავალი ყველას თავისი ცოდნის და შესაძლებლობების შესაბამისი აქვსო! ქალბატონო გუგული, რატომ გგონიათ, რომ სხვას თქვენზე ნაკლები განათლება ან კომპეტენცია აქვს? უბრალოდ, ის სხვები, თქვენს მსგავსად, საჭირო დროს საჭირო ადგილას ვერ მოხვდნენ... ის სხვები არც საააკაშვილის დედის დაქალები ყოფილან, რომ მერე მისთვის ზურგი ექციათ...

ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

# იგორ გიორგაძის კადრები სამხედრო კონტრდაზვერვაში

# გენერალი ნაირაშვილი მოხსნეს?! — რეაგირება „ქართულ სიტყვაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუზე



**7 სექტემბერს, ქართულმა საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსმა“ საინტერესო „ნიუსი“ გაავრცელა, რომლის თანახმადაც, „მიხეილ სააკაშვილის უკრაინის პრემიერად დანიშვნის პეტიციას ხელი საკმარისზე მეტმა ადამიანმა მოაწერა“. სააგენტოს ცნობითვე, პეტიცია პირველ სექტემბერს უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდა. „საჭირო იყო 25 000 ხელმომწერი, თუმცა ინიციატივას უკვე 25 900-მდე მხარდამჭერი ჰყავს. კანონის მიხედვით, უკრაინის პრეზიდენტი ვალდებულია, აღნიშნული ინიციატივა მომდევნო 10 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილოს. ბოლო პერიოდში ხშირადაა საუბარი მიხეილ სააკაშვილის უკრაინის პრემიერად დანიშვნის შესახებ, თავად საქართველოს ექსპრეზიდენტმა კი, რამდენიმე ადგილობრივ მედიასაშუალებასთან განაცხადა, რომ მის ინტერესებში აღნიშნული პოსტის დაკავება არ შედის“, — წერს „ინტერპრესნიუსი“... იმ შემთხვევაში, თუკი სააკაშვილი უკრაინის პრემიერი მართლა გახდა, რა შეიცვლება ოფიციალურ კიევსა და ოფიციალურ თბილისს შორის? — „ქართულმა სიტყვამ“ უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკთან, უსაფრთხოების ექსპერტ კონსტანტინე ფორჩხიძესთან საუბარი სწორედ ამ თემით დაიწყო. სხვათა შორის, ფორჩხიძის სკანდალური ინტერვიუების ციკლს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. „ქართული სიტყვა“ მზადაა, სურვილის შემთხვევაში, ტრიბუნა მეორე მხარესაც დაუთმოს და ყველა ის შეკითხვა დასვას, რასაც ქართველი სპეცსამსახურელი წელიწადზე მეტია, სვამს!**

**— ბატონო კოტე, თუკი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის პრემიერი მართლა გახდება, ამით რა პოლიტიკურ, ასე ვთქვათ, გადათამაშებას მივიღებთ?**

— არანაირი გადათამაშება, უბრალოდ, სააკაშვილი ქართულ პოლიტიკურ სივრცეს საბოლოოდ ჩამოსცილდება.

**— არ გეთანხმებით, რამეთუ უკრაინა საქართველოს ერთ-ერთი პარტნიორია...**

— მერე, რა?! თუკი უკრაინის პრემიერი გახდა, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ სააკაშვილი საქართველოში დაბრუნებასა და აქ მაღალ თანამდებობაზე უარს საბოლოოდ იტყვის.

**— ვთქვათ, ასეა, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა პრემიერი ჩვენი სამართალდამცავებისგან ძებნილი პირი იქნება, საქართველოსა და უკრაინის კეთილმეზობლობა როგორ წარმოგიდგენიათ?**

— ჩვეულებრივად... მერე რა, რომ სააკაშვილი პრემიერი გახდება? უკრაინა საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, შესაბამისად, მთავრობის მეთაურიც პრეზიდენტია და პრემიერობა არაფერს ნიშნავს. ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ პოლიტიკური დატვირთვა ექნება.

**— ვისთვის?**

— სააკაშვილი ამით ხაზს გაუსვამს, რომ საქართველოში დიდი თანამდებობის დაკავება აღარ აინტერესებს.

**— ნება მომეცით, თქვენი შეფასება არ გავიზიარო, მით უმეტეს, რომ ყველაფერი ასე მარტივად არ მგონია...**

— ყველაფერი მარტივი გენიალურია...

**— კი ბატონო, მაგრამ გახსოვთ, კოტე ბატონო, ადრე ამბობდით, სააკაშვილს მალე უკრაინიდან გამოაძევებენო...**

— ახლაც ამავე აზრზე ვარ და ვიმეორებ, რომ სააკაშვილს უკრაინაში პრობლემები შეექმნება.

**— ადამიანს პრემიერად ამზადებენ და ესაა „პრობლემების შექმნა?**

— ჯერ კიდევ საკითხავია, გახდება თუ არა... სხვათა შორის, თავის დროზე ვთქვი, სააკაშვილი, როგორც კი საფრთხეს იგრძნობს, მაშინვე უკრაინის მოქალაქეობას მიიღებს-მეთქი. თუკი ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებდა, კიდევ ექნებოდა შანსი, რომ ვთქვათ, საქართველოს პრემიერი გამხდარიყო, მაგრამ ამის ნიშნები არ ჩანს... ისე, თუკი ჩვენი ხელისუფლება საქართველოს მოქალაქეობას შეუწყვეტს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ყველა სისხლის სამართლებრივი დევნა, რაც კი სააკაშვილის მიმართ არსებობს, ან შეიძლება, მომავალში დამდგარიყო, პრაქტიკულად, შეწყდება.

აქვე, საგულისხმოა მეორე მომენტიც: არ ვიცი, ის, რასაც ახლა ვიტყვი, რამდენად მნიშვნელოვანია, მაგრამ მოქალაქეობის შეწყვეტით, მიშა „ნაცმოძრაობას“ სამართლებრივად დაკარგავს, რამაც „ნაცმოძრაობას“ შესაძლოა, რებრენდინგის საშუალება მისცეს. ისე, არასოდეს მითქვამს, რომ ყოფილი მმართველი პარტია სრულად უნდა გაქრეს, მით უმეტეს, მისი პროდასავლური ფრთა...

**— ყველაფერ ამის ფონზე, ვიცე-პრემიერისა და ენერგეტიკის მინისტრის, კახი კალაძის განცხადება, კოჰაბიტაცია „ოცნების“ ყველაზე დიდი შეცდომა იყოო, რას ნიშნავს?**

— ეს საკვანძო განცხადებაა.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ამ შეცდომას თავის დროზე უნდა მიმხვდარიყვნენ, ანუ თუ თვლიდნენ, რომ „ნაცმოძრაობა“ დანაშაულებრივი რეჟიმი იყო, მაშინ დანაშაულებრივ რეჟიმთან კოჰაბიტაცია დანაშაულის დაფარვას ნიშნავს და მეტს არაფერს. მეტიც, ისიც დამნაშავეა, ვინც დამნაშავეს ხელს აფარებს. ამას თავის დროზეც ვამბობდი და სატელევიზიო განცხადებებიც მაქვს გაკეთებული, რომ კოჰაბიტაციაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. თუკი კოჰაბიტაციაზე ლაპარაკობდნენ, მაშინ უნდა ეთქვათ, „ნაცმოძრაობა“ რეჟიმი არ იყო და სათანადო მასალებიც არ გაგვაჩნია, რომ „ნაცმოძრაობის“ ცალკეულ წევრებზე დევნა გამოვაცხადოთო. ამ განცხადებას ახლა, ალბათ, იმიტომ აკეთებენ, რომ საჯარო სამსახურში, ძირითადად, ძალოვანებში არსებული „ნაცმოძრაობის“ ნარჩენები მოიცილონ. ისე, „ნაცმოძრაობის“ გამოზრდილი კადრები ცესკო-შიც არიან, მათ შორის, ბევრი პროფესიონალია, მაგრამ ალბათ, ფიქრობენ, რომ ამ ხალხისგან გაწმენდა „ქართულ ოცნებას“ უფრო გააკეთილშობილებს და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ კარგ სასტარტო პირობებს შეუქმნის, მაგრამ ეს არჩევნების წინ კი არა, თავის დროზე უნდა გაეკეთებინათ.

**— არსებობს მოსაზრება, რომ კოჰაბიტაცია დასავლეთის დაჟინებული მოთხოვა იყო...**

— დასავლეთი რა შუაშია? 2013 წლამდე პრეზიდენტი ყოფილი მმართველი გუნდის წარმომადგენელი იყო და, ბუნებრივია, ხელისუფლებაში ორხელისუფლებიანობა არსებობდა, რაზეც თავის დროზე ვთქვი, ეს კარგს არც ქვეყანას მოუტანს და არც — ხელისუფლებას-მეთქი.

**— უკაცრავად და, ხელისუფლებას რა უნდა გაეკეთებინა, პრეზიდენტს ხომ ვერ გადააყენებდა?**

— ვერ გადააყენებდა, მაგრამ „ოცნებას“ რეალობა უნდა გაეთვალისწინებინა.

**— რომ გაითვალისწინა, დღის წესრიგში კოჰაბიტაცია ამიტომაც დადგა...**

— დიახ, კოჰაბიტაცია იძულებული ნაბიჯი იყო, მაგრამ როცა ასეთი რეალობის წინაშე დგახარ, უნდა თქვა, კოჰაბიტაციაზე ამ და ამ მიზეზით მივდივართ.

სხვათა შორის, დღესაც ორხელისუფლებიანობაა.

**— ეს როგორ?**

— როგორ და, — საპარლამენტო ხელისუფლებაში ორი დიდი ძალაა, ანუ „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლების მხოლოდ აღმასრულებელი შტოდან წავიდა, საკანონმდებლოში კი, დარჩა.

**— შეცდომა კოჰაბიტაცია კი არა, ეგებ, ის იყო, რომ „ნაციონალების“ „ოცნებაში“ პორტირება მოხდა?**

— რა თქმა უნდა. შენ თუ შენი გუნდით მოდიხარ და მზად ხარ, რომ ხელისუფლება ხელში აიღო, „ნაცმოძრაობის“ ათასჯერ პორტირებული კადრები არ უნდა გჭირდებოდეს. „ოცნებაში“ სწორედ ის „ნაციონალები“ „გადაპორტირდნენ“, რომლებიც თავის დროზე „მოქკავშირში“ იყვნენ, მერე კი, — „ნაცმოძრაობაში“, თორემ მაგალითად, გიგა ბოკე-

გაგრძელება მე-3 გვ.

„თუ თვლიდნენ, რომ „ნაცმოძრაობა“ დანაშაულებრივი რეჟიმი იყო, მაშინ დანაშაულებრივ რეჟიმთან კოჰაბიტაცია დანაშაულის დაფარვას ნიშნავს და მეტს არაფერს. მეტიც, ისიც დამნაშავეა, ვინც დამნაშავეს ხელს აფარებს. ამას თავის დროზეც ვამბობდი და სატელევიზიო განცხადებებიც მაქვს გაკეთებული, რომ კოჰაბიტაციაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. თუკი კოჰაბიტაციაზე ლაპარაკობდნენ, მაშინ უნდა ეთქვათ, „ნაცმოძრაობა“ რეჟიმი არ იყო და სათანადო მასალებიც არ გაგვაჩნია, რომ „ნაცმოძრაობის“ ცალკეულ წევრებზე დევნა გამოვაცხადოთო. ამ განცხადებას ახლა, ალბათ, იმიტომ აკეთებენ, რომ საჯარო სამსახურში, ძირითადად, ძალოვანებში არსებული „ნაცმოძრაობის“ ნარჩენები მოიცილონ. ისე, „ნაცმოძრაობის“ გამოზრდილი კადრები ცესკო-შიც არიან, მათ შორის, ბევრი პროფესიონალია, მაგრამ ალბათ, ფიქრობენ, რომ ამ ხალხისგან გაწმენდა „ქართულ ოცნებას“ უფრო გააკეთილშობილებს და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ კარგ სასტარტო პირობებს შეუქმნის, მაგრამ ეს არჩევნების წინ კი არა, თავის დროზე უნდა გაეკეთებინათ“.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

9-15 სექტემბერი 2015 | № 36 (300)



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა




მე-2 გვერდიდან

რიას პორტირება არასოდეს მოხდება.

**— სხვათა შორის, საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი, ძალიან დიდი ხნის წინ, თუ არ ვცდები, „ახლების“ წევრი იყო. ისე, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებას, ევრაზიასთან მჭიდრო კონტაქტი უნდა დავამყაროთო, „ნაციონალებისგან“ დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. მიამიტურად გკითხავთ, ბატონო კოტე, ევრაზია ევრაზიული კავშირია?**

— (იღიმება) რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ევრაზიის შუაწერტილში ვცხოვრობთ, სადაც ევროპისა და აზიის საზღვარი გადის. ამიტომ, ჩვენთვის აზიაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც — ევროპა. თუკი ოპოზიციის ლოგიკას გავყვებით, მაშინ რეგიონალურ თანამშრომლობასა თუ აზერბაიჯანთან ურთიერთობაზეც უარი უნდა ვთქვათ.

მოკლედ, ევრაზიულ სივრცესთან თანამშრომლობა ევრაზიულ კავშირში შესვლას არ ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, არ მგონია, რომ გიორგი კვირიკაშვილი ამას გულისხმობდა. „ნაცმოძრაობის“ მესმის — ხელისუფლების კრიტიკა პოლიტიკური „ტრიუკია“, თუმცა საქმით გამოჩნდება, კვირიკაშვილი რას გააკეთებს.

**— ბატონო კოტე, თქვენი აზრით, კვირიკაშვილს, რომელსაც დიპლომატიური გამოცდილება არ აქვს, საგარეო საქმეთა სამინისტრო რა ნიშნით ჩააბარეს?**

— ალბათ, იმ ნიშნით, რომ ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული და ნდობით აღჭურვილი კადრია. მართალია, დიპლომატი არაა, მაგრამ კომუნიკაბელური პიროვნებაა, რომელიც საშუალებას მისცემს, რომ ამ უწყების ხელმძღვანელი იყოს.

**— სხვათა შორის, კვირიკაშვილი მინისტრთა კაბინეტში, მგონი, ერთადერთია, რომელსაც დიდი პოლიტიკური ბეგრაუნდი აქვს...**

— დიახ... ბევრი მინახავს, ვისაც დიპლომატიური გამოცდილება არ ჰქონია, მაგრამ პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, კარგი დიპლომატი გამხდარა. კვირიკაშვილის შემთხვევაშიც, შეიძლება, ასე მოხდეს და ვთვლი, რომ ბოლო დროს ეს ხელისუფლების ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა.

**— გიორგი კვირიკაშვილისთვის საგარეო უწყება ხომ შეიძლება, ადრეც ჩაებარებინათ?**

— შეიძლებოდა, მაგრამ ახლა პროცესი ძალიან გართულებულია — საგარეო კუთხით ბევრი პრობლემაა. კვირიკაშვილს კომუნიკაციის დამყარება ოპოზიციის პროდასავლურ ფრთასთან, მაგალითად, ირაკლი ალასანიასთან შეუძლია. ასევე, შეუძლია, პრეზიდენტთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდეს და ეს მნიშვნელოვანია, რადგან პრეზიდენტი, კონსტიტუციით, სახელმწიფოს პირველი პირია. კვირიკაშვილს სამოქალაქო სექტორთანაც კარგი ურთიერთობა აქვს, რაც ქვეყანას წაადგება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ კვირიკაშვილს პრემიერთანაც კარგი ურთიერთობა აქვს და, საგარეო საქმეთა მინისტრობის გარდა, ვიცე-პრემიერიცაა. ყველაფერ აქედან გამომდინარე, ეს კარგი გადაწყვეტილებაა...

**— რამეთუ სიტყვა საგარეო პოლიტიკაზე ჩამოვარდა, აქვე, ერთ სკანდალსაც შევეხოთ — საქართველოში მოქმედი რუსული სკოლების სახელმძღვანელოებში ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკებადაა მოხსენიებული.**

— ითქვა, რომ ეს კერძო შემომტანის ბრალია...

**— შეუძლებელია — განათლების სამინისტრო სახელმძღვანელოებს, დაბეჭდვამდე, როგორც ვიცი, ვიზირებას აძლევს...**

— მეც ასე ვიცი...

**— შესაბამისად, ბატონო კოტე, ვფიქრობ, საქმე ქვეყნის უსაფრთხოებასთან გვაქვს და თქვენ, როგორც უსაფრთხოების ექსპერტი, არ თვლით, რომ განათლების მინისტრისა და სხვა მაღალჩინოსანთა პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?**

— მართალია, ეს პოლიტიკური მესიჯია, მაგრამ ვიდრე არ გაირკვევა, რეალურად რა მოხდა, მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, არ მგონია, მართებული იყოს.

საერთოდ, ეს დივერსიის ერთ-ერთი სახეა და ათასჯერ მითქვამს, რუსეთს მსგავსი მცდელობები ექნება-მეთქი...

**— ალბათ, ისიც დივერსიაა, რომ გალის რაიონის სკოლებში ქართულად სწავლა აიკრძალა...**

— დიახ და ამის შესახებ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ განვაცხადე. ყველაფერი ეს რუსეთის გენერალური ხაზია — კრემლის მთავარი მიზანია, საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას შეაგუოს, მაგრამ მთავარი ესეც არაა.

**— აბა, რა არის?**

— ვანო, თუ გახსოვთ, წინა ინტერვიუებში აღვნიშნე, რუსეთი საქართველოს დღევანდელ რეალობაში პირდაპირ არ ჩაერევა და უფრო აზერბაიჯანისკენ გადაერთვება-მეთქი. ეს პროგნოზიც დადასტურდა — პირველ სექტემბერს ბაქოში ლავროვი ჩავიდა, პრეზიდენტ ალიევს შეხვდა და ორმხრივი თანამშრომლობის პროექტებზე ისაუბრეს. მთავარი აქცენტი კი, ენერგომატარებლებზე გაკეთდა, ანუ რუსეთი აზერბაიჯანის დაყოლიებას ცდილობს... სხვათა შორის, აზერბაიჯანი „ეს-ენ-გე“-ს წევრია და კრემლი ოფიციალურ ბაქოს ისეთ პროექტში რთავს, რომელიც უშიშროების საკითხებს ეხება. „ეს-ენ-გე“-ს მასშტაბით, უშიშროების საკითხებს ე.წ. მინსკის ჯგუფი განიხილავს.

ლავროვის ბაქოში სტუმრობა მოსამზადებელი ნაბიჯი იყო — ალბათ, ბაირამობას, აზერბაიჯანში პუტინიც ჩავა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მესიჯი იქნება.

**— რატომ?**

— პუტინი კავკასიაში დიდი ხანია, არ ყოფილა და მისი აქ ჩამოსვლა მესიჯი მხოლოდ თურქეთისთვის კი არა, აშშ-სთვისაცაა, ანუ აზერბაიჯანთან ურთიერთობის დათმობით თავის პროგრამა მინიმუმს ამოწურავს და თავის გეოსტრატეგიულ წრეს — რუსეთი-აზერბაიჯანი-ირანი შეკრავს, რითაც სპარსეთის ყურეს მთლიანად ჩაკეტავს და იმ ეკონომიკურ ნაკადებს გააკონტროლებს, რომლებიც შორეული აღმოსავლეთიდან ევროპისკენაა მიმართული.

**— თეორიულად, შეგვიძლია, დავუშვათ, რომ პუტინი შესაძლოა, საქართველოშიც ჩამოვიდეს?**

— ეს გამორიცხულია, თუმცა გაერო-ში შესაძლოა, პუტინისა და პოროშენკოს შეხვედრა შედგეს. ვერ ვიტყვით, რომ ეს ოფიციალური შეხვედრა იქნება, პუტინსა და პოროშენკოს შორის ე.წ. კულუარული დიალოგი, ალბათ, გაიმართება.

**— და ყველაფერი ეს იმ ფონზე ხდება, როცა გაერო-ს უშიშროების საბჭო რუსეთმა გადაიბარა...**

— დიახ, გაერო-ს უშიშროების საბჭოს უკვე ჩურკინი ხელმძღვანელობს. ამავე კონტექსტში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აზერბაიჯანი გაერო-ს უშიშროების წევრი ქვეყანა ახლახან გახდა... ჩურკინმა განაცხადა, რომ მისთვის პრიორიტეტული ჩრდილოეთ აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი იქნება, ანუ ეს ნიშანია, რომ დღის წესრიგში „აი-სი-სი“-სთან დაკავშირებული პრობლემატიკის მოგვარება დადგება.

**— ისე, ცოტა უცნაურია, რომ სირიელი დევნილები ევროპას მიაწყდნენ და არა, ვთქვათ, არაბულ ქვეყნებს. არსებობს მოსაზრება, რომ ყველაფერი ეს „ისლამური სახელმწიფოს“ ხრიკია — ევროპაში საკუთარ ტერორისტებს აპარებს...**

— ამის გამორიცხვა არ შეიძლება...

სხვათა შორის, აზერბაიჯანის საკითხი დევნილების თემას პირდაპირ უკავშირდება.

**— როგორ?**

— არ მგონია, ოქტომბერში ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ახალი არტერია გაიხსნას, ეს რუსეთის ინტერესებში არ შედის და ასე გააქტიურებულიც ამიტომაა, ანუ ცდილობს, ამ არტერიის სამართავი სადავეები თვითონ ჩაიგდოს. ისე, ამ არტერიას, თუკი ამოქმედდა, ადრე თუ გვიან, სომხეთიც შეუერთდება და ამით ევროპასთან ურთიერთობას გაიუმჯობესებს. საერთოდ, რკინიგზა ბევრ რამეს ნიშნავს და მისი ამოქმედება პირდაპირ რუსეთს დაარტყამს. ქურთისტანის მუშათა პარტიაც სწორედ ამიტომ გააქტიურდა.

სხვათა შორის, წინა ინტერვიუში აღვნიშნე, რომ ამერიკელებმა და თურქებმა ხელი აეროპორტების ერთობლივ გამოყენებას მოაწერეს, რასაც სირიაში დაბომბვები მოჰყვა. ასევე, თურქეთის წინააღმდეგ მძაფრი განცხადებები ბაშარ ასადმაც გააკეთა. ასადის განცხადებები რუსულ ინტერესში ზის. მოკლედ, რუსეთი ცდილობს, ვიდრე გარეო-ს უშიშროების საბჭო მის ხელშია, სიტუაცია მაქსიმალურად დაძაბოს და საერთაშორისო საზოგადოებას დარეგულირების საკუთარი გეგმა შესთავაზოს, სადაც წამყვანი იქნება, ანუ რეგიონში ინტერესებს გაიმყარებს და თავის გეოსტრატეგიულ ამოცანასაც გადაწყვეტს.

მოკლედ, ძალიან რთული ვითარებაა და კიდევ ვიმეორებ, რუსეთი საქართველოში პირდაპირი პრობლემების გაჩენას არ დაიწყებს, აზერბაიჯანის საკითხის მოგვარებას შეეცდება და ამით, პრაქტიკულად, საქართველოსაც მიიბამს.

**— ის, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი რუსეთი გახდა, ჩვენზე როგორ აისახება?**

— როგორ და, — მაგალითად, რეზოლუციები, რომლებიც საქართველოს შეეხება, პრობლემატური გახდება.

**— ანუ, საერთაშორისო არენაზე ჩვენი პოზიციების დაცვა გაგვიჭირდება?**

— ამ შემთხვევაში, გაერო-ს ტრიბუნაზეა ლაპარაკი...

რუსეთს თავისი გეგმების განსახორციელებლად სწორედ გაერო-ს მანდატი სჭირდება და დროც კარგად შეარჩია.

**— ანუ?**

— რუსეთზე გავიძახით, მისი დიპლომატია ხისტიაო, მაგრამ ძალიან ძლიერი ანალიტიკური სამსახურები აქვს, რომლებიც ყველაფერს კარგად თვლიან და იციან, რა დროს რა გადაწყვეტილებები მიიღონ. დიახ, კრემლი ელოდა, გაერო-ს უშიშროების თავმჯდომარე გამხდარიყო და გაერო-ში პუტინი სწორედ ამის მერე ჩასულიყო...

ისე, გაჭირვების მიუხედავად, რუსეთმა აზერბაიჯანში შეიძლება, მილიარდები ჩადოს.

**— ინვესტიციების სახით?**

— დიახ. ალიევის მდგომარეობაც გასაგებია — რაღაც საკითხებით, ერთის მხრივ, თურქეთზეა დამოკიდებული, მეორეს მხრივ კი, გარანტია უნდა, რომ მუდმივად პრეზიდენტი იყოს. ამ გარანტიას კი, თურქეთი ვერ მისცემს. ამიტომ, შეიძლება, რუსეთის შეთავაზებას დასთანხმდეს, რითიც აზერბაიჯანისა და თურქეთის ურთიერთობა გაფუჭდება.

**— მაშასადამე, სახეზე ახალი „ცივი ომია“?**

— დიახ, ასეა და ახალი „ცივი ომი“ ახალო აღმოსავლეთით დაიწყო.

**— რაც შეეხება საშინაო ამბებს, ბატონო კოტე, როგორც ვიცი, თქვენს ბოლო განცხადებებს რეაგირება მოჰყვა, მაგალითად, ამბობთ, რომ ნაირაშვილი გაათავისუფლეს...**

— გათავისუფლების ბრძანება არ მინახავს, მაგრამ ასეა... გენერალი ნაირაშვილი გენშტაბის უფროსის ყოფილი მოადგილეა, რომელიც ვანო მერაბიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი გახლდათ. ასევე, „ორი ტრუპის“ ცნობილ ვიდეოშიც ფიგურირებს. ბოლო დროს კი, დიდ ბრიტანეთში სამხედრო ატაშე იყო, რაც პრაქტიკულად, სასათბურე პირობებს ნიშნავდა, მაგრამ ინფორმაცია მომაწოდეს, რომ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. იმედი მაქვს, რომ იმ სხვა ოდიოზურ ფიგურებსაც გაათავისუფლებენ, ვისზეც ვლაპარაკობ. საერთოდ, ამ ინტერვიუების ციკლზე მყისიერი რეაგირება ხდება. ისე, მხოლოდ ნაირაშვილი არაა. ვსაუბრობდი ფოჩხუაზეც, რომელიც მამუკა მუჯირის ნათელ-მირონია და რომელიც საჰაერო თავდაცვის სისტემებზე იყო პასუხისმგებელი.

სხვათა შორის, ახლახან სამხედრო კონტრდაზვერვის უფროსად თავის დროზე იგორ გიორგაძის ნდობით აღჭურვილი პიროვნება დანიშნეს. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ყველამ იცოდა, რომ გიორგაძის კადრი იყო და ბარემ, ადგნენ და მთელი სამხედრო კონტრდაზვერვა გიორგაძეს ჩააბარონ?! სხვათა შორის, ეს ადამიანი იურა გულიევის მეგობარიცაა.

**— იურა გულიევი ვინაა?**

— გიორგაძის მარჯვენა ხელი იყო, რომელიც ყველა მკვლელობაში, მათ შორის, 1995 წელს შევარდნაძეზე მოწყობილ ტერაქტშიც ფიგურირებდა...

საერთოდ, დაზვერვაში წამყვანი სამხედრო კონტრდაზვერვაა და აბსოლუტურად დიდი შეცდომაა, რომ ამ სამსახურის როლი დღეს დაკნინებულია. სწორედ სამხედრო კონტრდაზვერვაა პასუხისმგებელი შეიარაღებულ ძალებში აგენტურის შეღწევასა და ძირგამომთხრელ საქმიანობაზე, ანუ ეს ყველაზე მძიმე სექტორია და როცა ამ სექტორის ხელმძღვანელის ბეგრაუნდი იგორ გიორგაძეს უკავშირდება, რა გგონიათ, ეს სამსახური რუსული აგენტურის გამოვლენას დაიწყებს?!

ვინმეს რამეს კი არ ვედავები, არამედ, შეკითხვებს ვსვამ — რატომ, რისთვის, როგორ? ძალოვან სტრუქტურებში იგორ გიორგაძის კადრების შემოყვანა რა საჭიროა?

თანამდებობაზე დაშვებას სამხედრო კონტრდაზვერვას ეკითხებიან, საიდანაც წერილობით პასუხი მოდის, მაგრამ დასავლეთ მიმართულების სარდლის მოადგილედ ადამიანი ისე დანიშნეს, რომ ასეთი წერილი არ არსებობს.

**— ეს კანონდარღვევაა?**

— ამას იმიტომ ვამბობ, რომ გაითვალისწინონ. ალბათ, გარკვეული კომპრომატები არსებობს და ვიღაცები სწორედ ამის დამალვას ცდილობენ...

**— გიორგაძეზე გამახსენდა, ამას წინათ, როგორც ითქვა, მწვანე ტბაში ასლან აბაშიძისდროინდელი იარაღი იპოვეს...**

— კარგი, რა?!

საერთოდ, ასეთი საიდუმლო საცავი ძალიან ბევრია...

**— ვინ და როდის გააკეთა?**

— ვინ გააკეთა, არ ვიცი, მაგრამ „ნაციონალების“ დროს გაკეთდა.

**— რა მიზნით?**

— ეს „ნაციონალებს“ უნდა ჰკითხოთ. ეს სენსიტიური თემაა.

**— საიდუმლო საცავებში შეიძლება, ის იარაღი ინახებოდეს, რომლის შეძენასაც თავდაცვის სამინისტრო წლების განმავლობაში აწარმოებდა?**

— გამორიცხული არაფერია...

ისე, სურვილი არავის უჩნდება, მუჯირს დაუძახოს და ჰკითხოს, აბა, მამუკა, გვითხარი, ფული ოფშორულ ზონებში რის საფუძველზე ირიცხებოდაო. ეს კაცი დღეს მშვენივრადაა და პასუხს არავინ სთხოვს. ან რატომ გაიქცევა, როცა მისი შვილის ნათლია, ზურაბ ფოჩხუა უკრაინაში სამხედრო ატაშეა... თავდაცვის სამინისტროდან ერთადერთი მერაბ ურიდია გაუშვეს. ასე, რამე მეც გამაფუჭებინე და გამიშვი...

**— ურიდია ვინაა?**

— საჰაერო თავდაცვის სისტემებზე იყო პასუხისმგებელი, მაგრამ ყველაფერი ხახვივით შერჩა. აი, ასეთია ჩვენი რეალობა — შეიძლება, დანაშაული ჩაიდინო, მაგრამ თუ მფარველი გყავს, პასუხს არავინ მოგთხოვს. მაფიოზური სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანი სწორედ ესაა — სამართალი ყველასა და ყველაფერზე მაღლა არ დგას! კანონი არ კანონობს და ყველაფერი ეს უსინდისობაა!.. არ ვითხოვ, რომ მიშა დაიჭირონ, მაგრამ ხომ შეიძლება, ხალხს სიმართლე უთხრა?! მოვა ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს ამოქექავს, მით უმეტეს, რომ დოკუმენტაცია თავდაცვის სამინისტროშია დალექილი...

**— უცნაურად არ გეჩვენებათ, რომ „ნაციონალებმა“ დოკუმენტები არ გაანადგურეს?**

— დავალება ზევიდან მოდიოდა, დაბლა კი, ყველაფერს როგორ „აპრავებდნენ“, არავინ იცის. მაქსიმალურად ჭკვიანი ხალხი სწორედ ქვედა ეშელონებში იყო საჭირო. ასეა თუ ისე, კვალი დატოვეს, რადგან არ ელოდნენ, რომ ხელისუფლებას დაკარგავდნენ...

**ესაუბრა ვანო პავლიაშვილი**

**(თემის გაგრძელება იქნება)**

№ 36 (200)
9-15 სექტემბერი 2015
ქართული მწიგნობრობა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“




### ქართული ენა

ეს არის ჩემი
ენა ქართული, –
წარმართთა არა,
ღვთისგან მართული!
ღვთისგან მართული,
არა – წარმართთა,
ეცადა მტერი
და ვერ წამართვა!
ეს ჩემი დედა –
დედა-ენაა,
მისი შვილობაც
მე დამევალა!
დედაა ჩემი
აკვნის გამთლელი,
მეამაყება,
რომ ვარ ქართველი!
მადლობა, ჩაქრა
ცეცხლი რუსული,
შენ ვერ გედრება
ვერც ინგლისური!
რუსთველის ენავ,
ილიას ენავ,
მაინც ანთიხარ,
თუმცა დღეს ბნელა!
ენავ ქართულო,
ქვეყნის დიდებავ,
მე შენი ყველა
სიტყვა მჭირდება!
შენი სიტყვაა,
სიტყვა „მიყვარხარ“,
დიახ, ამ სიტყვას
ღმერთთან მიჰყავხარ!
და ერთსაც გეტყვი
სიტყვას გულიანს,
შენ იცი, ღმერთი
სიყვარულია!
მე შენს წინაშე
თავი დავხარე,
მწამს, ვერასოდეს
ვერ დაგვმარხავენ!
ქართულო ენავ,
ენავ ქართულო,
წარმართთა – არა,
ღვთისგან მართულო!

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

PRESS REVIEW

# რუს პოლიტიკოსთა შვილები „გარყვნილ დასავლეთში“ გარბიან

**ოჰ, ეს გარყვნილი, ყოველივე ამაღლებულისა და სუფთას, ჰუმანურისა და ადამიანურის წამბილწველი ევროპა! – „როსია 24“ (ყველაზე მაღალრეიტინგული რუსული ტელევიზია) 24 საათის განმავლობაში, ანტიდასავლურ პროპაგანდას ეწევა და წარმატების პიკსაც მიაღწია: რუსეთის ზრდასრული მოსახლეობის (ბოლო აღწერით 146 267 288 ადამიანი) 80%-ზე მეტი ადიდებს პუტინს და გმობს ევროპასა თუ აშშ-ს. შევრისხოთ, ანათემას გადავცეთ ამორალური, ზნედაცემული ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები, დაე, აღიგავოს პირისაგან მიწისა... რუსული მართლმადიდებლური ეკლესია მხარს უბამს პუტინის ხელისუფლებას და თავის მრავალრიცხოვან მრევლს სატანის დასამარცხებლად მოუწოდებს. ყოველივე ამის ფონზე აღარაა გასაკვირი, რომ ბატონი პუტინი შარშან, დეკემბერში კვლავ წლის ადამიანად დასახელდა.**

## პუტინისა და დუმელების ორმაგი სტანდარტი

### კოეფიციენტი – ერთი 16-ზე და ერთი 50-ზე

ბრიტანულმა გამოცემა Daily Telegraph-მა ფონდ „საზოგადოებრივი აზრის“" გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა და აღნიშნა: „მეთხუთმეტე წელია, რაც რუსეთში ვლადიმერ პუტინი წლის ადამიანად სახელდება. წლევანდელი რეიტინგით კი, ისეთ სიმაღლეს მიაღწია, როგორსაც 2008 წელს, საქართველოსთან კონფლიქტის შემდეგ. აქედან გამომდინარე, აშკარად ჩანს, რომ რუსები ეთანხმებიან პუტინის ძალისმიერი მეთოდების გამოყენების პოლიტიკას საერთაშორისო ურთიერთობებში“.

მაგრამ, ვიდრე რუსების დიდი უმეტესობა „ურა, ურა“-ს ძახილით ტაშს წლის კაცს უკრავს, ინგლისელები ფსონს პუტინის გადადგომაზე დებენ. პოლიტექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ პუტინმა, ისევე როგორც ელცინმა, თავისი უფლებამოსილება ახალ სახეს გადააბაროს და ეს წლის დასასრულამდე მოხდეს. ფინანსურ ბირჟებზე კი, უკვე ბუკმეკერების განსაკუთრებული აქტივობა შეინიშნება.

ბრიტანულმა ბუკმეკერულმა კანტორამ, Paddy Power-მა წლის დასაწყისიდან დაიწყო ფსონების დადება იმაზე, რომ რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი წლის ბოლომდე პოსტს დატოვებს. როგორც The Telegraph-ი იტყობინება, ფსონების დადება კოეფიციენტით – ერთი 16-ზე რუსეთის ხელისუფლების შეცვლასთან დაკავშირებით აქტიურ ფაზაში შევიდა.

რატომ არ დებენ რუსეთის ბუკმეკერები ფსონს პოლიტიკაზე? – ამ შეკითხვით მიმართეს „Всебукмекеры.рф“-ს რედაქტორ ვალენტინ ტომახს. „ფსონების დადება პოლიტიკურ მოვლენებზე საკმაოდ პოპულარულია ევროპასა და აშშ-ში, – აცხადებს ბატონი ტომახი, – განსაკუთრებით ხშირად ფსონებს პრეზიდენტებზე დებენ. ბარაკ ობამას ბოლო არჩევნების დროს დიდი აჟიოტაჟი იყო. ფსონები იდებოდა ტონი ბლერის პრემიერ-მინისტრობაზეც. რუსეთის ბუკმეკერთა კანტორა ასეთ ფსონებს არ იღებს, მოთხოვნა არაა, რადგან ჯერ ჩვენი საზოგადოება მზად არ არის პოლიტიკური ფსონების დასადებად. სხვათა შორის, ბრიტანული ბუკმეკერული კანტორა Paddy Power-ი თავის კლიენტებს რუსული ვალუტის (რუბლის) ვარდნასთან დაკავშირებითაც სთავაზობს ფსონების დადებას კოეფიციენტით – 100 რუბლი 1 დოლარი, წლის ბოლომდე. აგრეთვე, ფსონები კოეფიციენტით – ერთი 50-ზე იდება იმაზეც, რომ წლის ბოლომდე პუტინი უარს იტყვის ყირიმის მიერთებაზე“.

როგორც ცნობილია, ფინანსისტებს და ზოგადად, ფულის ყიდვა-გაყიდვაზე მომუშავე, მარტივად რომ ვთქვა, ფულის მკეთებელ ადამიანებს, მხოლოდ მეექვსე კი არა, მეშვიდე გრძნობაც (თუ მეტი არა) ფულის შოვნაზე აქვთ გამახვილებული. მოკლედ, რას აღარ მოიფიქრებენ ეს ევროპელები, უკვე პუტინის ყოფნა-არყოფნაზეც კი ფულის შოვნა უნდათ.

### მშვიდობით, მ...ერიჭამიებო!

რუსი პოლიტიკოსების შვილები რუსებს მოკითხვას უთვლიან – СТАНИСЛАВ САДАЛЬСКИЙ: Они любят Россию и ее народ, как источник дохода, но видят будущее своих детей и свое на западе (**„მათ უყვართ რუსეთი, როგორც შემოსავლის წყარო...**



თავიანთი შვილების მომავალს კი დასავლეთში ხედავენ“ (სტანისლავ სადალსკის ბლოგი).

ვიდრე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები ილუზიებში არიან და გულზე მჯიღს იცემენ „ველიკაია, ნეპაბედიმაია როსიას“ შვილები ვართო, პუტინისა და მისი მთავრობის შვილები ზნედაცემულ ევროპასა და აშშ-ში ცხოვრობენ, სწავლობენ, მუშაობენ და მშობლიურ რუსეთში დაბრუნებას არც აპირებენ.

**ვლადიმერ პუტინის ოჯახი** – მის ოჯახზე ძალიან ცოტა რამაა ცნობილი. ვიცით, რომ ბატონი პუტინი იმყოფებოდა ქორწინებაში, ახლა განქორწინებულია. ცნობილია, რომ მისი უმცროსი ქალიშვილი ეკატერინა გერმანიაში, მიუნხენში ცხოვრობს. 2013 წელს გათხოვდა სამხრეთ კორეელი ბიზნესმენის შვილზე, იუნ ჯუნზე და მაროკოში გრანდიოზული ქორწილი ჰქონდათ. უფროსი ქალიშვილი ცხოვრობს ჰოლანდიაში, პატარა ქალაქ ვორსჰოტენში ჰოლანდიელ იჰრით ფაასენთან ერთად. უნდა ითქვას, რომ არ არსებობს მთელ მსოფლიოში ისეთი გასაიდუმლოებული პრეზიდენტის ოჯახი, როგორიც პუტინისაა, თუმცა ელცინის პირადი ცხოვრების დეტალებიც უკიდურესად გასაიდუმლოებული იყო.

**დიმიტრი მედვედევის ოჯახი** – მედვედევის მეუღლე სვეტლანა ლინიკი ცნობილი პეტერბურგელი ავტორიტეტის ქალიშვილია. 2012 წელს, მედვედევმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა თავისი სიმამრი. დიმიტრისა და სვეტლანას ვაჟი – ილია მედვედევი სწავლობს აშშ-ში, მასაჩუსეტის უნივერსიტეტში.

**სერგეი ლავროვის ოჯახი** – საგარეო საქმეთა მინისტრის ერთადერთი ქალიშვილი ეკატერინა ლავროვა ცხოვრობს და სწავლობს აშშ-ში. ამჟამად ამთავრებს კოლუმბიის უნივერსიტეტს და გეგმავს სამუდამოდ დარჩეს აშშ-ში საცხოვრებლად. აღსანიშნავია, რომ ეკატერინა ლავროვა რუსულად საკმაოდ ცუდად საუბრობს.

**სერგეი ჟელეზნიაკოვის (გოსდუმის ვიცე-სპიკერი) ოჯახი** – სამივე ქალიშვილი უცხოეთში სწავლობს. ეკატერინა – ელიტურ სკოლაში, შვეიცარიაში, ანასტასია – ლონდონში, უმცროსი ქალიშვილი ლიზა კი, – საფრანგეთში. ჟელეზნიაკმა დეკლარაციაში აღნიშნა, რომ მის წლიურ შემოსავალს 3,5 მლნ რუბლი შეადგენს, ქალიშვილების სწავლა-განათლებაში კი, წელიწადში, 11 მლნ-ს იხდის.

**ალექსანდრ ჟუკოვის (გოსდუმის ვიცე-სპიკერი) ოჯახი** – ვაჟი, პიოტრ ჟუკოვი სწავლობდა ლონდონში, მაგრამ ამჟამად ციხეშია. უმცროსი ვაჟი ნასვამ მდგომარეობაში მონაწილეობდა ქუჩურ ჩხუბში და ისიც ციხეში აღმოჩნდა. ორივე სასჯელს დიდ ბრიტანეთში იხდის.

**სერგეი ანდენკოს (გოსდუმის ვიცე-სპიკერი) ოჯახი** –ქალიშვილი ელენა სწავლობს და ცხოვრობს გერმანიაში.

**დიმიტრი კოზაკოვის (გოსდუმის ვიცე-პრემიერი) ოჯახი** – უფროსი ვაჟი ალექსეი ექვსი წელია, ცხოვრობს უცხოეთში და სამშენებლო ბიზნესითაა დაკავებული. რამდენიმე უცხოური ფირმის – „Рэд“, „Макбрайт“ და „Юна“-ს თანამფლობელია. უმცროსი ვაჟი ალექსადრ მუშაობს ჩრედიტ შუისსე-ში (საინვესტიციო ბანკი შვეიცარიაში). გერმანიამ და აშშ-მ წელს ეს ბანკი დაადანაშაულა მაღალჩინოსანი კლიენტებისათვის ხელისშეწყობაში, რათა ამ უკანასკნელებს საშემოსავლო გადასახადი არ გადაეხადათ. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

**ალექსანდრ რემეზკოვის (გოსდუმის დეპუტატი) ოჯახი** – უფროსმა ვაჟმა, სტეპანმა დაამთავრა პენსილვანიის მილერ-კოლეჯი (წლიური საფასური 1 მლნ 295, 761 რუბლი). დეპუტატის ვაჟი სწავლებას გადიოდა აშშ-ის არმიის საოფიცრო პროგრამით. შუათანა ვაჟი, ნიკოლაი სწავლობს დიდ ბრიტანეთში, მალვერნის კერძო სკოლაში. უმცროსი ქალიშვილი, მაშა ვენაში ცხოვრობს და დაკავებულია მხატვრული ტანვარჯიშით.

**ვლადიმერ აკუნინის (რკინიგზის ხაზების ხელმძღვანელი) ოჯახი** – „რუსეთის მთავარი პატრიოტის“, ვლადიმერ აკუნინის შვილები და შვილიშვილები დიდი ხანია, უცხოეთში – ბრიტანეთსა და შვეიცარიაში ცხოვრობენ. აქვთ ელიტური სახლები, მამულები და ხელმძღვანელობენ საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიებს – Venture Investments & Yield Management (VIYM).

**ელენა მიზულინას (გოსდუმის დეპუტატი. დედათა და ბავშვთა უფლებების კომიტეტის თავმჯდომარე) ოჯახი** – მიზულინა ცნობილია, როგორც ტრადიციული მართლმადიდებლური ფასეულობების დამცველი. მისი ვაჟი, ნიკოლაი თავდაპირველად სწავლობდა ოქსფორდში. აიღო დიპლომი და საცხოვრებლად ტოლერანტულ ბელგიაში გადავიდა, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება ნებადართულია. დღეს ნიკოლაი მსხვილ საერთაშორისო იურიდიულ ფირმა Mayer Brown-ში მუშაობს. გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ ტრადიციული რუსული ოჯახების დამცველმა დეპუტატმა ვერ მოახერხა თავისი ერთადერთი შვილის დაცვა გეი-საფრთხისაგან.

**ალექსეი ვორონცოვის (გოსდუმის დეპუტატი, კომუნისტი) ოჯახი** – კომუნისტ ვორონცოვის ქალიშვილი, ანა ცხოვრობს და სწავლობს იტალიაში, ამთავრებს მილანის უნივერსიტეტს. თვითონ ვორონცოვი პირაქაფებული ლანძღავს დასავლეთს და ამავე დროს ათასობით ევროს ხარჯავს თავისი ქალიშვილის იტალიაში სწავლა-განათლებისა და ცხოვრებისთვის.

**ბორის გრიზლოვის („ედინაია რასიას“ წევრი, გოსდუმის დეპუტატი, უსაფრთხოების საბჭოს წევრი) ოჯახი** – ბორის გრიზლოვი პარტია „ედინაია როსიას“ ერთ-ერთი დამფუძნებელია. მისი ქალიშვილი ცხოვრობს ტალინში და ახლახან ესტონეთის მოქალაქეობაც მიიღო.

P.S. **ჰამლეტი ამბობდა: „ყოფნა-არყოფნა, საკითხავი აი ეს არის?!“ თანამედროვე ინგლისელებს კი, მით უმეტეს ბუკმეკერებს, ჰამლეტის ეგზისტენციალური ფატალიზმი ნაკლებად აღელვებთ, მათში ვნებათღელვებს მხოლოდ ფინანსურ ბირჟებზე ვალუტის კურსის რხევის ამპლიტუდა იწვევს.**

**ჰოდა, მე რომ პუტინი ვიყო, ათასწლეულის პროვოკაციას მოვაწყობდი... თუ რუსეთის პრეზიდენტი თავისი ათეული მილიარდებიდან თუნდაც ერთ მილიარდს დადებს და გადადგება, 16 მილიარდს მოიგებს ინგლისელი ბუკმეკერებისაგან. ევროპა კანონმორჩილი სივრცეა და სულ კაპიკ-კაპიკ ჩაუთვლიან 16 მილიარდ ევროს. აი, მერე რა მოხდება, ესაა საკითხავი...**

**მარიკა კახაძე**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
9-15 სექტემბერი 2015
№ 36 (300)


პოეზია

# ალი

## ალექსანდრე პუშკინი



სცენა I

**დნეპრის ნაპირი. წისქვილი. მეწისქვილე და მისი ასული.**

**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე**
ახ, ახალგაზრდა გოგონებო, თქვენ სუყველანი
ხართ უჭკუონი. თუ მამაკაცს, არა უბრალოს,
არამედ დიდსა და წარჩინებულს გადაეყრებით,
საჭირო არის განამტკიცოთ ურთიერთობა.
მაგრამ რით? ჭკუით, ყოფაქცევით, პატიოსნებით:
უნდა შეგეძლოთ ხან ალერსით, ხანაც სიმკაცრით
მისი მიზიდვა; თან გადაკვრით და ორლესულად
ქორწინებაზე საუბარი. მაგრამ მთავარი
ეგ არის დაცვა ქალიშვილის პატიოსნების
უძვირფასესი საუნჯისა; იგი, ვით სიტყვა,
ვერ დაიბრუნებ, თუ გაფრინდა. და თუ იმედი
დაქორწინების აღარ არის, მაშინ გექნებათ
საშუალება, რომ როგორმე თქვენთვის ან თქვენი
მშობლებისათვის სასარგებლოს რამეს გამორჩეთ.
საჭირო არის ჩააგონოთ ახლავე თქვენ თავს:
„განა მას მუდამ ვეყვარები, განა ყოველთვის
ის მანებივრებს?“ მაგრამ არა! სალი მსჯელობა
კეთილ საქმეზე არ გჩვევიათ, ან დრო გაქვთ მისთვის?
თავბრუ გესხმებათ იმ წუთშივე და გიხარიათ
მუქთად ყოველი შეუსრულოთ გულისწადილი;
თქვენ გსურთ მთელი დღე უდარდელად, თავდავიწყებით
იყოთ სატრფოსთან, მის კისერზე შემოხვეული.
სატრფო კი, ხედავ, არსად არი, გაჰქრა, წავიდა,
და თქვენ კი რჩებით ხახამშრალნი. ო, ბრიყვნო, ბრიყვნო!
განა შენთვის არ მითქვამს ასჯერ: შვილო, შენ იცი,
არ ჩაიდინო სისულელე, იყავი ფრთხილად,
ბედნიერება არ დაჰკარგო, შენ რომ გეწვია,
და ეგ თავადი არ გაუშვა; ტყუილუბრალოდ
არ დაიღუპო შენი თავიც. რა გამოვიდა?
დაჯექი ახლა და იტირე იმაზე, რასაც
შენ ვერასოდეს დაიბრუნებ.
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი**
რატომ გგონია,
რომ მე თავადმა დამივიწყა და მიმატოვა?
მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე
როგორ თუ რატომ? მოიგონე, აბა რამდენჯერ
კვირაში წინათ ამ წისქვილში ის მოდიოდა?
ა? მიპასუხე. ხომ ყოველდღე და ზოგჯერ დღეში
ორჯერ მოსულიც დამინახავს. შემდეგ კი უფრო
და უფრო ძვირად. მეცხრე დღეა, რაც რომ თავადი
ჩვენ აქ მოსული არ გვინახავს. აბა რას იტყვი?
მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი
არა სცალია. საზრუნველი განა ცოტა აქვს?
ის მეწისქვილე ხომ არ არის; მის ნაცვლად წყალი
არ შეასრულებს სამუშაოს. ის ხშირად ამბობს,
რომ მისი შრომა სხვის ჯაფაზე ბევრად ძნელია.
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე**
გჯეროდეს მისი! როდის იყო თავადს ეშრომოს.
ანდა რა არის მათი ჯაფა? მწევრებით კურდღლის,
მელების დევნა, ქეიფობა, მეზობლის ჩაგვრა
და ქარაფშუტა გოგონების გადაბირება.
იგი, საბრალო, თურმე თავად ეწევა შრომას!
ჩემს მაგივრად კი სამუშაოს წყალი ასრულებს!
მე კი აქ დღე-ღამ ვერ ვისვენებ: ათას ადგილას
სჭირდება წისქვილს შეკეთება: აქ ღარი დალპა,
იქ კიდევ წყალი იპარება და იკარგება.
ის იქნებოდა უმჯობესი, თავადისათვის
გეთხოვა ფული ამ წისქვილის შესაკეთებლად.
მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი
აჰ!
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე**
ეგ რაღაა?
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი**
ჩუ! მომესმა ჩემთვის ნაცნობი
ფეხის ხმა ცხენის... ო, ის არის!
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე**
გახსოვდეს, შვილო,
ის, რაც გირჩიე; დარიგება არ დაივიწყო...
მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი
აი, მოვიდა!
(შემოდის თავადი. მეჯინიბეს მიჰყავს მისი ცხენი)
გამარჯობა, ჩემო ძვირფასო,
შენც გაგიმარჯოს, მეწისქვილევ!
კეთილი იყოს!
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე**
აქ მობრძანდება, მოწყალეო ჩვენო თავადო.
დიდხანს ნათელი თქვენი სახე ჩვენ არ გვიხილავს.
წავალ, რომ რამე მოგიმზადო, გაგიმასპინძლდე.
(მიდის)

მეწისქვილის ასული
**როგორღა იყო მომიგონე და გაგახსენდი!
არა გრცხვენია, ამოდენხანს რომ გამაწვალე
ამ საშინელი მოლოდინით? რა არ ვიფიქრე,
ნეტავი რა არ წამომიდგა თვალწინ ოცნებით,
როგორი შიში არ აღიძრა ჩემს შემკრთალს გულში!
ვიფიქრე, ცხენმა სადმე ხმრამში, ანდა ჭაობში
თუ გადატყორცნა; უღრან ტყეში ეგების დათვმა
თუ დაგამარცხა და დაგძლია; რომ თავს ცუდად გრძნობ,
რომ ავადა ხარ, ან დამტოვე, აღარ გიყვარვარ...
მაგრამ მადლობა მეუფეს! გხედავ ჯანმრთელად,
ისევ ჩემთან ხარ, როგორც წინათ, ისევ გიყვარვარ.
ხომ მართალია?**
**თ ა ვ ა დ ი**
როგორც წინათ, ჩემო ლამაზო,
და უფრო მეტად, უფრო მეტად.
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი**
მაგრამ რატომღაც
ხარ მოწყენილი. სთქვი, რა მოხდა?
**თ ა ვ ა დ ი**
ვარ მოწყენილი?
შენ მოგეჩვენა: მე ყოველთვის ვარ მხიარული,
როცა შენთან ვარ და გიცქერი.
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი**
არ ამბობ მართალს,
როდესაც შენ ხარ მხიარული, მაშინ შორიდან
ჩემკენ იჩქარი და მეძახი, - ო, ჩემო მტრედო,
სად ხარ, რას შვრები? და შემდეგ კი მეამბორები,
თან მეკითხები, თუ მახარებს შენი დანახვა,
ან შენსა მოსვლას ასე ადრე თუ მოველოდი.
ახლა კი სდუმხარ, ჩემს საუბარს ჩუმად ყურს უგდებ,
ყელს არ მეხვევი, არ მიკოცნი ალერსით თვალებს.
ალბათ, რაიმემ შეგაშფოთა, ან შეგაწუხა?
ეგებ ჩემზედ ხარ გულნატკენი, ან გულმოსული?
**თ ა ვ ა დ ი**
მე არ მსურს თავი მოგაჩვენო და ვიორპირო,
შენ ხარ მართალი: მწუხარებას დიდსა და მძიმეს
გულში ვატარებ. შენ ვერ შესძლებ ვერც ალერსითა,
ვერც სიყვარულით მის გაფანტვას. არ შეგიძლია
შემიმსუბუქო იგი, ანდა გაიზიარო.
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი**
მაგრამ მე მიმძიმს, შენთან ერთად არ განვიცადო
დარდი და სევდა. ხვაშიადი გამანდე შენი.
თუ ნებას დამრთავ, მე ვიტირებ, თუ ამიკრძალავ,
არც ერთი წვეთი ჩემი ცრემლის არ შეგაწუხებს.
**თ ა ვ ა დ ი**
რისთვის ვაყოვნებ? მალე გეტყვი, უფრო კარგია.
ჩემო ძვირფასო მეგობარო, შენ თავად იცი,
ბოლომდე მტკიცე ნეტარება რომ არ არსებობს
ამ ქვეყანაზე: ო, ვერც დიდი გვარიშვილობა,
ვერც სილამაზე, ვერც სიმდიდრე, ვერც ძლიერება
თავს ვერ დააღწევს საბოლოოდ უბედურებას.
და ჩვენც, ხომ მართალს ვლაპარაკობ, ჩემო ლამაზო?-
ვიყავით ორნივ ბედნიერი; მე კი, ჩემ თავად,
ვიყავი შენით ბედნიერი, შენი ტრფიალით.
და რაც არ უნდა მომივიდეს აწ ცხოვრებაში,
ვერ დაგივიწყებ და ყოველთვის მემახსოვრები
შენ, ჩემო კარგო! მაგრამ ახლაც რასაც ვშორდები,
მის მაგივრობას ვერაფერი ვერ გასწევს ჩემთვის.
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი**
შენი სიტყვები კიდევ კარგად ვერ გამიგია,
მაგრამ მე უკვე მეშინია, ნუთუ ჩვენ მტრობას,
გვიპირებს ბედი, მწუხარებას რამეს გვიმზადებს,
ვინ იცის, ეგებ განშორებას?
შენ უკვე მიხვდი.
**თ ა ვ ა დ ი**
ჩვენ სამუდამოდ განშორება ბედმა გვარგუნა.
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი**
ნეტავ ვინ გაგვყრის? ნუთუ ყველგან თან რომ გამოგყვე
და შენთან ვიყო, მე ამისი არა მაქვს ნება?
ვაჟის ტანსაცმელს გადავიცვამ. სამსახურს ერთგულს
გაგიწევ გზაში, ლაშქრობაში, სადაც იქნები,
თუ გსურს ომშიაც, - მე ომისა არ მეშინია,
მხოლოდ შემეძლოს შენ გიცქირო. არა, არ მჯერა.
ან ეგებ გინდა, შენ ფიქრები ჩემზე გაიგო,
ან გამომცადო, ან თავს იქცევ და მეხუმრები?
**თ ა ვ ა დ ი**
არა, ხუმრობის ხასიათზე მე დღეს არა ვარ,
შენი გამოცდა როდი არის ჩემთვის საჭირო;
შორს ქვეყანაში არ ვაპირებ მე გამგზავრებას
და არც საომრად გალაშქრებას, მე სახლში ვრჩები,
მაგრამ ერთმანეთს სამუდამოდ უნდა განვშორდეთ.
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი**
დაიცა, ახლა ყველაფერი მე უკვე მესმის...
შენ ცოლს თხოულობ.
(თავადი დუმს)
ცოლს თხოულობ!
**თ ა ვ ა დ ი**
აბა, რა ვუყო?
თავად განსაჯე. თავადებიც, ვით ქალიშვილნი,
თავისუფალნი არ არიან. გულით არჩეულ
ქალებს ისინი ვერ ირთავენ, არამედ სხვების
სარგებლობისა მეოხებით და ანგარებით.
შენს მწუხარებას დრო და ღმერთი მოჰფენენ ნუგეშს,
ნუ დამივიწყებ,
ჰა, წაიღე აი, ეს ჯილა
ჩემდა სახსოვრად; დაიცადე, მე თვით მოგარგებ.
მე ყელსაბამიც მოგიტანე კიდევ საჩუქრად,
აჰა, წაიღე. მართლა, კიდევ მამას შევპირდი
ეს საჩუქარი. გადაეცი მას იგი ჩემგან.
(გადასცემს ოქროთი სავსე ქისას)
მშვიდობით ახლა.
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი**
დაიცადე. მინდოდა მეთქვა
რაღაც... არ მახსოვს...
**თ ა ვ ა დ ი**
მოიგონე.
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი**
მზადა ვარ შენთვის
რომ ყველაფერი... სულ სხვას ვამბობ... ო, დაიცადე,
ვერ წარმოვიდგენ, სამუდამოდ შენ მე მტოვებდე...
ო, არა, არა! ახლაც ისევ სხვას ვლაპარაკობ...
ჰო, მართლა. ძლივსღა მომაგონდა: დღეს მე ვიგრძენი...
პირველად ჩემში... შენი ბავშვი გულთან გაინძრა.
**თ ა ვ ა დ ი**
ჰოი, საბრალო! რა უნდა ჰქნა? თუნდაც იმისთვის
თავს მოუარე, გაუფრთხილდი. უყურადღებოდ
არც შენ, არც შენს ბავშვს არ დავტოვებ. ვინ იცის,
შემდეგ,
დრო რომ გაივლის, — ეგებ თავად თქვენს სანახავად
აქ ჩამოვიდე. ნუ იდარდებ, ნუ დაღონდები.
უკანასკნელად მოდი ჩემთნ, შემოგეხვევი.
(მიმავალი)
უჰ, ვგონებ მოვრჩი! თითქოს ჩემს სულს ტვირთი
მოშორდა,
ველოდი გრიგალს, მაგრამ საქმე მშვიდობიანად
დამთავრდა, მგონი.
(მიდის. ქალი უძრავად დგას)
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე**
(შემოდის)
გთხოვთ, მობრძანდეთ, ბატონო ჩემო,
ჩემთან წისქვილში... მაგრამ სადღა წავიდა ნეტავ?
ჩვენი თავადი, სთქვი, სად არის? ვაჰ! ვაჰ! როგორი
ჯილა გადგია! სულ ძვირფასი თვლებით შემკული!
ბრწყინავს და იწვის! ყელსაბამიც! მართალი გითხრა,
არის მეფური საჩუქარი. ჩვენო მოწყალევ,
ამშენებელო! ეს რაღაა? ქისაა! ფულით?
მაგრამ რას სდუმხარ, არ ინძრევი, არაფერს ამბობ?
სიტყვაც არ გინდა, რომ წარმოსთქვა? შენ ეგებ ჭკუა
სიხარულისგან დაგეკარგა, გამოთაყვანდი,
ან ეგებ დამბლამ გაგაქვავა?!
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი**
არა, არ მჯერა,
არ შემიძლია წამოდგენაც... როგორ მიყვარდა.
ოჰ, ნუთუ იგი ნადირია? ნუთუ ასეთი
გულბოროტია?
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე**
მითხარი, ვისზე ლაპარაკობ?
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი**
როგორ შემეძლო განრისხება მისი ნეტავი?
მშობელო ჩემო, მიპასუხე. ან ერთ კვირაში
ნუთუ სიტურფე ჩემი გაქრა? ან ეგებ ვინმემ
მოშხამა იგი, შეულოცა?
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე**
რა მოგივიდა?
**მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი**
მშობელო ჩემო, ის წავიდა! ჰე, მიჰქრის ცხენით,
და მე, სულელმა, ის გავუშვი, არ დავაკავე,
გაბოროტებით მას კალთები არ დავახიე,
და არ ჩავჭიდე ცხენის აღვირს ორივე ხელი!
დაე, მას ჩემთვის, განრისხებულს, ხმლით მოეკვეთა
ხელები ჩემი. დაე, აქვე შეუბრალებლად
იმის ბედაურს გაეთელა ჩემი სხეული!

№ 36 (200) 9-15 სექტემბერი 2015

ქართული სიტყვა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პროზა

# აბოს წამება

იოანე საბანისძე

**წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ჴელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქმული იოვანე, ძისა საბანისი. ბრძანებითა ქრისტჱს მიერ სამოელ ქართლსა კათალიკოზისაჲთა**

(გაგრძელება. დას.: იხ. „ქართული სიტყვა“ №35)

მარგალიტ ეწოდა, რამეთუ იგი, ვითარცა მარგალიტი, შორის ორთა მათ ფიცართა, სულისა და ჴორცთაჲსა, ღმრთეებით გამობრწყინდების, რომელსა ღმრთისმოყუარენი იგი ვაჭარნი სასუფეველისანი, ვითარცა ღმერთსა არა შიშუელსა და კაცსა არა ლიტონსა, არამედ ვითარცა ღმერთსა და კაცსა, სარწმუნოებით ეძიებენ და მოიყიდიან მხოლოსა მას მრავალ-სასყიდელსა ყოვლისა სოფლისა წარგებითა და სისხლთა თჳსთაცა დათხევითა.

მარილ ეწოდა, რამეთუ ცოდვითა განრყუნილთა ამათ ჴორცთა ჩუენთა მოგუეახლა და სიმყრალჱ იგი კერპთ-მსახურებისაჲ განგუაშორა და სულნი ჩუენნი სარწმუნოებითა ღმრთის-მსახურებისაჲთა სულნელად შეზავნა.

ყუავილ ეწოდა, რამეთუ ძირისაგან იესჱსისა ყუავილად აღმოსცენდა ეკლესიასა წმიდისა ქალწულისა მარიამისგან ჴორციელად, ხოლო სულნელებითა მით ღმრთეებისაჲთა სული იგი მადლისაჲ მოჰფინა ჩუენ ზედა.

ანგელოზ ეწოდა, რამეთუ ერქუმის მას წინაჲსწარმეტყუელისა მიერ “დიდისა ზრახვისა ანგელოზი, საკჳრველი”, რომელი მამისა მიერ ჩუენდა მჴსნელად მოვიდა.

კაც ეწოდა, რამეთუ თქუა წინაჲსწარმეტყუელმან: „კაცი არს და ვინ იცნას იგი“; ჭეშმარიტად სრული კაცებაჲ შეიმოსა, თჳნიერ ცოდვისა, და ღმრთეებაჲ თჳსი ჩუენ გამოგჳცხადა.

ღმერთ ეწოდა, ვითარცა თქუა ნეტარმან იოვანე მახარებელმან, ვითარმედ „ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი და ყოველივე მის მიერ შეიქმნა, რაჲოდენი რაჲ იქმნა“.

ნათელ ეწოდა მის მიერვე, რამეთუ თქუა: „იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“.

ქუეყანა ეწოდა, ვითარცა თქუა დავით: „ქუეყანამან გამოსცა ნაყოფი თჳისი, მაკურთხენინ ჩუენ ღმერთო, ღმერთო ჩუენო!“ ჭეშმარიტად ქუეყანისა დამბადებელი იგი ქუეყანად მოვიდა და ქუეყანით მიწისაგან შექმნულთა მათგან მიწისა ბუნებისა იგი ჴორცნი, ვითარცა შუენიერი ჯეჯლი, აღმოსცენდა ქუეყანით და ნაყოფად გამოიხუნა წმიდანი თჳსნი მოციქულნი და მოწამენი და მართალნი და დაწყეული იგი ქუეყანაჲ ნაყოფითა კურთხევისაჲთა აღავსო.

მარცუალ მდოგჳს ეწოდა, რამეთუ დაიკნინებს თავსა თჳსსა და მოგუემსგავსების ჰასაკსა ჩუენსა, რაჲთა ურნატსა სულისა ჩუენისასა, დაენერგოს და ღრმად ძირნი დაიბნეს და რტოთა მათ ზედა ჯუარისა მისისათა შეგუკრიბნეს და აღამაღლდეს და ჩუენ აღგუამაღლნეს მის თანა.

მატლ ეწოდა, რამეთუ თქუა: „მატლ ვარ და არა კაცი“, გამობრწყინვებითა ღმრთეებისაჲთა, ვითარცა სამჭედური მატლსა შინა, ეგრჱთ ჴორცთა შინა თჳსთა დაფარა და ღმრთეებაჲ იგი თჳსი და უფსკრულთა ამის სოფლისათა შთააგდო და აღმოიქუა, ვითარცა კეთილმან მეთევზურმან, რომლისთჳსცა იტყჳს: „შეიპყრა ვეშაპი იგი სამჭედურითა და განულო დანდალი ყბასა მისსა და ხარტუკი ცხჳრსა მისსა“, ესე იგი არს ეშმაკი, რომელი შეიპყრა, და შემუსრნა მანქანებანი მისნი, რომლისათჳს წამებს მეფსალმუნჱ დავით: „შენ შეჰმუსრე თავები ვეშაპისაჲ მის“.

მზე სიმართლის ეწოდა, რამეთუ თქუა წინაჲსწარმეტყუელმან: „და გამოგიბრწყინდეს თქუენ, მოშიშთა სახელისა მისისათა, მზჱ იგი სიმართლისაჲ, რომელსა აქუს კურნებაჲ ქუეშე ფრთეთა მისთა“; რამეთუ იგი არს, რომელი ჰფარავს და განატფობს და არარაჲ არს, რომელი დაეფაროს სიცხესა მისსა.

ხოლო ესე არათუ რაჲმე თვით თჳსით განგიმარტე თქუენ, საყუარელნო და ქრისტჱს-მოყუარენო და სწავლის-მოღუაწენო, არამედ წამებითა წიგნთაგან საწინაჲსწარმეტყუელოთა და მოციქულთა ქადაგებისაებრ, - წმიდათა სახაერებათა წერილნი და ნეტართა მამათა მოძღუართა მიერ განსაზღვრებული სარწმუნოებაჲ. რამეთუ უეჭუელი სარწმუნოებაჲ საუნჯე დიდ არს მორწმუნეთათჳს, მამაო ზეცათაო, ღმერთო და უფალო ცხოვრების მომცემელო, შენ მიერ მიღებითა მადლისაჲთა, რამეთუ ქრისტეანეთა სარწმუნოებაჲ დიდ მოძღურება არს! ამით მადლითა თავყუანის-გცემენ შენ მართალნი, გაკურთხევენ შენ წმიდანი, აღგიარებენ შენ მარტჳლნი და შენთჳს დევნულებად ღირს იქმნებიან, რომელმან ივნე ჩუენთჳს ქრისტე ღმერთო, მოწამე არიან შენდა და შენ შეგევედრებიან, და ცთომასა მას ეშმაკისასა და მსახურთა მისთა მძლავრებასა შეურაცხ-ჰყოფენ!

რამეთუ არა ხოლო თუ ბრძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისა მიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკჳდრთა, ვითარცა წამებს უფალი და იტყჳს: „მოვიდოდიან აღმოსავალით და დასავალით და ინაჴ-იდგმიდენ წიაღთა აბრაჰამისთა, ისაკისათა და იაკობისთა“.

აჰა ესერა ქართლისაცა მკჳდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თჳთ აქა მკჳდრთა და რომელთამე უცხოთა და სხჳთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად, მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამჱნ.

მეორჱ თავი

ქართლად შემოსლვაჲ და ნათლის-ღებაჲ წმიდისა

მოწამისა ჰაბოჲსი

რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერის-მთავარი იგი ქართლისაჲ სახელით ნერსე, ძჱ ადარნესე კურაპალატისა და ერის-მთავარისაჲ, მიწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან მის ჟამისა სარკინოზთაჲსა ამირა მუმნისა აბდილაჲსგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს, რომელიცა იგი მან აღაშჱნა.

ხოლო შესმენითა ბოროტთა კაცთაჲთა საპყრობილესა შეაგდო მან ნერსე, ერისთავი ქუეყანისა ამის ქართლისაჲ, და პყრობილ იყო იგი მუნ ჟამადმდე სამისა წლისა, ვიდრემდის ბრძანებითა ღმრთისაჲთა მოკუდა აბდილ[ა] ამირა მუმნი და დაჯდა მის წილ ძჱ მისი მაჰდი. ხოლო ქველის-მოქმედმან ღმერთმან არწმუნა გულსა მაჰდი ამირა მუმნისასა განტევებაჲ ნერსჱსი და გამოიყვანა იგი მწარისა მისგან საპყრობილისა და განუტევა იგი კუალად ერის-მთავრობით აქა, ქუეყანადვე თჳსა.

მნებავს აწ, ქრისტჱს-მოყუარენო, ამიერითგან წმიდისა და სანატრელისა მოწამისა ამის ჰაბოჲსთჳს, რაჲთა გაუწყო, ვითარ ანუ რაბამ იყო, ანუ ვინაჲ მოიწია აქა.

ესე ნაშობი იყო აბრამეანი, ძეთაგან ისმაელისთა, ტომისაგან სარკინოზთაჲსა, და არა თუ უცხოჲსაგან თესლისა, არცა ხარჭისაგან შობილი, არამედ ყოვლადვე არაბიელთა თესლი, მამულად და დედულად, რომლისაჲ მამაჲ მისი და დედაჲ მისი და ძმანი და დანი მისნი იყვნეს მუნვე ქალაქსა მას შინა ბაღდადს ბაბილოვნისასა. და ესე იყო ყრმა, ჭაბუკ, ვითარ ათრვამეტის წლის, გინა უკნინჱს - აჩჳდმეტის წლის. ამან ინება წარმოსლვაჲ თჳსი აქა ერის-მთავრისა მის ნერსჱს თანა და შეეყო იგი მსახურად მისა. და იყო იგი ჴელოვან, კეთილად-შემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა, და სწავლულ იყო მწიგნობრებითა სარკინოზთაჲთა, ძეთა ისმაელისთა, ძეთა აბრაჰამისთა, ნაშობთა აგარისთა.

ხოლო ამიერ ჩუენდა სოფლად გამოსლვაჲ იგი არა თუ თჳთ თავით თჳსით განიზრახა, არამედ ვითარცა იგი უფალმან ჰრქუა ნეტარსა მას აბრაჰამს მასვე ქუეყანასა შინა ქალდეველთასა, ვითარმედ „გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა და მოვედ ქუეყანასა მას, რომელი მე გიჩუენო შენ“; ეგრჱთვე ესე კუალად ნაშობი აბრაჰამისი არა თუ თჳსით გონებით, არამედ წამის-ყოფითა ღმრთისა მიერითა იწჳა ესეცა და დაუტევა მამა და დედა და ძმანი და ნათესავნი და მონაგებნი და აგარაკები, და, ვითარცა იგი უფალი იტყჳს წმიდასა სახარებასა შინა, წარმოვიდა აქა ნერსჱს თანა მგზავრ ქრისტჱს სიყუარულისათჳს.

და რაჟამს მოვიდა იგი ქართლდ, ცხომდებოდა იგი ნერსე ერისთვისა თანა და თჳსითა სათნოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრებისა და ზრახვისა ჴსნილად. მაშინ იწყო ზედა-მიწევნად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა, რომეთუ უფალი მეცნიერ-ჰყოფდა მას. და მოვიდის იგი წმიდად ეკლესიად და მარადის ისმენნ წმიდათა სახარებათაგან და საკითხავთა მათ საწინაჲსწარმეტყუელოთა და მოციქულთა და მრავალთაგან შჯულის-მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ. ხოლო რომელთამე რეცათუ ცილობით წინააღუდგებიან, არამედ მიზეზ სწავლისა ექმნებინ მას, და ესრეჱთ სრულ იქმნა იგი ყოვლითა მოძღურებითა, რომელი აქუს წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა ქრისტჱს მერ.

მაშინ უდებ-ყო შჯული იგი მაჰმედისი და წესი იგი მამულისა მის ლოცვისაჲ დაუტევა და შეიყუარა ქრისტე ყოვლითა გულითა და გამოირჩია იგი სიტყჳვთა ამით, ვითარმედ „მითხრეს მე უშჯულოთა ზრახვაჲ, ხოლო არა ეგრე იყო, ვითარ შჯული შენი“. არამედ ვერ განიცხადებდა თავსა თჳსსა სრულიად ქრისტეანედ, ხოლო ფარულად იმარხავნ და ილოცავნ ქრისტჱს მიმართ და ეძიებდა ადგილსა კრძალულსა, სადამცა მოიღო ნათელი ქრისტჱსი, რამეთუ ეშინოდა სოფლისა მპყრობელთა ამათ ზედამდგომელთა ჩუენთა სარკინოზთაგან.

და იყო დღეთა მათ შინა კუალად განრისხებაჲ ჴელმწიფეთა მათ სარკინოზთაჲ ნერსე ერისთავსა ზედა, და ივლტოდა იგი, რამეთუ სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზთა ერი; და უფალმან დაიცვა იგი ჴელთაგან მათთა, და განვლო მან კარი იგი ოვსეთისაჲ, რომელსა დარი-ალან ერქუმის. და რაჟამს განვიდა, იყო მის თანა ერისაგან მისისა ვითარ სამას ოდენ მამაკაც და მათ თანავე იყო სანატრელიცა ესე მონაჲ ქრისტჱსი ჰაბოჲ.

ხოლო ნერსე, ვლტოლვილი ქუეყანით თჳსით, შევიდა ქუეყანასა მას ჩრდილოჲსასა, სადა-იგი არს სადგური და საბანაკჱ ძეთა მაგოგისთაჲ, რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მჴეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთა შჯული არა აქუს, გარნა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან. და რაჟამს მივიდა ნერსე ერისთავი მეფისა მის ხაზართაჲსა, შეიწყნარა იგი უცხოებისათჳს და ვლტოლვილებისათჳს მტერთა მისთაჲსა და სცა მას და ყოველსა ერსა მისსა საზრდელი და სამოსელი.

მაშინ, ვითარცა იხილა ნტარმან ჰაბო, რამეთუ განშორებულ არს შიშისაგან და მძლავრებისა და სარკინოზთაჲსა, ისწრაფა მან მიახლებად ქრისტჱსა და ნათელ იღო სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა ჴელითა პატიოსანთა მღდელთაჲთა; რამეთუ მადლითა სულისა წმიდისაჲთა მრავალ არს ქალაქები და სოფლები ქუეყანასა მას ჩრდილოჲსასა, რომელნი სარწმუნოებითა ქრისტჱსითა ცხომდებიან უზრუნველად. მიერითგან უფროჲსღა სავსჱ მადლითა ქრისტჱსითა ნეტარი ჰაბო შეეყო მარხვასა და ლოცვასა დაუბრკოლებელად.

მაშინ, შემდგომად რავდენისამე ჟამისა, ევედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილოჲსასა, რაჲთა განუტეოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა, რამეთუ პირველადვე წარეგზავნნეს მას დედაჲ და ცოლი და შვილნი და მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანაჲ იგი შიშისაგან სარკინოზთაჲსა. ხოლო ღმერთმან მოამშჳდა პირი მეფისა მის ჩრდილოჲსაჲ და განუტევა ნერსე მრავლითა ნიჭითა. და წარემართნეს იგინი სიხარულითა და მადლობითა ღმრთისაჲთა და განვლეს ქუეყანაჲ იგი წარმართთაჲ, რომელთა ყოვლადვე არა იციან ღმერთი, და უშიშად ვიდოდეს დღჱ და ღამჱ სამისა თთჳსა გზასა.

ხოლო ნეტარი ჰაბო ეგოდენთა ამათ დღეთა მგზავრ ილოცვიდა და იმარხვიდა და არა დასცხრებოდა იგი ფსალმუნებითა. და ვითარცა მიიწინეს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა, მთავარმან მის ქუეყანისამან შეიწყნარა ნერსე ყოვლით ერით მისითურთ. ვითარცა იხილა ნერსე დედოფალი, დედაჲ თჳსი, და ცოლი და ძენი თჳსნი, სიხარულითა ყოველნივე აკურთხევდეს ღმერთსა ცოცხლებით და მშჳდობით შეკრებისა მათისათჳს.

მაშინ, ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნეტარისა ჰაბოჲსთჳს, რამეთუ ახალ ნათელ-ღებულ არს, განიხარა ფრიად ყოვლით ერით მისითურთ; და მოუწოდეს მას მთავარმან მან და ეპისკოპოსმან და მღდელთა და აკურთხევდეს და ნუგეშინის სცემდეს და უთხრობდეს მას სიტყუათა ცხოვრებისათა და ახარებდეს ქრისტჱსთჳს, და საუკუნოჲსა მის ცხოვრებისათჳს. ხოლო იგი თავით თჳსით მიუგებდა მათ მადლობით სიტყუათა მათ ჭეშმარიტისა სარწმუნოებისათა, ვიდრემდის უკჳრდაცა მათ და ადიდებდეს ღმერთსა.

და ნეტარი ჰაბო უფროჲსღა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანაჲ იგი სავსჱ ქრისტჱს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკჳდრად იპოვების საზღვართა მათთა. რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღუაჲ იგი პონტოჲსაჲ, სამკჳდრებელი ყოვლადვე ქრისტეანეთაჲ, მისაზღვრადმდე ქალდიაჲსა, ტრაპეზუნტიაჲ მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეაჲსაჲ და ნაფსაჲს ნავთ-სადგური. და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტჱს-მსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კონსტანტინეპოვლისასა.

ხოლო წმიდამან და ნეტარმან ჰაბო, ვითარცა იხილა კაცთა მის ადგილისათა გარდამეტებული ღმრთის-მოყუარებაჲ და ლოცვაჲ ყოვლისა მის ერისაჲ დაუცადებელი, შური საღმრთოჲ აღიღო, რამეთუ მოიჴსენა მან სიტყუაჲ იგი წმიდისა მოციქულისაჲ, ვითარმედ „კეთილ არს ბაძვაჲ კეთილისათჳს მარადის“. იწყო მანცა დღეთა მათ ზამთრისათა, თთჳსა მის იანვარისასა, აჩჳდმეტსა მის თთჳსასა, ჴსენებესა წმიდისა მამისა ანტონისსა, აღიღო მანცა ფიცხელი იგი შრომაჲ და შორის ქალაქსა, ვითარცა უდაბნოსა ზედა, ეწყვებოდა მტერსა მას ეშმაკსა; და დუმილითა და მარხვითა მოაუძლურებბდა იგი ჴორცთა მათ სიჭაბუკისა თჳსისათა, „რაჲთა შეუძლოს ყოველთა მათ ისართა ეშმაკისათა განჴურვებულთა დაშრეტად“. მოიჴსენა მან მაცხოვრისა ჩუენისაჲ, ვითარ-იგი შემდგომად წმიდისა მის ნათლისღებისა უდაბნოდ განსრულმან, მზაკუვარსა მას განმცდელსა სძლო, ეშმაკსა, ლოცვითა მით და მარხვითა წმიდითა ორმეოც დღე.

ეგრეჱთვე ნეტარი ესე ჰაბო არცაღა ერთსა რას სიტყუასა იტყოდა კაცთა შორის, გარნა ღმერთსა ხოლო ჰზრახავნ წმიდასა შინა ლოცვასა თჳსსა. ეგრჱთ განვლო სამ თთუე და დაადგრა მარხვით და დუმილით. ხოლო წმიდათა მათ დღეთა დიდისა მის მარხვისათა, შჳდთა მათ შჳდეულთა კჳრიაკესა და დღესა შაბათსა ხოლო მი-რაჲ-იღის წმიდაჲ იგი საიდუმლოჲ, ჴორცი და სისხლი ქრისტჱსი, მაშინღა ნაკლულევანად მიიღის საზრდელი, ვიდრემდის მიიწია იგი წმიდასა მას დღესა, დიდსა დღესასწაულსა აღვსებასა, აღდგომასა ქრისტჱს ღმრთისა ჩუენისასა; მაშინღა დაარცადა ფიცხელი იგი მარხვაჲ და განჴსნა ენაჲცა თჳსი უტყუებისაგან და ადიდებდა ღმერთსა.

ხოლო იყო შემდგომად სივლტოლისა მის ნერსჱსისა ქართლით, წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმნმან ბრძანებითა ღმრთისაჲთა სტეფანოზ, ძჱ გურგენ ერისთვისაჲ, დისწული ნერსჱსი, ნაცვალად დედის-ძმისა თჳსისა ნერსჱსა, ერის-მთავრად ქუეყანასა ამას ქართლისასა. მაშინ მხიარულ იქმნა ნერსე, რამეთუ უფლებაჲ იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა უფალმან. ესეცა წადიერ იქმნა უფროჲსღა გულს-მოდგინედ და წარმოავლინნა მოციქულნი და ითხოვა ჴელმწიფეთაგან ამირათა ამის ქუეყანისათა, რაჲთა უშიშ-ყონ იგი ბოროტისაგან და გამოვიდეს ჴსნილად ყოვლით ერით მისითურთ.

## იუბილე

### შემოქმედის სამი დრო

მადლი მადლია, სათნოება სათნოებაა, სიმდაბლე კი, ცასავით მაღალია. ძმაო ნუგზარ, რაცა ვთქვი, შენი სახელის ხიბლია, შენი ეროვნულობის, შენი პოეზიის, შენი ვაჟკაცობის.

რჩეულო კაცო, შენ გააცოცხლე გურამ რჩეულიშვილი, იქუხა მეცხრე ტალღამ და მამულს უკვდავების სიმღერა დაუმკვიდრა.

მე მიყვარს შენი შემოქმედება და ისიც ვთქვათ, დასასრულის გაზიარება აწმყოს ალამაზებს, აწმყო მომავლის იმედია.

შენ, 80 წლის, სამ დროში ცხოვრობ და უფალს ვთხოვ, კიდევ დიდხანს გამყოფოს ამ ცოდვილ საქართველოში.

ჟანსუღ ჩარკვიანი



ნუგზარ წერეთელი

### ისევ აღარ

აღარ მხიბლავს,
აღარ მართობს,
აქ რომ ლურჯი ცა იყო
ისე უცებ გაქრა მარტი,
თითქოს ქარმა წაიღო.
აღარ მხიბლავს სიმწვანე და
მზის სხივებად შეკონვა,
ვინც სიცოცხლეს მიმწარებდა
მე მოყვასი მეგონა.
აღარ მჯერა სამყაროსი,
ვისთვის სულიც შევძარი,
ყელს მიბმული ავგაროზი
თურმე იყო მეძავის.
აღარ მავსებს,
აღარ მითრევს,
ამ დღეების დინება
და დავდივარ ქვეყნად ვიდრე
მაღლა ღმერთმა ინება.
სიცხე ბინდთან იწყებს კლებას,
აღარ მსერავს ხმალივით
და ცხოვრებაც
ჩუმად ქრება
მოცახცახე ალივით.



### შევედრება

უკვე განვიცდით ველარას,
ცივათ შორეულ ვალსებს,
გაავებულა ქვეყანა
ადრე სიმღერით სავსე.
ის ნათდებოდა სიკეთით,
როგორც საყდარი შობას,
ჩვენ კი ჯაშუშებს ვიკრებდით,
რადგან არაფრის შნო გვაქვს.
ვერ მოვუარეთ სამშობლოს
სიძულვილით და მტრობით,
უფალმა შვილებს აშოროს
განცდა ამგვარი გრძნობის.
ღმერთო, მამული განათდეს,
გამთელდეს ყველა კუთხით,
იქნება გაქრეს მანამდე
ქვეყანას ძირს ვინც უთხრის.
იქნება მორჩეს ქართველთა
მრავალწლიანი ომი,
არ იქნა,
აღარ გათენდა
წერით, კითხვით და შრომით.
აღარ გველირსა მშვიდობით
გაბრწყინებული დილა,
ყველა, ჩვენ ვისაც ვინდობდით,
ჩვენს დამიწებას ცდილა.
სულ ორი მტერი გვიტევდა
შინაური და გარე,
ღმერთო,
არგუნე დიდება
ქართველთა ტურფა მხარეს.

### 7 იანვრის დილა

ქალაქი გავდა ნაომარს,
დაცემული და მხდალი,
ხედავდი არარაობას
უკვე საკუთარ თვალით.
გამზირს — დაშლილს და
გადამწვარს
აჩნდა სიცივე დილის,
საქართველოზე გადაწვა
უბედურების ჩრდილი.
ძმა ძმასაც აღარ ინდობდა
ქუჩის ბრძოლაში შეყრილს,
ბევრმა ველურმა ინდომა
გაპარტახება ქვეყნის.
ჩვენ კი ერთობის მაგიერ
დავწრიტეთ ყველა არხი,
ასე მოგვსპობს და აგვირევს
მეზობლად მტერი ხალხი.
ვისი განდევნა შეძელით,
მოტყდა იმედის ტოტი,
ნაცვლად სიმტკიცის შეძენის
გადაგვარება მოდის.
იარაღით და მუშტებით
განახლდა ქართლის წყლული,
თითქოს აქ გასკდა ბუშტივით
მთლად საქართველოს გული.

### შეხვედრა ნიკო ფიროსმანთან

მონუსხულივით დიდხანს ვდგავარ მე შენს ტილოსთან,
და მიხარია — ეს სად შეგხვდი ნიკო ფიროსმანს.
ფერით, სიუხვით, წარმოდგენით თვალწინ მეზრდები,
შუაცეცხლივით თბება შენით უცხო დრეზდენი.
ეს სიამაყე ჩემთვის მართლა ოქრო-ვერცხლია,
სხვა სიამაყე ახლა არ მინდა,
სულ არ შეცვლილხარ, ოდნავ ფერიც კი არ შეგცვლია,
თუმც გრძელი გზებით მოდიოდი მაჩხაანიდან.
ძლივს ცა გაგეხსნა, ცივმა თქეშმა გადაიკარა,
ევროპა დგება გაოცებით უცხო ტილოსთან,
სად აღარ მიდის ახლა უკვე გზა და ნიკალა,
სად შეგეყარე ნიკო ფიროსმანს.

### მაესტრო

შეხვედრას ჩვენსას ვერვინ დაესწრო,
ისე კი მსურდა ვენახეთ ვინმეს,
ეკლესიასთან შეგხვდით, მაესტრო,
გარიდებული სუსხიან ყინვებს.
მუსიკის ხმები მაღალ კათედრალს
ირგვლივ ეფინა ოქროს ვარაყად,
ვერც კი გავიგე როგორ გათენდა,
მუსიკამ როგორ გამაამაყა.
ვიცოდი მხოლოდ, რომ იყო ერთი
— ქვეყნად დროისთვის ვისაც გაესწრო,
ისევ დადექით კვარცხლბეკზე თქვენთვის
და უკვდავებას შერჩით, მაესტრო.

### ტრფობისგან შეშლილი

კარში ზამთარი ქალივით გოდებს,
ტკივილი ხდება უფრო საჩინო,
ისევ ვიხსენებ კამილა კლოდელს,
რომ მისი მსგავსი აღმოვაჩინო.
მსურს ქარიც იმგვარ გრიალით ქროდეს,
ტანზე ეხვიოს ღრუბელი ბაცი,
რამ შეაყვარა კამილა კლოდელს
როდენი, ბევრად უფროსი კაცი.
სამი ნაბიჯი მაცილებს კბოდეს,
სიკვდილი ფერად ნაბიჯებს ვერ შლის,
დარდით ვიხსენებ კამილა კლოდელს
ტრფობის ერთგულს და
ტრფობისგან შეშლილს.
ნეტავი ქარიც იმგვარად ქროდეს,
გავუძლებ ყველა წუხილს და გრიალს,
სხვას ვნატრობ ისევ
კამილა კლოდელს,
როდესაც უკვე ხნიერი მქვია.
გარბის ღრუბელი მთების ზოლიდან,
დარდს დავემონე ღრუბლის ოდენებს,
მორჩა,
დამთავრდა,
სხვა დრო მოვიდა,
მიწაში სძინავთ შეშლილ კლოდელებს.

### ვერაზე

*ნიაზ დიასამიძის ხსოვნას*

ბელინსკის ქუჩით ჩამორბის ქარი
და თითქოს ძველი სურნელი მოაქვს,
არაფერია ამ ქვეყნად მყარი,
ყველაფერს მხოლოდ თავისი დრო აქვს.
ჟამი კი ზვავის სისწრაფით მიქრის,
მარტო მიდიხარ,
არავის ერჩი,
ვით კაცობაზე მარადი ფიქრი
ქალაქს და ქუჩას სახელად შერჩი.
სულ მახსენდები სავსე სიკეთით
და იუმორით საოცრად ნაღდით,
თავად შექმენი თუ გაიკეთე
ბევრის გულებში ის ოქროს ტახტი.
ფანტელებივით მხრებზე გეყარა
კაცობის ნიჭი,
რაც ცამდე ადის,
შენ აუჯანყდი მუხთალ ქვეყანას
და მოურჩენელ ტკივილით სვამდი.
უიმედობის კვლავ რეკავს ზარი,
ქვეყნად ბევრია და შენ კი არ ხარ,
მომელანდები დუქანში მდგარი,
დაილოცები და მერე
წახვალ...

### სისხლი

დაჭრილს იმედი ვით აქვს მათარის,
იმედი გვაქვს და ისევ ის გვიხსნის,
საუკუნეებგამონატარი
უძლიერესი ქართული სისხლი.
ისევ ის გვიხსნის,
ისევ გვიშველის,
არ ჩანაცრდება კერაც, ბუხარიც,
მზეა თუ ფერი მეფობს გიშერის,
იმედით გვავსებს სისხლი მდუღარი.

### ხერთვისთან

სიახლის ძებნის მარადი ნდომით
გადავადექით როდესაც ბექობს,
ჩანდა ხერთვისი — ბებერი ლომი
და ფეხქვეშ მთელი მიდამო ეგო.
ვხედავდით ღრუბლებს —
შეჯგუფულ კრავებს,
კედლებს დიდება ეწერათ სისხლით,
კოშკები ჰგავდნენ ღონიერ მკლავებს
ზეაღმართულებს მტრისადმი რისხვით.

### ისევ საშრომად

მიშვებულია სიტყვის სადავე
და მარწევს, როგორც
ქარი ალვის ხეს,
ეს სიდიადე და სისადავე
ხელიდან როგორ უნდა გამისხლტეს.
გული მწვერვალთა მზერით დათვრება,
ზეცა ღიმივით ელავს ბაგეზე,
ისევ საშრომად,
ისევ სათქმელად
ჩემი მამულის ბედი მაქეზებს.

### მუხრანის ველზე

მუხრანის ველზე ვიარე,
აღარ შემყრია ყივჩაღი,
წარსული გახსნის იარებს,
ქალსაც ვეძებ და მივძახი.
მთვარე ჰორიზონტს ნაღვენთი
ვარსკვლავთა ჭაღით ჩაღდება,
თუ არ გამოჩნდა ქალღმერთი,
ისე ვინ გაყივჩაღდება.

### თბილისის ქუჩები

ტკივილებამდე ნაცნობს და ძვირფასს
დავყვები ჩემი თბილისის ქუჩებს,
ძველი კედლების დუღაბს და კირქვას
მოსაფერებელ სახელებს ვურჩევ.
ასე მრავალ წელს მატარა ნეტავ,
ჩანდეს ზეცასთან მთაწმინდის ხედი
და დამყვებოდეს ჩურჩულად ხეთა
განუჭვრეტელი მომავლის ბედი.



№ 36 (200)
9-15 სექტემბერი 2015

ქართული სიტყვა

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ექსპერტი

# „კლანური ხედვების მსხვერპლი გავხდი!“

## „გამარჯობა, ლენინო, შენ!“ — სკანდალური ინტერვიუ ივანიშვილის გადაცემის ყოფილ წამყვანთან




**„ჩვენ, ალბათ, მალე გვექნება პოლიტბიურო, სადაც, როგორც უწინ, დადგინდება წესები, ვინ ვისზე გათხოვდეს, ცოლად ვინ უნდა მოიყვანოს, სექსი როდის და რამდენჯერ უნდა გვქონდეს, რა ჩავიცვათ და დავიხუროთ და ა.შ. გამარჯობა, ლენინო, შენ!“ — ეს სტატუსი სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ ანალიტიკოსმა არჩილ გამზარდიამ მას შემდეგ გამოაქვეყნა, რაც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წარმომადგენელმა, მწერალმა ბასა ჯანიკაშვილმა ამავე ტელევიზიის პოლიტიკური თოქ-შოუ „პირველი სტუდიის“ წამყვან, ეკა მიშველაძეს მიანიშნა, ვინაიდან პოლიტიკოსზე გათხოვდით, შესაძლოა, გადაცემა ვეღარ წაიყვანოთო. ამ ინციდენტამდე კი, გადაცემა, მოგეხსენებათ, ინგა გრიგოლიას დაუხურეს. „იმედის“ ხელმძღვანელობამ თავდაპირველად განმარტა, 2016 წლამდე პოლიტიკურ თოქ-შოუებს დროებით ვხურავო, თუმცა მოგვიანებით, კიდევ ერთი განცხადება გაავრცელა, პოლიტიკური გადაცემების დახურვა აზრადაც არ მომსვლიაო. ამასთან, არსებობს ინფორმაცია, რომ „იმედის“ „სტაფი“ მოლაპარაკებებს ჟურნალისტ თიკო ფეიქრიშვილთან აწაროებს, რომელიც შესაძლოა, პოლიტიკური თოქ-შოუს წამყვანად მოგვევლინოს... მოკლედ, რა ხდება ქართულ მედიაში? — „ქართული სიტყვა“ კომუნიკაციების მართვის სპეციალისტ არჩილ გამზარდიას ესაუბრა, რომელსაც თავის დროზე GDS-ზე „კვირის 20/30“ მიჰყავდა, მაგრამ ეს გადაცემაც კარგა ხანია, დაიხურა.**

**— არჩილ, ,,კვირის 20/30“-ის დახურვის რეალურ მიზეზს არც ახლა იტყვით?**

— ინგა გრიგოლიას თოქ-შოუების — ,,რეაქციის“ და ,,იმედის კვირის“ დახურვა რომ არა, საზოგადოება ,,20/30“-ის დახურვას მაშინ გაიგებდა, როცა ეკრანზე ვერ იხილავდა. თავის დროზე საჭიროდ არ ჩავთვალე იმაზე მეტი მეთქვა, ვიდრე ვთქვი. რალაცებში გარკვევა მჭირდებოდა, თუმცა პროექტის ავტორის, ბატონ ბიძინა ივანიშვილისგან მუშაობის პროცესში მხარდაჭერის მეტი არაფერი მიგრძვნია...

ამ პროცესში პიროვნებებისადმი დამოკიდებულება უფრო მაღელვებს. ინგა გრიგოლიას ორი გადაცემა დაუხურეს, ხუთი რომ ჰქონოდა ხუთივეს დაუხურავდნენ. ჩემი ღრმა რწმენით, ინგას მიმართ რაღაც აქტი განხორციელდა. ჩემს მიმართაც გარკვეული პოზიცია იქნა გამოხატული. ვეჭვობ, ისეთი უნიჭო ვყოფილიყავი, რომ გადაცემის დახურვის შემდეგ, ჩემი რამე ფორმით დასაქმება შეუძლებელი ყოფილიყო. ვიღაცას თვალში არ მოუვიდა არჩილ გამზარდია — თავისუფალი მოთამაშე და, როცა ტელეარხს ჩამომაცილეს, ორგანიზაციული კულტურა მეტნაკლებად დაიცვეს. აქ მხოლოდ მორალურ პასუხისმგებლობაზეა ლაპარაკი, სამართლებრივად შეცდომა არ ყოფილა.

**— ნაწყენი ხართ?**

— კმაყოფილი ვარ იმ გამოცდილებით, რაც ამ პროექტმა მომცა, სიღრმეებში ძალიან კარგად ჩავიხედე, ანალიტიკოსისთვის ასეთი პროექტი კარგი საჩუქარია, მანამდე გარემოებებზე გარედან ვმსჯელობდი, იმის შეცნობა, შიგნიდან რა ხდებოდა, ,,20/30“-მა მომცა. კმაყოფილი ვარ მუშაობით, ხელშეკრულებით. უამრავი საინტერესო ადამიანი გავიცანი...

**— გადაცემის წაყვანა პროდიუსერმა ვასილ მაღლაფერიძემ შემოგთავაზათ, თუმცა ახლა პრეტენზია სწორედ მის მიმართ გაქვთ. სოციალურ ქსელში დაწერეთ: ,,ნეტავ, ვასილ მაღლაფერიძეს თავად სჯერა, რასაც ამბობს? თქვი, რა, კაცურად, გამზარდიას მოშორების მიზეზი ის იყო, რომ გამზარდია არ გახდა მაღლაფერიძის კლანის წევრი და ჯერ ისე მოვუწყვეთ საქმე, რომ გაქცეულიყო და რადგან მაინც არ წავიდა, საბოლოო ჯამში, ისე ვქენით, რომ ჩამოგვეშორებინაო. თქვით, რა, სიმართლე, რას მიედ-მოედებით უსუსური არგუმენტებით“.**

— სიმართლე გითხრათ, ცოტა ვინანე კიდეც, როცა ეს სტატუსი დავწერე. წყენამ დამაწერინა, მას შეეძლო, აეხსნა, რა მიზეზით მიიღო ჩემი წასვლის გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრებას, რა თქმა უნდა, არ ვაპირებ. ეს უფლება მინიჭებული აქვს და გამოიყენა.

**— გამოდის, რომ დღეს საქართველოში მედიის ბედი პიროვნებების ნებასურვილზეა დამოკიდებული?**

— კონკრეტულად ჩემს შემთხვევაში, არსებობენ პიროვნებები, რომელთაც ჩემი, როგორც თოქ-შოუს წამყვანის ბედი გადაწყვიტეს.

**— ისიც შეიძლება ითქვას, რომ პიროვნებებს ებრძვიან?**

— დიახ, ეს ტენდენცია გამოიკვეთა, ვარაუდი გამიჩნდა, ,,იმედის კვირა“ და მკაცრად პოლიტიკური თოქ-შოუ ,,რეაქცია“ ტელესივრციდან იმიტომ მოაშორეს, რომ პირადად ინგა გრიგოლია არ აწყობთ. კომერციულად, ორივე შოუ მაღალი რეიტინგით გამოირჩეოდა — ყველა მასზე საუბრობდა, სარეკლამო დაკვეთის მიხედვითაც, მზარდი რეიტინგის გადაცემის დახურვა ხელსაყრელი რომელი ტელევიზიისთვის უნდა იყოს?.. ინგას თავისი ნიშნული ჰქონდა. ჩემს გადაცემაში კი მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ერთი მაგიდის გარშემო ის ადამიანები ისხდნენ, რომელთაც სხვადასხვა მოსაზრება აქვთ და ყველა ერთად ვცდილობდით, ქვეყანაში არსებული პოზიტივიც გვეჩვენებინა და კრიტიკული საკითხებიც. ყველაფერ ამის უხეში ფორმით გადმოცემა არ ხდებოდა, თორემ მაყურებელმა იმსჯელოს, თუ რამდენად კრიტიკული იყო ჩვენი გადაცემები.

ასე რომ, ვისაც ინგა გრიგოლიას გადაცემა არ მოსწონდა, გამზარდიას გადაცემა უნდა მოსწონებოდა.

**— ფაქტია: ინგას გადაცემაც დაიხურა და თქვენიც. ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა?**

— პოლიტიკური გადაწყვეტილება? ინგას გადაცემაზე ამის თქმა უფრო ადვილია, რადგან ხელისუფლებასთან მიმართებაში უფრო წინააღმდეგობრივი იყო. ,,20/30“-ს შემთხვევაში კი, ვფიქრობ, ვიღაცას არ აწყობდა, რომ გადაცემა პროპაგანდის საშუალებად ქცეულიყო. სულ 14 გადაცემა გაკეთდა, ყველაფერს აკადემიური სახე ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ, გადაწყვეტილება პოლიტიკური გამოდგა.

**— კონკრეტულად თქვენ შემთხვევაში, პოლიტიკური გადაწყვეტილება ვის უნდა მიეღო?**

**„ივანიშვილის იდეების განხორციელების ხელშეშლა, დამახინჯება და დისკრედიტაცია მიზანმიმართულად ხდება. არიან პიროვნებები, რომლებიც სხვადასხვა ხელისუფლებაში იყვნენ და ამავდროულად, მას ძირს უთხრიდნენ. როგორც ჩანს, ასეთები ბატონი ბიძინას გვერდითაც ბლომად არიან, მასთან დაახლოებული პირები, რომლებიც ახერხებენ, ხელისუფლებაზე იმუშაონ, ძირი გამოუთხარონ და საკუთარი საქმე აკეთონ. რატომ ენდობა ივანიშვილი იმ ადამიანებს, რომლებიც მის დისკრედიტაციას ახდენენ და მის იდეებს ამახინჯებენ? — არ ვიცი, ამაზე პასუხი არ მაქვს...“**

— ბიძინა ივანიშვილი უფრო დემოკრატია, ვიდრე მისი გარემოცვა ცდილობს, აჩვენოს. მინახავს მისი პიროვნული ურთიერთობები, მომისმენია მისი მსჯელობა, ჟურნალისტებთან დამოკიდებულებაშიც ცოცხალი პროცესის მომხრეა. მედიის მიმართ მისი დამოკიდებულება ბევრჯერ უხეშად აღიქმებოდა, მაგრამ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, მის მიერ გაკრიტიკებული ჟურნალისტები ჩვეულებრივად აგრძელებდნენ მოღვაწეობას და როცა პრემიერი იყო, მაშინ არ გამოიყენა უფლებები, გადაცემები დაეხურა და ამას ახლა რატომ გააკეთებდა?! მოსაზრება, რომ ,,20/30“ ბატონმა ბიძინამ დახურა, პირადად ჩემთვის, ნაკლებად დამაჯერებელია.

**— ყველაფრის მიუხედავად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მედიის მიმართ ფართომასშტაბიანი შეტევები მიმდინარეობს. მთავრობას წინასაარჩევნოდ ტელეეკრანიდან გაგონილი კრიტიკული აზრის ეშინია?**

— მომავალ არჩევნებში ,,ქართულ ოცნებას“ იმაზე მეტი შანსი აქვს, ვიდრე 2012 წლის არჩევნებში ჰქონდა — მაშინ უფრო დაუცველი იყო და ოპონენტებიც ძლიერები იყვნენ. დღეს კი, ეს ოპონენტები ბევრად ცუდად მუშაობენ, თანამდებობრივად და რიცხოვნობითაც მცირენი არიან, დიდი გავლენა არც სახელისუფლო სივრცეებში აქვთ. არ მგონია, რომ მთავრობას კრიტიკის ეშინოდეს.

**— სამწუხაროდ, ცალკეული ჩინოვნიკებისგან უცნაური და არაადეკვატური შეფასებები გვესმის...**

— ხელისუფლება მრავალფეროვანია, პირადად მე, დავით უსუფაშვილს უფრო მეტად ვუსმენ, ვიდრე — გოგი თოფაძეს, თამაზ მეჭიაურის მოსმენას თამარ კორძაიას ვამჯობინებ. რა, მეჭიაურისა და თოფაძისგან უმსგავსი განცხადებები ვინმეს გაუკვირდა?!

**— როცა საქმე ქვეყნის საგარეო კურსს ეხება, არ შეიძლება, არ მოისმინო და არ დააკვირდე, ზოგიერთ დეპუტატს მსჯელობა საითკენ მიჰყავს. ავიღოთ, თუნდაც თოფაძე, რომელიც აშკარად რუსულ ორბიტაზე გვაბრუნებს. ეს როგორ „გადავხარშოთ“?**

— ,,გადახარშვა“ ნამდვილად გაგვიჭირდება. პარლამენტში გვყავს ევროინტეგრაციაზე ორიენტირებული ძალიან დემოკრატი დავით უსუფაშვილი და ასევე, გვყავს გოგი თოფაძე. საერთოდ, პარლამენტი ერთმანეთისგან ზედმეტად განსხვავებული ადამიანების თავშეყრის ადგილია. რეალურად, იქ ზოგიერთი ადამიანი ხელისუფლების დისკრედიტაციითაა დაკავებული. მართალია, ზოგჯერ არაადექვატურ განცხადებებს ვისმენთ საგარეო კურსთან დაკავშირებით, მაგრამ ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომ ხელისუფლება ქვეყნის დაბრუნებას რუსულ ორბიტაზე ცდილობს. ამას ადასტურებს ასოცირების ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობების შესრულებისკენ მიმართული ღონისძიებები. წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელიც ანტირუსული ლოზუნგებით გამოდიოდა და გულში მჯიღს ირტყამდა, დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს, პროვოკაციული ქვეყანა არ იყოს.

**— კი ბატონო, მაგრამ მკვეთრი განცხადებები ე.წ. მცოცავ ანექსიაზე მაინც ხომ უნდა გაკეთდეს?**

— თუკი რუსულ პროვოკაციებს ავყვებოდით, მრავალ აგვისტოს მივიღებდით. მეორეს მხრივ, ჩვენ ძლიერი სახელმწიფო არ ვართ. ამიტომ ერთადერთი არჩევანია, აშშ-სა და ევროპის ქვეყნებს პარტნიორობა გავუწიოთ, რასაც დღევანდელი ხელისუფლება, მრავალი შეცდომის მიუხედავად, წარმატებით აკეთებს.

,,მცოცავი ოკუპაცია“ ძალიან ცუდია, მაგრამ ხელისუფლება პროგრესის შეტანას რთულ სიტუაციაშიც ახერხებს. თუნდაც, ნატო-სთან ურთიერთობის კუთხით რამდენი ნაბიჯი იქნა გადადგმული. ყველაფერ ამას ხმამაღალი ყვირილით გავაფუჭებდით.

**— ისე, „მცოცავი ანექსიის“ პარალელურად, ქართულ მედიასა და არასამთავრობოებში რუსული ფულის დაბანდებაც აქტუ-**

გაგრძელება მე- 9 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

9-15 სექტემბერი 2015

№ 36 (300)

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## ექსპერტი

მე-8 გვერდიდან

**ალურია...**

— ეს მწვავე და რთული საკითხია. ქვეყანაში რუსული ფული ყოველთვის ტრიალებდა, მაგრამ მასზე რეაგირება, უბრალოდ, ნაკლები იყო. „ნაციონალები“ თავად ქმნიდნენ აჟიოტაჟს, როცა ვიღაც ორი სულელი ქუჩაში აქციაზე გამოვიდოდა და მერე, შინ მშვიდად ბრუნდებოდა. სამწუხაროდ, ხშირად მედია გადამეტებულ ყურადღებას უთმობს მარგინალ ჯგუფებს. თუკი სახელმწიფოებრივ პოზიციებზე ვლაპარაკობთ, მათთვის ხელის შესაშლელად და გამოსააშკარავებლად გონივრული და ეფექტური მეთოდების მოძებნაა საჭირო.

**— ერთ-ერთი მეთოდი იგნორირებაა?**

— დიახ, იგნორირება მისაღები მეთოდია. გარდა ამისა, აუცილებელია საზოგადოების ინფორმირებულობა, ანუ მოსახლეობას უნდა ავუხსნათ, რომ იმპერიასთან, რომელიც გვჭამს, ტერიტორიები წაგვართვა და შვილები დაგვიხოცა, საერთო ფასეულობები არ გვაქვს!

სხვა მეთოდებიც არსებობს, მაგალითად, მხილება და იმ ადამიანებზე, რომლებიც რუსეთთან თანაერთიანობის პროპაგანდას ეწევიან, ინფორმაციის გავრცელება.

**— არჩილ, მოდით, სამთავრობო ცვლილებებს შევეხოთ — საგარეო საქმეთა და ეკონომიკის მინისტრების შეცვლა რას მოგვიტანს?**

— ეს გადაადგილება სავსებით ნორმალურად მივიჩნიე. იდეალური ხელისუფლება არ გვყავს, მაგრამ საბედნიეროდ, ისეთი ჩინოვნიკებიც გვყავს, ვისაც მთავრობა დაეყრდნობა. იმედი მაქვს, მათი რიცხვი გაიზრდება. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე გიორგი კვირიკაშვილი შესანიშნავი კანდიდატურაა.

რაც შეეხება თამარ ბერუჩაშვილს, „თავისუფალი დემოკრატების“ დემარშის შემდეგ, მის შესახებ ვამბობდი, რომ საგარეო საქმეთა მინისტრად მანამდე დარჩებოდა, სანამ ქვეყნის საგარეო ორიენტაციის საკითხი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ არ იქნებამეთქი და ასეც მოხდა.

**— ხშირ სამთავრობო კარუსელს, როგორც წესი, გავლენის სფეროების გადანაწილებას უკავშირებენ... ისე, ძველი ტენდენციაც გრძელდება — ადამიანები, ცოდნისა და პროფესიონალიზმის მიუხედავად, ნებისმიერ უწყებას ერგებიან. ეს ნორმალურია?**

— ამ შემთხვევაში, ალბათ, სააკაშვილის პრინციპი უნდა გავიზიაროთ — მთავარია, კარგი მენეჯერი იყო. მართალია, სადავო თემაა, მაგრამ რა გითხრათ?.. მე თავად გავხდი კლანური ხედვების მსხვერპლი.

რაც შეეხება მთავრობაში დაპირისპირების ვერსიებს, ოპოზიციის მიერ შეთხზულია. რეალურად, პატარა ორგანიზაციაშიც არიან დაპირისპირებული ჯგუფები, ვერავინ დაასახელებს ქვეყანას, რომელსაც იმის ფუფუნება აქვს, რომ ხელისუფლებაში ასეთი კლანები არ იყვნენ. არ მაქვს იმის ილუზია, რომ საქართველოს მთავრობაში „ერთ სულ და ერთ ხორც“ არიან. მთავარია, ეს პროცესი ზედმეტად უხეში არ იყოს, რომელსაც ისეთი მანკიერი პროცესები მოჰყვება, როგორც სააკაშვილის დროს იყო — მაშინ ყველა დაჯგუფებას თავისი მერკანტილური მოსაზრება და მიზანი ჰქონდა, საკუთარი გავლენის გავრცელებას ცდილობდა...

**— საქართველოს კონსტიტუციის მეოცე წლისთავთან დაკავშირებით პრეზიდენტის სასახლეში დიდი მიღება გაიმართა, რომელსაც პრემიერიც დაესწრო...**

— ორივენი ქვეყნის სამსახურში არიან... პრემიერისა და პრეზიდენტის ურთიერთობა ყოველთვის გამოუცნობი იქნება. საბედნიეროდ, ჰყოფნით შინაგანი ინტელექტი, რომ ყველაფერი ყალიბში ჩააყენონ.

**— მიგაჩნიათ, რომ პრეზიდენტის ვეტოები საფუძველს მოკლებულია?**

— გიორგი მარგველაშვილის საქციელი ბევრჯერ გაუგებარი იყო. განსაკუთრებით გამოვყოფ კანონს მოსმენებთან დაკავშირებით, რომელსაც ვეტო დაადო. რაც შეეხება ეროვნულ ბანკთან დაკავშირებულ ვეტოს, ამაზე აზრის ჩამოყალიბებას დარგობრივ ექსპერტებს მივანდობ.

ჩემთვის გაუგებარი იყო პრეზიდენტის პოზიცია ავლაბრის რეზიდენციაში დარჩენასთან დაკავშირებით და ეს იმ ფონზე, რა დასკვნებიც ეკონომიკურმა ჯგუფმა, დაპირისპირებულმა წრეებმა დადეს. თავადაც ხომ აცხადებდა, რომ სააკაშვილის მიერ აგებული ძვირადღირებული სასახლე მთავრობას ბიბლიოთეკად უნდა გამოეყენებინა? ძალიან კარგია, პრესტიჟულია პრეზიდენტის სასახლე, მაგრამ მისი შენახვა ბიუჯეტს, წელიწადში, 75 მილიონი ლარი უჯდება. დღეს, კონსტიტუციურად, საქართველოს პრეზიდენტის როლი ისეთი არაა, რომ ასეთ ძვირადღირებულ სასახლეში იცხოვროს. ამ კუთხით თუ ვიმსჯელებთ, უფრო ლოგიკური იქნებოდა, ამ სასახლეში პრემიერს ეცხოვრა.



**— 2012 წლის არჩევნები უდიდესი ენთუზიაზმით ჩატარდა, მაგრამ მთავრობამ, პრაქტიკულად, ერთი პრობლემაც ვერ გადაჭრა — სიღარიბე, უმუშევრობა, მიგრაცია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ლარის კურსმა გაუგონარ ინფლაციურ ზღვარს მიაღწია. არადა, „ქართული ოცნება“ მოსახლეობას ოთხ წელიწადში სამოთხეს ჰპირდებოდა...**

— ბატონ ბიძინას ეს შეკითხვა ნამდვილად დავუსვი და მისი პასუხი საყოველთაო მსჯელობის საგანიც გახდა. მან რამდენიმე წარმატებული ფაქტორი დაასახელა: სამი წლის მერე, ხელშესახებია დემოკრატიული პროცესები — მოქალაქეს ჯიბეში ნარკოტიკს, შინ კი, იარაღის არსენალს ვერავინ აღმოუჩენს.

რაც შეეხება ეკონომიკას, ეს შედეგები მოსალოდნელი იყო. „ნაციონალების“ მიერ ნაქები მდგრადი ეკონომიკა, თურმე, საერთოდ არ გვქონია. იმედი მაქვს, რაღაც დოზით გავიზარდეთ, პოლიტიკური კულტურის ელემენტები გავიზიარეთ. ამომრჩეველი საარჩევნო კანდიდატებს ადვილად აღარ ენდობა, რაც კარგია. ამიტომ, კეთილი ინებონ და ეცადონ, ხალხის საკეთილდღეოდ გაისარჯონ.

კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საარჩევნო სიები იქნება. ქვეყანა უნდა მიეჩვიოს, რომ ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ არჩევნების გზით მოხდეს.

**— ბიძინა ივანიშვილი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ხშირად ლაპარაკობს. საზოგადოება „20/30“ ამ საქმეს ემსახურება, არა?**

— ეს ძალიან საინტერესო პროექტი იყო, რომელიც ბატონი ბიძინას ენთუზიაზმით შეიქმნა. სამწუხაროდ, ის რაღაც თემას, იდეას წამოსწევს ხოლმე, ფინანსებს ხარჯავს, მაგრამ შედეგები არ ჩანს. ასე მოხდა „20/30“-ის შემთხვევაშიც — მასში დიდი ძალისხმევა ჩავდე, მაგრამ იმედგაცრუებული დავრჩი არა იმიტომ, რომ გადაცემა დაიხურა, არამედ, საზოგადო ინტერესის სფერო იყო, ბევრი მიკავშირდებოდა. პროდიუსერებს ამ პროექტის დახვეწა-განვითარება ჰქონდათ დავალებული... მიმაჩნია, რომ მას შეეძლო, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეეტანა. ზოგჯერ მგონია, რომ ივანიშვილის იდეების განხორციელების ხელშეშლა, დამახინჯება და დისკრედიტაცია მიზანმიმართულად ხდება. არიან პიროვნებები, რომლებიც სხვადასხვა ხელისუფლებაში იყვნენ და ამავდროულად, მას ძირს უთხრიდნენ. როგორც ჩანს, ასეთები ბატონი ბიძინას გვერდითაც ბლომად არიან, მასთან დაახლოებული პირები, რომლებიც ახერხებენ, ხელისუფლებაზე იმუშაონ, ძირი გამოუთხარონ და საკუთარი საქმე აკეთონ.

რატომ ენდობა ივანიშვილი იმ ადამიანებს, რომლებიც მის დისკრედიტაციას ახდენენ და მის იდეებს ამახინჯებენ? — არ ვიცი, ამაზე პასუხი არ მაქვს...

**ესაუბრა ნათია გოგიტიძე**

## სტოპკადრი

# ირაკლი ღარიბაშვილი ჩინეთში გაემგზავრა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სამუშაო ვიზიტით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა. 9-13 სექტემბერს, ქალაქ დალიანსა და პეკინში ირაკლი ღარიბაშვილი არაერთ მაღალი რანგის შეხვედრას გამართავს.**

**უფრო კონკრეტულად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ქალაქ დალიანში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. მთავრობის მეთაური სიტყვით გამოვა სესიაზე — „თანამედროვე აბრეშუმის გზა“ და მონაწილეობას მიიღებს დისკუსიაში.**

**ირაკლი ღარიბაშვილი, ასევე, დაესწრება დალიანის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ყოველწლიურ გახსნით ცერემონიალს „Champions 2015“.**

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეხვდება ჩინელ კოლეგას ლი კეციანს. დაგეგმილია შეხვედრა ჩინეთის აბრეშუმის გზის ფონდის ხელმძღვანელობასთან, აზიის ინფრასტრუქტურისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტთან, ჩინეთის სავაჭრო პალატის გენერალურ მდივანთან, ასევე, მონღოლეთის პრემიერ-მინისტრთან, დალიანის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან. გაიმართება შეხვედრები ისეთი მსხვილი კომპანიების წარმომადგენლებთან, როგორებიცაა: კორპორაცია „მიცუბიში“, კომპანია „Sab Labs China“, კომპანია „თრანსცოსმოს“.**

**ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში, იგეგმება რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელშეკრულების და მემორანდუმის გაფორმებაც. ესენია: დალიანის მუნიციპალიტეტსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, დალიანის ლოკომოტივის და ვაგონმშენებელ ქარხანასა და საქართველოს „ვაგონმშენებელს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, დალიანის პორტის თავისუფალ სავაჭრო ზონასა და ქართული ღვინის კორპორაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, შპს „საქართველოს რკინიგზასა“ და ჩინეთის რკინიგზის მშენებლობის კორპორაციას შორის მემორანდუმი.**

**გარდა ამისა, დაგეგმილია პრემიერ-მინისტრის ინტერვიუ წამყვან ჩინურ მედიასაშუალებებთან.**

**საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: ვიცე-პრემიერი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი გუბაზ სანიკიძე, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი გიორგი პერტაია, თანაინვესტირების ფონდის თავმჯდომარე გიორგი ბაჩიაშვილი და შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი მამუკა ბახტაძე. დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას 13 სექტემბერს დატოვებს.**

„ინტერპრესნიუსი“



№ 36 (200)
9-15 სექტემბერი 2015
ქართული სიტყვა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

უმრავლესობის ტრიბუნა

# დიდი კინკლაობა უმრავლესობაში




**უმრავლესობის დეპუტატის, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელის, თამაზ მეჭიაურის მიერ საპარლამენტო ტრიბუნიდან გაკეთებულმა განცხადებამ მთელი საქართველო აალაპარაკა და საზოგადოების ნაწილს საბოლოოდ გაუმყარდა ეჭვი, რომ ხელისუფლების მხრიდან პრეზიდენტის ინსტიტუტისა და თავად პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის დისკრედიტაცია მიზანმიმართულად ხდება. ამას „სოროსელობისა“ და „ენჯეოშნიკობის“ უარყოფით კონტექსტში მოხსენიებაც დაემატა. სოციალურ ქსელში სპეციალური ჯგუფი შეიქმნა, რომელიც თამაზ მეჭიაურისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს, თუმცა დეპუტატი ბოდიშის მოხდას არ აპირებს, უფრო სწორად, აცხადებს, რომ ბოდიშს მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს მოუხდის. ამასთან, ისეთი პირი უჩანს, რომ მეჭიაური შესაძლოა, უმრავლესობის დაშლის საბაბი გახდეს. ყოველ შემთხვევაში, მასა და „რესპუბლიკელებს“ შორის დაწყებული უთანხმოება ნელ-ნელა კულმინაციას აღწევს – „რესპები“ მეჭიაურს, რომელმაც პრეზიდენტს „მქსოველი, სოროსელ-ენჯეოშნიკი“ უწოდა, კოალიციის „შავ ლაქად“ მიიჩნევენ. ეს უკანასკნელი კი, პარლამენტის თავმჯდომარისა და თავდაცვის მინისტრის პარტიის ცალკეულ წევრებს „უმადურებს“ უწოდებს... რატომაა „ენჯეოშნიკობა“ და „სოროსელობა“ „ცოდვა“? – „ქართული სიტყვა“ თბილისის საკრებულოს დეპუტატს, „რესპუბლიკელ“ დავით ზურაბიშვილს ესაუბრა:**

> **„რამდენიმე მოწვევის დეპუტატი ვიცი და უამრავი ძველი პარტიული ფუნქციონერიც, მათ შორის, „მოქალაქეთა კავშირიდან“, რომელიც გამუდმებით ამბობს, რომ აშშ საქართველოს გარყვნასა და გაფუჭებაზე მუშაობს. არადა, ეს პრიმიტიული, უცოდინარობაზე დაფუძნებული რამეა და ანტიდასავლური, პრინციპში, ანტიქართული ტენდენციის გამოხატვისკენაა მიმართული. არ შეიძლება, ასეთი ხედვა ჰქონდეს ადამიანს და მიიჩნევდეს, რომ არასამთავრობო სექტორი საშინელებაა და სოროსმა დაღუპა საქართველო. არ იციან და ეს უცხო რაღაც ჰგონიათ, ამიტომ ეშინიათ... ეს ქსენოფობიის ერთგვარი გამოხატულებაა“.**

– აქ ორი მომენტია, თავისი პლიუსებითა და მინუსებით. ძნელი საყურებელია, როცა კინკლაობა არაფრისმთქმელ თემებზე მიდის. ძნელია, უყურო კამათს, ვინ სად წავიდეს და ვინ რა გააკეთოს. ასეთი დეტალები მარტივად უნდა გადაწყდეს. რაღაც პრემიერის უფლებამოსილებაა და რაღაც – პრეზიდენტის. ჩვენი კონსტიტუციით, პრეზიდენტი, ნებისმიერ შემთხვევაში, ქვეყნის პირველი პირი და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია. მთავრობის უშუალო ხელისუფალი კი, პრემიერ-მინისტრია. აქ საუბარი დეტალებზე არაა, თუმცა ზოგიერთი დეტალი კანონშია გაწერილი, ზოგიც – არა და ეს თავისთავად უსიამოვნო საკითხი უნდა მოგვარდეს.

საერთოდ, ჩვენი საზოგადოება მიუჩვეველია, რომ შესაძლებელია, პრეზიდენტის და მთავრობის მეთაურის მოსაზრება ერთნაირი არ იყოს. ამიტომ, ყველას ეჩვენება, რომ რაღაც ცუდი ხდება. ცუდი ნამდვილად არაფერი ხდება. საპარლამენტო რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი პლიუსია, როცა ხელისუფლების ბოლომდე უზურპირება შეუძლებელია.

სულ სხვა სიტუაციაა, როცა პრეზიდენტი მთავრობის მეთაურიცაა. ახლა კი, შესაძლებელია, პრეზიდენტი მმართველი გუნდის წარმომადგენელი სულაც არ იყოს, ანუ შეიძლება, მმართველმა გუნდმა წარადგინოს, მაგრამ თავისი კონსტიტუციური მოვალეობებით, მხოლოდ ამ პოლიტიკური გუნდის ინტერესების გამომხატველი არ უნდა იყოს მარტო და მეტ-ნაკლებად ყველას ინტერესს უნდა გამოხატავდეს.

**– თუკი პრეზიდენტი ყველას ინტერესის გამომხატველი უნდა იყოს და ამას კონსტიტუციაც ავალებს, ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები პრეზიდენტს მუდმივად რატომ ესხმიან?**

– ეს ძალიან რთული საკითხია. საერთოდ, პიროვნული შეურაცხყოფა მიუღებელია, პრეზიდენტი იქნება, პრემიერი თუ ოპოზიციონერი, პიროვნულ მომენტს არ უნდა შეეხო. თუ კაცმა ქსოვა, კერვა იცის, ეს მისი საქმეა და ამაზე აქცენტის გაკეთება სწორი არაა. კრიტიკა როგორ არ შეიძლება და პრეზიდენტიც კონკრეტული ქმედებების გამო უნდა გააკრიტიკო და არა – იმის გამო, თუ როგორ გამოიყურება და რა იცის. დეპუტატი და ხელისუფლების წარმომადგენელი ასე არ უნდა ლაპარაკობდეს. ეს ინსტიტუციის შეურაცხყოფაა.

**– რაც შეეხება „სოროსელობას“ და „ენჯეოშნიკობას“...**

– ეს ძალიან მძიმე ამბავია. იმის გამო კი არა, რომ მეც არასამთავრობო სექტორიდან მოვედი. „ენჯეოელი“ და „სოროსელიო“, – ისეთი ადამიანი ამბობს, რომელსაც წარმოდგენა არც ჯორჯ სოროსზე აქვს, როგორც ადამიანზე და არც – არასამთავრობო სექტორის როლზე. ეს, დაახლოებით, ისეთი განწყობის გამომხატველია, აშშ და დასავლეთი საქართველოს რყვნისო.

**– არადა, თამაზ მეჭიაური გამოუცდელი დეპუტატი არაა...**

– რამდენიმე მოწვევის დეპუტატი ვიცი და უამრავი ძველი პარტიული ფუნქციონერიც, მათ შორის, „მოქალაქეთა კავშირიდან“, რომელიც გამუდმებით ამბობს, რომ აშშ საქართველოს გარყვნასა და გაფუჭებაზე მუშაობს. არადა, ეს პრიმიტიული, უცოდინარობაზე დაფუძნებული რამეა და ანტიდასავლური, პრინციპში, ანტიქართული ტენდენციის გამოხატვისკენაა მიმართული. არ შეიძლება, ასეთი ხედვა ჰქონდეს ადამიანს და მიიჩნევდეს, რომ არასამთავრობო სექტორი საშინელებაა და სოროსმა დაღუპა საქართველო. არ იციან და ეს უცხო რაღაც ჰგონიათ, ამიტომ ეშინიათ... ეს ქსენოფობიის ერთგვარი გამოხატულებაა.

მაინცდამაინც საგანგაშო არ იქნებოდა, რომ ადამიანი, რომელიც ასეთ განცხადებებს აკეთებს, ხელისუფლების წარმომადგენელი არ იყოს. შეიძლება, ასეთი აზრები ცალკეულ ადამიანებსა და პოლიტიკურ პარტიებსაც აქვთ, მაგრამ ეს პარლამენტარი არ უნდა იყოს. ამას ჩამორჩენილობა ჰქვია, როცა ვერ ერკვევი სიტუაციაში და აზრზე არ ხარ, რა უნდა თქვა, თან ისეთ რაღაცას ამბობ, რაც ქვეყნისთვის კარგი არაა და ხელს საზოგადოებაში ცუდის გაღვივებას უწყობ.

**– არასამთავრობო სექტორზე თავდასხმა მეჭიაურამდეც არაერთხელ მომხდარა. ბატონო დავით, როგორ ფიქრობთ, მეჭიაურმა „ზემოდან“ წამოსული დირექტივები ხომ არ გაიმეორა?**

რა თქმა უნდა, ეს ბატონი ბიძინას გამონათქვამების არასწორი ინტერპრეტაცია იყო. როგორც გაირკვა, თურმე, გულისხმობდა არა, ზოგადად, არასამთავრობო სექტორს, არამედ, კონკრეტულ ადამიანებს, ეს კი სულ სხვა რამეა, თუმცა ზოგადად, სოროსელი არ უთქვამს ივანიშვილს. მაშინაც იყო განცხადებები, რომელიც ამ სექტორის მიმართ აგრესიას ღიად გამოხატავდა. ივანიშვილის მხრიდან კახა კოჟორიძისა და ეკა გიგაურის მიმართ გამოთქმული კრიტიკა იმ წუთში ისე გაიგეს, თითქოს ჩვენი დროც მოვიდაო და აღარ გაჩერდნენ. ცუდია, როცა ასეთი განწყობა არსებობს, მაგრამ როდესაც ასეთი რამ პარლამენტის ტრიბუნიდან ისმის, უფრო ძალიან ცუდია.

**– სოციალურ ქსელში ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც მეჭიაურს ბოდიშის მოხდისკენ მოუწოდა. თქვენც თვლით, რომ დეპუტატმა ბოდიში უნდა მოიხადოს?**

– ბოდიშის მოხდა არაფერს შეცვლის.

**– აბა, ცალკეულ პარლამენტარებს სპეციალურ კურსებს ხომ არ გავატარებთ, სადაც შეისწავლიან, თუ რა როლი აქვს ქვეყნის განვითარებაში არასამთავრობო სექტორს?**

– არ მგონია, რამე ისწავლონ... მან პირდაპირ თქვა, რომ მისი, როგორც პარლამენტის წევრის ლეგიტიმაციის წყარო, ბიძინა ივანიშვილია და პასუხისმგებლობასაც მხოლოდ მასთან გრძნობს და სხვა რას იფიქრებს, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მე თუ მკითხავთ, პარლამენტში ასეთი ადამიანების არჩევა არ უნდა მომხდარიყო.

**– პარლამენტარობაზეა ლაპარაკი თუ კომიტეტის თავმჯდომარეობაზე?**

– პარლამენტში შესვლაზე. თავის დროზე პარლამენტში შემსვლელთა სიის შედგენა სპეციფიკურ გარემოში მოხდა. ამიტომ, ვერ ვიტყვი, რომ ეს შერჩევა იდეალური იყო. მაშინ საზოგადოება პოლარიზებული გახლდათ: აქეთ – მიშა, იქით – ბიძინა და ბიძინას ჯოხები რომ დაეთალა და დაეწყო, დეპუტატები მაინც გახდებოდნენ...

**– პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინებას დავუბრუნდეთ, ეს მარგველაშვილის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიაა თუ პრეზიდენტის ინსტიტუტის?**

– ეს მარგველაშვილის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიაა. მეჭიაურს ერთი კარგი თვისება აქვს: რასაც ფიქრობს, იმას ლაპარაკობს. ამბობს, რომ ეს კაცი მოიყვანა ბიძინა ივანიშვილმა, დასვა და არაფერს უჯერებსო. გასაგებია, რომ მარგველაშვილის არჩევაში ივანიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის. ცალკე რომ ეყარა კენჭი, საკამათოა, მოიგებდა თუ არა, თუმცა ამას ახლა მნიშვნელობა არ აქვს. პრეზიდენტს თავისი უფლებამოსილება კონსტიტუციით აქვს, რომლის შესრულებისას ყოველთვის ისე არ იქნება, რომ გუნდს, რომელიც თავის დროზე მხარს უჭერდა, ყველაფერი მოეწონოს. ეს ისე უნდა აღვიქვათ, როგორც ბუნებრივი ამბავი. თუ ასი კანონიდან ორს ვეტოს დაადებს, არც ესაა დიდი უბედურება.

**– კიდევ რამდენი მოწვევის პარლამენტი გვჭირდება, დეპუტატებმა გაიგონ, რომ ვეტოს დადება ქვეყნის დაქცევას არ ნიშნავს?**

– შეიძლება, ეს მომდევნო პარლამენტის მოწვევისასაც მოხდეს...

ასეთი რაღაცები მაშინ ხდება, როცა შენი ლეგიტიმაციის წყაროდ ხალხს არ თვლი და მხოლოდ იმაზე ფიქრობ, „ის“ რას იფიქრებს და „იმას“ როგორ მოეწონება... კონკრეტულ პიროვნებას როგორი დიდი დამსახურებაც უნდა ჰქონდეს, ლეგიტიმაციის წყარო ყოველთვის ხალხია.

ისე, ბიძინა ივანიშვილის მიმართ ჩვენი პარტიაც დიდი მადლობელია, რომ დაგვეხმარა და კოალიციაში შესვლა პირველად ჩვენ შემოგვთავაზა. პირადად მეც დიდი მადლობელი ვარ იმიტომ, რომ ძალიან დამეხმარა და მაშინ, როცა საზღვარგარეთ სერიოზული მკურნალობა დამჭირდა, გვერდში დამიდგა. რაც უნდა მოხდეს და სადაც უნდა წავიდე, ეს არასოდეს დამავიწყდება და პიროვნულად ყოველთვის მადლობელი ვიქნები, მაგრამ პიროვნული ერთია, პოლიტიკაში კი, მთავარი საზოგადოება და ხალხია. აუცილებელი არაა, იმ ერთ ადამიანს ყველაფერს უჯერებდე. მამაჩემიც ძალიან მიყვარდა, მაგრამ ყველაფერს არ ვუჯერებდი. მთავარი ხალხის განწყობაა და ამას გვიჩვენებს კვლევები. მარგველაშვილი რომ ავიღოთ, მისი რეიტინგი პრეზიდენტობის მერე საგრძნობლად გაიზარდა. ხალხს არც ის მოსწონს, როცა პრეზიდენტის მიმართ დამამცირებელი დამოკიდებულება შეიმჩნევა. თუ პოლიტიკოსი ხარ, უნდა გაიაზრო, რომ ასეთი მოქცევა არვარგა.

**– ბატონო დავით, თუკი „ოცნების“ მომხრე არ ხარ, ავტომატურად „ნაციონალად“ გნათლავენ... ეს ნორმალურია?**

– ესეც საკმაოდ პრიმიტიული ხედვაა. საზოგადოების „ნაციონალებად“ და „არანაციონალებად“ დაყოფა საჭირო არაა. „ნაციონალები“ და მათი მომხრეები საკმაოდ სპეციფიკური სპექტრია...

**– ამიტომ, მათ ხშირად „სექტასაც“ უწოდებენ...**

– ასე რადიკალურადაც ვერ ვიტყოდი, თუმცა მათ ნამდვილად თავიანთი სამყარო აქვთ, მაგრამ ისინიც ჩვენი საზოგადოების ნაწილნი არიან. კარგია, მხოლოდ „ნაციონალებად“ და „ოცნების“ მომხრეებად არ ვიყოფით, უფრო მრავალფეროვანი პოლიტიკური სპექტრი გვაქვს. ამიტომ, უფრო პოლიტიკური ხრიკია, რომ ადამიანს „ნაციონალობა“ მიაწერო. არაა გამორიცხული, რომ რაღაც საკითხზე „ნაცმოძრაობის“ წა-

გაგრძელება მე- 11 გვ.

> **„პარლამენტში შემსვლელთა სიის შედგენა სპეციფიკურ გარემოში მოხდა. ამიტომ, ვერ ვიტყვი, რომ ეს შერჩევა იდეალური იყო. მაშინ საზოგადოება პოლარიზებული გახლდათ: აქეთ – მიშა, იქით – ბიძინა და ბიძინას ჯოხები რომ დაეთალა და დაეწყო, დეპუტატები მაინც გახდებოდნენ...“**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!"

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

9-15 სექტემბერი 2015 | № 36 (300)



## უმრავლესობის ტრიბუნა



# „შავი ლაქა" და „უმადურები" — მეჭიაურ-„რესპების" სკანდალი კოალიციას დაშლის?

მე-10 გვერდიდან

რმომადგენელთან ერთი აზრი გქონდეს და ეს ბუნებრივია. სიცხე რომაა და „ნაციონალმა" თქვას, ცხელაო, მე უნდა ვთქვა, არა, ცივა-მეთქი?! ამიტომ, ყველა განსხვავებული აზრის ისე წარმოჩენა, რომ „ნაცმოძრაობის" ინტერესშია, არასწორია და, თუ ვინმესთვის ხელსაყრელია, პირველ რიგში, „ნაცმოძრაობისთვის" — ეს მის მნიშვნელობას ზრდის და ძლიერად წარმოაჩენს.

**— ბატონო დავით, „რესპუბლიკელები" კოალიციური კონტექსტიდან ხშირად ამოვარდებით ხოლმე. ავიღოთ თუნდაც თინა ხიდაშელის გადაწყვეტილება, როცა „კაბელების საქმეში" ეჭვმიტანილები სამსახურში აღადგინა. აქედან გამომდინარე, „რესპუბლიკელებს" მეჭიაურ-თოფაძე-ტყემალაძეების გარემოში ყოფნა არ გიჭირთ?**

— საერთოდ, კოალიციური ურთიერთობები კომფორტული არაა, მით უმეტეს, ისეთი ტიპის კოალიციაში, როგორიც ჩვენ ვართ. კოალიცია თავის დროზე ერთი კონკრეტული ძალის წინააღმდეგ შეიქმნა და იქ თავი საკმაოდ განსხვავებულმა სპექტრმა მოიყარა. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, გარდამავალ პერიოდში ვიმყოფებით. სხვანაირი ტიპის კოალიციებზე უნდა გადავიდეთ — უნდა იყოს უფრო იდეოლოგიური ურთიერთობები და წინასწარ დაწერილი, თუ ვის რა უფლებამოვალეობა აქვს. ყველაფერი ეს ახლა უფრო ზეპირად ხდება, თუმცა არის კოორდინაციაც. ხშირად კოალიციის ერთი წარმომადგენელი ერთს ამბობს, მეორე — სხვას, ჩასაფრებული „ნაცმოძრაობა" კი ამას კარგად იყენებს.

რაც შეეხება კონტექსტიდან ამოვარდნას, არ გეთანხმებით. ავიღოთ თინა ხიდაშელის მაგალითი — ის, რაც თინა ხიდაშელმა გააკეთა, კანონის მოთხოვნა იყო და დააკმაყოფილა. ზოგს ჰგონია, რომ კანონზე მაღლა უნდა იდგეს და რახან პოლიტიკური ოპონენტია, ასე უნდა მოიქცეს. „ნაცმოძრაობაც" ამან დაღუპა. მათ ეგონათ, რომ პოლიტიკურ ოპონენტებს ასე უნდა მოქცეოდნენ და არ უნდა გაეხარებინათ. ეს ის უბედურებაა, რომელიც უკვე გადავიტანეთ. ამით უნდა განვსხვავდებოდეთ წინა ხელისუფლებისგან. ქვეყანაში ბევრი პრობლემაა, მაგრამ ის განსხვავება ნამდვილადაა, რომ პოლიტიკური წნეხი არ არის. შორს არ წავალ და, ჩემს მაგალითს მოვიყვან: იტალიურ ეზოში ვცხოვრობ. არჩევნების წინ, „ნაციონალები" მეზობლებს დაპირდნენ, რომ სახლს გადაუხურავდნენ. მეზობლებმა ხმა „ნაცმოძრაობას" მისცეს. მანაც შეასრულა დაპირება — სახლი გადახურეს და მხოლოდ ჩემი სახურავი დატოვეს. ასე არ შეიძლება. ეს იმიტომ გააკეთეს, რომ სხვებს დაენახათ, რა მოსდის განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების ადამიანს. ჩვენც ასე არ უნდა ვიქცეოდეთ.

**— კიდევ ერთი უბედურება: ამ ქვეყანაში პოლიტიკოსზე გათხოვება-დაქორწინება, მით უმეტეს, თუკი ეს პოლიტიკოსი ოპოზიციონერია, თურმე, დანაშაულია.**

— ესეც არასწორია. საფრანგეთის მაგალითს მოვიყვან: კუშნერის მეუღლეს პოპულარული თოქ-შოუ მიჰყავდა, მაგრამ როცა კუშნერი მინისტრი გახდა, თოქ-შოუს წამყვანობა დატოვა და მუშაობა სხვა პოზიციაზე განაგრძო. ტელევიზიიდან ოპოზიციონერის მეუღლის გაშვებას აუცილებლად პოლიტიკური ქვეტექსტი ექნება!

**— თოქ-შოუების გარშემო ატეხილ სკანდალსაც პოლიტიკური კონტექსტი აქვს?**

— როცა თოქ-შოუ ჩერდება, აუცილებლად პოლიტიკური კონტექსტი აქვს და ეს ორჯერ ორი ოთხია. ვთვლი, რომ „იმედმა" ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო, როცა თქვა, რომ თოქ-შოუებს აჩერებს. საბოლოოდ, გაირკვა, რომ ინგა გრიგოლიას გაშვება უნდოდათ. ბუნებრივად გაჩნდა ეჭვი, რომ აქ რაღაც სხვა ხდება.

**— ისე, მედიას, განსაკუთრებით, ტელევიზიას „ნაციონალებიც" ერჩოდნენ...**

— ამას „ნაციონალების" ქმედებებს ვერ შევადარებ, თუმცა გარეგნულად ნამდვილად ჰგავს. „ნაციონალების" დროს მედიის მიზანმიმართული მონოპოლიზება ხდებოდა. ჩაფიქრებული იყო, რომ მთელი მაუწყებლობა ხელისუფლების ხელში ყოფილიყო და ამას ნელ-ნელა აკეთებდნენ. ეს პროცესი 2007 წელს დასრულდა. დღეს ასეთი სიტუაცია არ გვაქვს. ბიძინა ივანიშვილს საკუთარი ტელევიზია რომ უნდოდეს, ექნება კიდეც. არის მომენტები, როცა ხელისუფლებას არ მოსწონს, თუ როგორ მიჰყავს ამა თუ იმ ადამიანს გადაცემა. ვერაფრით გავიგეთ, რომ ეს ჩვენი საქმე არაა და ამაში ჩარევა არ შეიძლება. ამიტომაც, თოქ-შოუებთან დაკავშირებულმა თემებმა ხელისუფლება ძალიან სერიოზული დარტყმის ქვეშ დააყენა. ჯერ „რუსთავი 2"-თან დაკავშირებული ამბები იყო, რასაც „იმედის" თოქ-შოუ მოჰყვა, ახლა, ეკა მიშველაძის ამბავი და ეს მთავრობისთვის ძალიან დამაზარალებელი იქნება. ინგა გრიგოლია არ დაიკარგება, რამე ეკა მიშველაძისთვისაც მოიძებნება და თოქ-შოუებიც იქნება. ჩვენ კი, ამ თემებს საერთოდ უნდა შევეშვათ.

ერთიც ცხადია: ტელევიზია ვერ იქნება პოპულარული, თუ სულ ტყუილს ამბობს. შეიძლება, უტრირებდეს, ამუქებდეს, მაგრამ სიმართლის მარცვალი მაინც უნდა იყოს. ადრე ყველა ოცნებობდა, ისეთ ქვეყანაში ეცხოვრა, როგორსაც „რუსთავი 2" გვიჩვენებდა. ახლა, მისი თქმით, ყველაფერი ცუდადაა. ამ ქვეყანაში საქმე ასე აპოკალიპტურად, მართლა არაა, მაგრამ მაინც ასე ჯობია... ხალხი ყველაფერს ხვდება. ამიტომ, ისეთი წარმოდგენა, რომ მედიამ, შეიძლება, ხალხს ტვინი გამოურეცხოს, გამორიცხულია, ამას ვერ შეძლებს.

და ბოლოს, ამ არასამთავრობოებსა და სოროსელებს კი აგინებენ, მაგრამ სწორედ მათი დამსახურებით მოხდა, რომ „მაესტრო", „კავკასია" და ბევრი სხვა პატარა არხი მთელი საქართველოს მასშტაბით მაუწყებლობს...

**ესაუბრა ნათია ვერძეული**

> **„ბიძინა ივანიშვილის მიმართ ჩვენი პარტიაც დიდი მადლობელია, რომ დაგვეხმარა და კოალიციაში შესვლა პირველად ჩვენ შემოგვთავაზა. პირადად მეც დიდი მადლობელი ვარ იმიტომ, რომ ძალიან დამეხმარა და მაშინ, როცა საზღვარგარეთ სერიოზული მკურნალობა დამჭირდა, გვერდში დამიდგა. რაც უნდა მოხდეს და სადაც უნდა წავიდე, ეს არასოდეს დამავიწყდება და პიროვნულად ყოველთვის მადლობელი ვიქნები, მაგრამ პიროვნული ერთია, პოლიტიკაში კი, მთავარი საზოგადოება და ხალხია. აუცილებელი არაა, იმ ერთ ადამიანს ყველაფერს უჯერებდე. მამაჩემიც ძალიან მიყვარდა, მაგრამ ყველაფერს არ ვუჯერებდი. მთავარი ხალხის განწყობაა და ამას გვიჩვენებს კვლევები. მარგველაშვილი რომ ავიღოთ, მისი რეიტინგი პრეზიდენტობის მერე საგრძნობლად გაიზარდა. ხალხს არც ის მოსწონს, როცა პრეზიდენტის მიმართ დამამცირებელი დამოკიდებულება შეიმჩნევა. თუ პოლიტიკოსი ხარ, უნდა გაიაზრო, რომ ასეთი მოქცევა არ ვარგა".**

## სტოპკადრი



# ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის 3 კანდიდატი იბრძოლებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირების ვადა 7 სექტემბერს ამოიწურა. 3 ოქტომბერს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის 3 კანდიდატი იბრძოლებს — ლევან კობიაშვილი, რევაზ არველაძე და მამუკა კვარაცხელია.

სწორედ ამ სამ კანდიდატს შორის მოუწევს 35 დელეგატს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა.

როგორც ჟურნალისტებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნოს უფროსმა, რევაზ შენგელიამ განუცხადა, ასევე, დამთავრდა დელეგატების წარდგენის ვადა, ვინც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი უნდა აირჩიოს. „35-ვე სუბიექტმა საკუთარი დელეგატები წარმოადგინა, ვინც 3 ოქტომბერს ფედერაციის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას", — განაცხადა რევაზ შენგელიამ.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები 3 ოქტომბერს გაიმართება.

**„ინტერპრესნიუსი"**

# საარჩევნო ბარიერი შესაძლოა, 5დან 4%-მდე შემცირდეს

საქართველოს კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებებით, საპარლამენტო საარჩევნო ზღვარი 5-დან 4%-მდე მცირდება. საარჩევნო ბარიერის შემცირება გათვალისწინებულია საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში, რომელიც პარლამენტში უმრავლესობის 81 წევრის ხელმოწერით არის წარდგენილი და, რომლის ამოქმედებაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ იგეგმება.

აღნიშნული პროექტის კიდევ ერთი სიახლე არის ის, რომ იგეგმება მოქმედ კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერის გაუქმება, რომლის მიხედვითაც, იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების შემდეგ იმაზე ნაკლები რაოდენობის მანდატებს დააგროვებენ, ვიდრე საპარლამენტო ფრაქციის შექმნისათვის არის საჭირო, მანდატები ფრაქციის შექმნისთვის საჭირო მინიმალურ რაოდენობამდე უნდა შეევსოთ. პროექტის მიხედვით, აღნიშნული ნორმა კონსტიტუციიდან ამოდის და მასში იწერება, რომ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის პარლამენტის წევრთა მანდატები მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდება.

„აღნიშნული ნორმა ამოღებულია, რადგან ამ ნორმის შესაბამისად, პარტია, რომელმაც 6 მანდატზე ნაკლები მიიღო და ფრაქციას ვერ ქმნის, მას დამატებითი მანდატები უნდა მისცენ 6-მდე შესავსებად. ცხადია ეს იმათ ხარჯზე უნდა მოხდეს, ვისაც კანონიერად მეტი მანდატი ეკუთვნის, რაც სამართლიანი არ არის. ამიტომაც ეს ნორმა ამოვიღეთ. სამაგიეროდ, შევამცირეთ საარჩევნო ზღურბლი", — განუცხადა „ინტერპრესნიუსს" პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ.

საქართველოს კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების ძირითად სიახლეს მაჟორიტარული სისტემის გაუქმება და საპარლამენტო არჩევნების პროპორციული საარჩევნო სისტემით, მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით ჩატარება წარმოადგენს, რაც 2016 წლის შემდგომი არჩევნებისთვის უნდა მოხდეს.

**„ინტერპრესნიუსი"**

№ 36 (200)
9-15 სექტემბერი 2015
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

**ჩვენი ფოსტიდან**

# მოგონებები ნოდარ დუმბაძეზე

**ძალიან მიყვარს გურია თავისი მთა-გორიანი, ლამაზი ბუნებით, რომელმაც ეგნატე ნინოშვილის იუბილეზე პოეტ იოსებ ნონეშვილს ასეთი ლამაზი სიტყვები ათქმევინა: „გურია, შენი გურია, პატარა თაიგულია“. გურულებისთვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ იუმორზე, მათ კეთილშობილებაზე, ხელგაშლილობასა და დიდ ბუნებაზე ისინიც კი დამეთანხმებიან, ვინც გურიასა და გურულებს საერთოდ არ იცნობენ, მაგრამ ყველასათვის საყვარელი მწერლის, თავადაც დიდი ადამიანის, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები წაუკითხავთ. იგი ხომ თავის შემოქმედებაში ძირითადად პირადი ცხოვრების დეტალებზე, მასთან კონტაქტში მყოფი ადამიანების ტრადიციებსა და ცხოვრებაზე მოგვითხრობს.**

როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ მისი პირველი რომანი – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა, ახლობლები ვიკრიბებოდით, კოლექტიურად ვკითხულობდით და დიდ-პატარიანად ყველანი გულიანად ვიცინოდით. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩემი თანაკლასელის, ფალიაშვილის ქუჩის პირველ სართულზე მცხოვრები ენდი ხარაზიშვილის ოჯახში კითხვისას, გამვლელნი ჩერდებოდნენ, ფანჯარასთან მომდგარნი ყურადღებით ისმენდნენ და მასპინძელთა სიცილ-ხარხარს უერთდებოდნენ. ასეთივე რეაქცია გვქონდა მომდევნო რომანებსა და ნოველებზეც, რომლებშიც სევდა და სიცილი ერთმანეთს ენაცვლებოდა.

ბატონი ნოდარის შემოქმედებაზე ჩვენი თაობა შვილებს ზრდიდა – ის ხომ ყველგან სიწმინდეს, სითბოს, სიყვარულსა და სიკეთეს ამკვიდრებდა და ამ თვისებათა მატარებელი ცხოვრებაში თავად ბრძანდებოდა. ყველა მის ნაწარმოებში სიკეთე ბოროტებაზე მაღლა დგას და ვითომ უბრალო, მაგრამ გულში ჩამწვდომ იუმორში დიდი სიბრძნე და ადამიანური მორალი იგრძნობა. რად ღირს თუნდაც მისი დევიზი – მარადისობის კანონი მხოლოდ ადამიანის სიყვარულია!

მის შემოქმედებას ჯერ კიდევ ადრე, სტუდენტობის წლებში გავეცანით, როდესაც თსუ-ს ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტმა, ნოდარ დუმბაძემ უნივერსიტეტის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენიდან თბილისს წრფელი გრძნობით დაწერილი ლექსი მიუძღვნა, რომელიც ასე მთავრდებოდა:

„შენ, თბილისი კი არა და, ჩემო კარგო,
ის მაოცებს, ნატვრის თვალი რად არ გქვია“.

ჩემს მეხსიერებას დღემდე შემორჩა თვით ავტორი, სცენაზე დგომის უხერხული მანერით, დამორცხვებული ღიმილით და კითხვის ჩუმი, მოკრძალებული ტონით.

ჩვენ ერთი კუთხიდან ვიყავით – გურიიდანაც და ვერის უბნიდანაც, ოჯახური ტრაგედიაც ზუსტად ერთნაირი გვქონდა: 1937 წლის რეპრესიები მთელი თავისი სისასტიკით: მამები დაგვიხვრიტეს, დედები გაგვიციმბირეს, მე 10 წლით, ნოდარს – 12. გულისამაჩუყებლად აღწერს ნოდარი გადასახლებიდან დაბრუნებულ 12 წლის უნახავ დედასთან შეხვედრას „მზიან ღამეში“: „კიბეზე უხალისოდ ავდიოდი, დერეფნის კარი ღია დამხვდა, ოთახის კარი შევაღე და ადგილზე გავქვავდი. ტანში ჟრუანტელმა დამიარა, მუხლები მომეკვეთა. ჩემი ოთახი სავსე იყო მეზობლებით. ისინი გარს შემოხვეოდნენ საწოლს, რომელზეც შუახნის, ჭაღარა, საოცრად დაღლილი, თეთრი სახის გამხდარი ქალი იჯდა. იგი ოდნავ იღიმებოდა და სუსტი ხმით ყვებოდა რაღაცას. ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია. ჭაღარა ქალმა მშვიდად შემხედა, ცოტა ხანს მიყურა. მერე ისევ განაგრძო ამბავი. უცებ საუბარი შეწყვიტა და ისევ დამაცქერდა, ახლა უფრო ხანგრძლივად და დაჟინებით, თვალს არ მაცილებდა, მერე მან შეშინებული თვალებით შეხედა ჩემს კარის მეზობელს, მან თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, მაშინ ჭაღარა ქალი ადგა, მას ხელები და ტუჩები უკანკალებდა, იგი საოცრად ჰგავდა იმ ქალს, რომელმაც ამ 12 წლის წინ, ღამის ოთხ საათზე გამაღვიძა, პირჯვარი გადამსახა და მკერდზე მაკოცა. მერე იგი წაიყვანა ორმა მამაკაცმა. ეს იყო ჩემი დედა. ახლა მე და მას სულ სამი ნაბიჯი გვაცილებდა, იგი მოდიოდა ჩემკენ, ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯით, უკვე მესმოდა მისი სუნთქვა, მინდოდა შევბრუნებულიყავი და გავქცეულიყავი, მაგრამ არ შემეძლო, მე უბრალოდ დავხუჭე თვალები და ველოდი, რა მოხდებოდა. მერე მე ვიგრძენი მისი თავი ჩემს მხარზე და გავიგონე ჩუმი ჩურჩული:

– გამარჯობა, შვილო....

– გამარჯობა, შვილო, და ასე განუწყვეტლივ, დიდხანს, ძალიან დიდხანს, – გამარჯობა, შვილო... მე მივხვდი, რომ იგი ელოდა პასუხს, – გამარჯობა, დედა, – მაგრამ ვერ შევძელი.

– გამარჯობა, ქალბატონო!.. – ვთქვი და ტირილი დავიწყე“.

37 წლის ტრაგედიაგამოვლილი ახალგაზრდების გაუცხოვება გადასახლებიდან დაბრუნებულ საკუთარ დედებთან საყოველთაო პრობლემად იქცა, რადგანაც ჩვენი ახალგაზრდა, ლამაზი, განათლებული, სიცოცხლით სავსე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული, ყოველნაირად სასარგებლო დედები წაიყვანეს და ადრიანად გაჭაღარავებული, უკანონოდ დასჯილი და ტრავმირებული დედები დაგვიბრუნეს. ჩვენ კი, პატარა, უსუსური ბავშვების ნაცვლად, ზრდასრული, სიყმაწვილეში შესული ქალ-ვაჟები დავხვდით, რასაც არცთუ ადვილად ეგუებოდნენ ჩვენი დედები.

ბატონ ნოდარს პირადად ვიცნობდი. კარგად ვიცნობ მის მშვენიერ მეუღლეს, ნანული გუგუნავას. იგი ქერა, ცისფერთვალება, ფერიასავით ლამაზი გოგონა იყო. მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი მათი წრფელი სიყვარულის მომსწრენიც კი ვართ და პირველებს სწორედ ჩვენ გვაჩვენა ქალბატონმა ნანულიმ, მშობლებისაგან დაფარულად, ნოდართან საქორწინო ხელმოწერის შედეგად ბეჭედჩარტყმული პასპორტი, ახლაც თვალწინ მიდგას მისი ბედნიერებისგან გაბრწყინებული ლამაზი თვალები. მათ შესანიშნავი ოჯახი შექმნეს ორ ქალიშვილთან – მანანასა და ქეთინოსთან ერთად და ბოლომდე ისევე უყვარდათ ერთმანეთი, როგორც დასაწყისში.

ნოდარ დუმბაძე ყოფით ცხოვრებაშიც ისეთივე იუმორით სავსე, მხიარული და გულიანი იყო, როგორც მისი ნაწარმოების გმირები არიან, რაც სიცოცხლის ბოლო წუთებშიც დაადასტურა: „მიშველეთ! ვკვდები!“-ს ნაცვლად, სიმღერით გამოესალმა სიცოცხლეს!..

მე და ნოდარს ერთნაირად გვიყვარდა ჩვენი გურია, თბილისი და ვერის უბანი. მისი უდროოდ წასვლა ძალიან მტკივნეულად განვიცადეთ ყველამ და ახლაც ხშირად სინანულით ვიხსენებთ ახლობელთა წრეში, მაგრამ ბატონი ნოდარი, რასაკვირველია, უკვდავია თავისი დიდებული ნაწარმოებებით და როგორც სიცოცხლეში, ახლაც იმ სიკეთით, ჰუმანობით, შეწყალებითა და კაცთმოყვარეობით გვმოძღვრავს, რაც, სამწუხაროდ, ძალიან აკლია დღევანდელ საქართველოს.

იგი წარმოშობით ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავიდან იყო. მე – ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთიდან. ეს ორი სოფელი თავიანთი ადათ-წესებით ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება ისევე, როგორც მთელი გურია.

**მედეა თიკანაძე**



# გარდაიცვალა ზაირა არსენიშვილი



თანამედროვე ქართულმა მწერლობამ და კინემატოგრაფიამ მტკივნეული დანაკლისი განიცადეს – გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და კინოსცენარისტი ზაირა ივანეს ასული არსენიშვილი, მრავალმხრივი, მრავალწახნაგოვანი შემოქმედი, ფართო თვალსაწიერის მქონე, თხემით ტერფამდე დახვეწილი ინტელიგენტი, ღვთიური მადლით, სულიერებით სავსე პიროვნება..

ზაირა არსენიშვილი 1933 წლის 30 ნოემბერს, ქალაქ თელავში დაიბადა. 1949 წელს, საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო... უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, ზაირა არსენიშვილი, სხვადასხვა დროს, მუშაობდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ორკესტრის მსახიობად (მევიოლინედ), კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოდრამატურგთა გაერთიანების რეზო თაბუკაშვილის სახელოსნოში, კინოსტუდიის მეორე შემოქმედებითი გაერთიანების უფროს რედაქტორად, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული კინოცენტრის სასცენარო კომისიის წევრად...

ზაირა არსენიშვილი ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ეწეოდა, როდესაც ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში ზედიზედ გამოქვეყნდა მისი მოთხრობები. ამ მოთხრობებმა იმთავითვე მიიპყრო მკითხველისა და სალიტერატურო საზოგადოების ყურადღება უშუალობით, მწერლური ოსტატობით, საგნებისა თუ მოვლენების უბადლო აღწერის უნარით, ადამიანური თანალმობით და თანაგრძნობით. განსაკუთრებით საყურადღებო გამოდგა ალეგორიული ხასიათის მქონე, ტრაგიზმით და დრამატიზმით აღსავსე მოთხრობა „შაჰაბაზა“, ზაირა არსენიშვილის ნიჭიერების ერთი უმშვენიერესი დასტური. მას შემდეგ ზაირა არსენიშვილის მოთხრობები, რომანები, კინოსცენარები პერიოდულად ქვეყნდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად, საფუძვლად ედებოდა კინოსტუდია „ქართულ-ფილმში“ გადაღებულ მხატვრულ კინოფილმებს.

ზაირა არსენიშვილმა თავის რომანებში დამაჯერებლად, მთელი სისავსით აღწერა XX საუკუნის საქართველოს შუქ-ჩრდილები, ტკივილამდე მისული ტრაგიზმით დაგვანახა გასული საუკუნის 30-იანი წლების საშინელებანი, ის, თუ როგორ ითელებოდა ადამიანი, როგორ ჯიჯგნიდა საბჭოთა იმპერია ქართველობის სულსა და გონებას, როგორ ცდილობდა მის გადაგვარებასა და გადაჯიშებას. ზაირა არსენიშვილის რომანების გმირები უფსკრულში გადაკიდებულ ნამეხარ ხეებს წააგვანან, დასაღუპად განწირულ ხეებს, რომლებსაც თუ რამ აკავებდათ ცოდვით დაცემულ დედამიწაზე მხოლოდ იმის შეგრძნება, რომ ჭკუა და აზროვნება თავისუფლების გარეშე არ არსებობს. აზროვნება უკვე ნიშნავს თავისუფლებას, მაგრამ როცა თავისუფლებას ებრძვიან, ძალიან ხშირად აზროვნება გმირობას ნიშნავს. კიდევ ერთი ნიშანი, რაც ამ პერსონაჟებს გამოარჩევთ, ისაა, რომ მიუხედავად წარმოუდგენელი ფიზიკური თუ სულიერი გვემისა, ისინი არ კარგავენ თანაგრძნობისა და მიტევების უნარს, კარგად აქვთ გასიგრძეგანებული, ყველამ რომ ის მიიღოს, რისი ღირსიც არის, ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა...

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზაირა არსენიშვილის ღვაწლი ქართული კინემატოგრაფიის განვითარებაში. მისი კინოსცენარების მიხედვით იქნა გადაღებული დიდი ქართველი რეჟისორის ლანა ღოღობერიძის ისეთი გახმაურებული ფილმები, როგორიცაა „როცა აყვავდა ნუში“, „აურზაური სალხინეთში“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „დღეს ღამე უთენებია“, „ორომტრიალი“, „ვალსი პეჩორაზე“.

ზაირა არსენიშვილის მრავალწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობა სამგზის აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო პრემიით. მინიჭებული ჰქონდა აგრეთვე „საგურამოს“ პრემია.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

9-15 სექტემბერი 2015 | № 36 (300)



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## საინფორმაციო მხარდაჭერა





„თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ აცხადებს სტუდენტთა მიღებას პროფესიული პროგრამების ფაკულტეტზე:

**1)** სამართლის მიმართულებით კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპია) სპეციალობაზე მესამე საფეხური (წინაპირობა: საბაზო განათლების (**9** კლასი) ატესტატი ), მეოთხე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მესამე საფეხურის დიპლომი), მეხუთე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის ხანგრძლივობა მესამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური **1200** ლარი.

პროგრამის ხანგრძლივობა მეოთხე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური **1500** ლარი.

პროგრამის ხანგრძლივობა მეხუთე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური **1500** ლარი.

კურსდამთავრებულს ენიჭება კრიმინალისტის შესაბამისად მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

**2)** მცირე ბიზნესის მწარმოებლის სპეციალობის მეოთხე (წინაპირობა: საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი) და მეხუთე საფეხურზე (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის ხანგრძლივობა მეოთხე საფეხურზე 60 კრედიტი (ორი სემესტრი);

სწავლის საფასური **1500** ლარი.

პროგრამის ხანგრძლივობა მეხუთე საფეხურზე – 120 კრედიტი (ოთხი სემესტრი);

სწავლის საფასური **1500** ლარი (წლიური).




კურსდამთავრებულს ენიჭება მცირე ბიზნესის მწარმოებლის შესაბამისად მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

საბუთები მიიღება 1 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე.
სწავლა დაიწყება 28 სექტემბერს.



საბუთების ნუსხა: სკოლის ატესტატი, ვაჟებისათვის სამხედრო აღრიცხვის ბარათი,

**2** ფოტო სურათი (**3X4**), დაბადების მოწმობა, განცხადება.

სურვილის შემთხვევაში გადახდის გრაფიკი შედგება ინდივიდუალურად სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

მისამართი: თბილისი, ნინოშვილის ქ. **55**
ტელ.: **2960104**
tbuniver.edu@gmail.com

№ 36 (200)
9-15 სექტემბერი 2015
ქართული სიტყვა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

განათლება

# თამარ სანიკიძეს სასამართლოში უჩივლეს

**პროფესიული განათლება ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია და, წესით, საქართველოშიც ასე უნდა იყოს, მაგრამ ჩვენთან არსებული სისტემების გაჯანსაღებას, როგორც ჩანს, ძალიან დაჩქარებული ტემპით ცდილობენ, რამაც შესაძლოა, ცუდი შედეგი მოიტანოს: ახალ მოდელურ პროგრამას, რომელიც პროფესიული განათლების სისტემაში უნდა დაინერგოს, პილოტირება ჯერ არ გაუვლია, თუმცა მისი ავტორიზაციის საკითხი უკვე დგას. პროფესიული სასწავლო დაწესებულებების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე „ქართულ სიტყვას“ „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე დენის დავითაშვილი ესაუბრა:**



— 2013 წლის 26 დეკემბერს, №300-ე ბრძანებით, პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა პროფესიული განათლების ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. 2014 წელს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პრემიერის ბრძანების საფუძველზე, მოდელური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შეემუშავებინა და ამის შემდეგ პილოტირება უნდა დაწყებულიყო. 2015 წლიდან კი, პროფესიულ სასწავლებლებში სასწავლო პროცესი ახალი პროგრამით გაგრძელდებოდა. ამავდროულად, განათლების სამინისტროს უნდა შეემუშავებინა პროფესიული განათლების ახალი სტანდარტები, ჩარჩო-დოკუმენტები, სახელმძღვანელოები, წლის ბოლომდე კი, ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად უნდა გამოეკვლია, თუ რომელი პროფესიებია საქართველოში პრიორიტეტული. სამწუხაროდ, განათლების სამინისტრომ ამ პროცედურების განხორციელება 2014 წელს ვერ მოახერხა და, ცალკეულ შემთხვევებში, მოდელური პროგრამების პილოტირება დაიწყო, რაც ჩვენს მიერ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ შეწყდა. ახლა კი, განათლების მინისტრმა ჩარჩო-დოკუმენტების, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო-სახელოსნოების არარსებობის მიუხედავად, არაკომპეტენტურ საბჭოსთან ერთად, პილოტირების ავტორიზაციის დაწყება გადაწყვიტა. დარგობრივმა საბჭოებმა რაღაც სტანდარტები და ჩარჩო-დოკუმენტები მიიღეს, რომლებიც პროფესიულ სასწავლებლებს გადაეგზავნათ, მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა, რომ ხსენებული საბჭოები დახურულია და საჯარო არაა. მინისტრის ერთი და ეროვნული ცენტრის 5 ბრძანება საქალაქო სასამართლოში გავასაჩივრეთ — სარჩელი უკვე წარმოებაშია მიღებული. მოვითხოვთ: ვიდრე სასამართლო ამ 6 ბრძანების კანონიერების შესახებ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ეროვნულმა ცენტრმა ახალი პროგრამები ავტორიზაციაში არ გაატაროს... როცა სასამართლო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, ამ პროგრამებში ჩართული სტუდენტები და მასწავლებლები ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან — მათთვის სასწავლო პროცესი შეწყდება!

ეროვნულმა სასწავლო ცენტრმა საბჭოში პროფკავშირების კვალიფიციური წევრები არ შეიყვანა და მათ მაგივრად ყველაფერს ის პიროვნებები წყვეტენ, რომელთა განათლებაც ეჭვქვეშაა. უპრიანი იქნება, წელს სასწავლო პროცესი იმ პროგრამებით დაიწყოს, რომლებიც ძალაში 2019 წლის იანვრამდეა. ამ სიახლის დანერგვა მას შემდეგ დავიწყოთ, რაც პილოტირება განხორციელდება და ახალი პროგრამების ავ-კარგიანობა დადგინდება,. 27 აგვისტოს ახალი პროგრამის ავტორიზაციის სხდომა იყო დანიშნული, რომელსაც 9 წევრიდან მხოლოდ 3 დაესწრო, თავმჯდომარეც კი არ მისულა. საბჭოს წევრებს მივმართე, რომ ყველაფერ ამაში მონაწილეობას ნუ მიიღებდნენ და, როგორც ჩანს, კეთილგონიერი ადამიანები იქაც აღმოჩნდენ. მოკლედ, სხდომა ჩაიშალა...

ახალი პროგრამების ჩარჩო-დოკუმენტების არსი იმიტომ არ მომწონს, რომ არაკომპეტენტური ადამიანების მიერაა შექმნილი. პილოტირება ჯერ არ ჩატარებულა და არავინ იცის, სტუდენტებს რას ასწავლიან. ნორმატივებიც კი არაა დადგენილი, სწავლისთვის საჭირო სხვა კომპონენტებზე აღარაფერს ვამბობ...

**— ახალი პროგრამის ავტორიზაციის დაჩქარება რა აუცილებლობა იყო?**

— ევროპის ქვეყნებში ახალი სასწავლო პროგრამებით ასწავლიან. ინოვაციის დანერგვის ვალდებულება ჩვენც ავიღეთ, მაგრამ ყველაფერს უკუღმა ვაკეთებთ — ჯერ პილოტირებაც კი არ ყოფილა და უკვე ავტორიზაციას აპირებენ. ისიც არ ვიცი, პრიორიტეტული რა სპეციალობებია და სიახლის დანერგვა სრული უაზრობაა. სასწავლებლებში ჩასარიცხად სტუდენტების რეგისტრაციაც არ დაწყებულა. ამიტომ დიდი შანსია, სწავლა, სექტემბრის ნაცვლად, დეკემბერში დაიწყოს. ამ დროის განმავლობაში, პედაგოგებმა რა ქნან? — უხელფასოდ იყვნენ? ასე რომ, ნება იბოძონ და ახალი პროგრამების ავტორიზაციის საკითხი მხოლოდ პილოტირების შემდეგ განიხილონ, სხვა შემთხვევაში, სწავლა დეკემბრამდე ვერ განახლდება და როცა დაიწყება, ისიც არ ვიცი, რა სახელმძღვანელოებითა და ფორმატით წარიმართება.

**ესაუბრა დავით გალაშვილი**

პრობლემა

**საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჯარისკაცთა თვითმკვლელობა არცთუ იშვიათია, რისი მიზეზიც, როგორც თავდაცვის მინისტრი, თინა ხიდაშელი აცხადებს, ძირითადად, აზარტული თამაშებით გამოწვეული ვალებია. მინისტრი გამოდის ინიციატივით, რომ ლუდომანიით დაავადებული სამხედრო მოსამსახურეები ჯარიდან დაითხოვონ: „ნებისმიერი პირი, რომელიც მუშაობს თავდაცვის სამინისტროში, თუ შემჩნეული იქნება და დაუდასტურდება, რომ აზარტული თამაშებითაა დაკავებული, პირველივე შემთხვევაში, გათავისუფლდება სამხედრო სამსახურიდან და ვეღარ აღდგება“. ხიდაშელის ამ ინიციატივას „ქართულ სიტყვასთან“ იურისტი ლევან ალაფიშვილი აფასებს:**

# აზარტული თამაშების მოყვარულებს ჯარიდან დაითხოვენ

**„პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იყო ლუდომანიით დაავადებული ადამიანი, რომელმაც სახელმწიფოს დიდი ზარალი მიაყენა“**

— სამწუხაროდ, სუიციდის ფაქტებს რადიკალური ზომებით ვერ აღმოვფხვრით — იქ, სადაც ადამიანი და სოციალური პირობები არსებობს, ასეთი სამწუხარო მოვლენები ყოველთვის იქნება, თუმცა სხვა საკითხია, ტრაგიკული შემთხვევები რა სიხშირითა და სიმძიმით გამოვლინდება.

**— კი ბატონო, მაგრამ ჯარში სუიციდის შემცირება მაინც როგორ შეიძლება და რა პრევენციული ზომებია გასატარებელი?**

— ეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთად ზრუნვის საგანია — ასეთი ტრაგიკული შემთხვევები, მეტწილად, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის ბრალია. მაშინ, როცა გამდიდრების იოლი გზით ცდუნება არსებობს, ბევრ ტრაგიკულ ფაქტს უნდა ველოდოთ. არ მაქვს ზუსტი რეცეპტი, თუ რა უნდა გაკეთდეს სუიციდის შემთხვევების მინიმალიზაციისთვის... სუიციდის უპირობო ფაქტორი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონია და ასეთ დროს მხოლოდ კანონი და აკრძალვა ეფექტური ვერ იქნება. მაგალითად, ნარკომანია ადმინისტრაციული კანონითა და სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია, თუმცა ამ მხრივ პრობლემა მაინც არსებობს — ნარკომომხმარებელთა რაოდენობა არ მცირდება. აკრძალვით კი, ნარკომანიით დაავადებულნი კრიმინალის სტატუსსაც იძენენ, რაც მათ მდგომარეობას უფრო ამძიმებს, მაგრამ რამის კრიმინალიზაცია ეფექტური ვერასოდეს იქნება, საჭიროა ინსტიტუციური მოწესრიგებაც, მაგალითად, სარეაბილიტაციო ცენტრების გახსნა, საკონსულტაციო-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსება და ა.შ. კრიმინალიზაცია ყოველთვის უკუეფექტს იძლევა — თუ კანონით რომელიმე ნივთიერებას ავკრძალავთ, აუცილებლად გაჩნდება მისი ალტერნატივა.

სახელმწიფო ასანთის ტარებას ხომ ვერ აკრძალავს? — ამას იმიტომ ვამბობ, რომ ადამიანმა აზარტული თამაშები შესაძლოა, ასანთის ღერებითაც ითამაშოს.

ამიტომაც ვამბობ, რომ ჯარში ლუდომანიის აკრძალვისთვის სახელმწიფოს რადიკალური ნაბიჯები არასაკმარისია. ამ სენით დაავადებულ ადამიანებს საზოგადოებრივი სოლიდარობა სჭირდებათ და არა — გარიყვა. ისე, ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის 80% მართლმადიდებელია, ლუდომანია ამ მასშტაბებს აღწევს...

**— ესე იგი, აზარტული თამაშებით დაკავებული ადამიანების სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლება პრობლემას ვერ მოაგვარებს, არა?**

— არ მგონია, რომ სამინისტრო მხოლოდ ამ რადიკალური ზომებით შემოიფარგლოს. ვფიქრობ, პრევენციულ ზომებსაც გაატარებენ და სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლება მხოლოდ საბოლოო გამოსავალი იქნება. თუ არ ვცდები, მინისტრმა განაცხადა, რომ რაღაც საპრევენციო ინსტიტუციების შექმნას გეგმავენ. სხვათა შორის, მხოლოდ თავდაცვის სამინისტროსა და ჯარს არ აქვს ლუდომანიის პრობლემა, ეს საკითხი თითქმის ყველა საჯარო დაწესებულებას თუ ინსტიტუტს აწუხებს. ამიტომ, უფრო კომპლექსური ზომები უნდა მივიღოთ. მაგალითად, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იყო ლუდომანიით დაავადებული ადამიანი, რომელმაც სახელმწიფოს საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა. თუნდაც შსს-ში, ან უშიშროებაში ადამიანებს ხელი ძალიან კონფიდენციალურ ინფორმაციებზე მიუწვდებათ და თუ სუსტი ნებისყოფა აქვთ, მაშინ მათი მოღვაწეობა არასახარბიელოა.

**— ამდენი ტრაგიკული შემთხვევა კაზინოებისა და ტოტალიზატორების პოპულარიზაციის შედეგი ხომ არაა?**

— რა თქმა უნდა, თუმცა სათამაშო დაწესებულებების მიღმა ძალიან დიდი სივრცე არსებობს, რომელიც ადამიანებს აზარალებს. შესაბამისად, მთელი ამ პრობლემის არსი კაზინოების რეკლამირება არაა. ამ პრობლემაზე ყველა ერთად უნდა დავფიქრდეთ. ჯარი, რა თქმა უნდა, პირველადი განხილვის თემა უნდა იყოს იმიტომ, რომ ძალიან დიდი სანდოობით სარგებლობს. ეს თემა არ უნდა იყოს ტაბუდადებული და სტიგმასთან ასოცირებული...

**ესაუბრა დავით გალაშვილი**



ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ქართული სიტყვა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

9-15 სექტემბერი 2015 | № 36 (300)

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა



რეალობა

# „ერთი ნაჭერი კარაქი ჩამოვაჭერი და რძალმა მისაყვედურა, რატომ ჭამ, ბავშვებისააო“

**რამდენიმე დღის წინ თბილისში, მანამდე კი, რეგიონებში ელექტროენერგია თითქმის 4 თეთრით გაძვირდა. თბილისის მერმა, ნარმანიამ განაცხადა, სოციალურად დაუცველ ოჯახებს ამ ნამატს დავუფინანსებთო, თუმცა სოციალურად დაუცველთა მხოლოდ იმ კატეგორიას, რომელსაც 70 000, ან უფრო დაბალი ქულა აქვს მინიჭებული... ელექტროენერგიის გაძვირებაზე თბილისელების აზრი ასეთია:**



**ვახტანგი, 54 წლის:** — საქმე მხოლოდ ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ხომ არაა?.. ენერგოტარიფების გაძვირება აუცილებლად გამოიწვევს პროდუქტებზე ფასების ზრდას. იმ შემოსავლით, რომელსაც ჩემი ოჯახი იღებს და თავი ძლივს გაგვქონდა, ახლა გაცილებით ნაკლები რაოდენობის პროდუქტის შეძენას შევძლებთ. შესაბამისად, არამხოლოდ ელექტროენერგიის ტარიფი გაძვირდა, არამედ, ზოგადად, — ცხოვრების დონეც. საერთოდ, გაურკვეველია ელექტროენერგიის ტარიფის შემადგენელი რომელი ნაწილი გაძვირდა და რადგან ამას არავინ გვიკონკრეტებს, ვერსად გავექცევით ეჭვს, მართლა გაძვირდა, თუ გააძვირეს?!

**მარი, 19 წლის, სტუდენტი:** — როცა ხალხს უჭირს, გაძვირება უსამართლობაა, მაგრამ ბიუჯეტში ფული უნდა შევიდეს და ეს ისევ ჩვენი ჯიბიდან უნდა მოხდეს. ამიტომ, ამ ნამატსაც უნდა შევეგუოთ.

**ვასკა, 17 წლის, მოსწავლე:** — აააა... ეგ, სუბსიდირებაო და რაღაცაო, ეგაა, ხო? რავი, გაძვირდა, მაგრამ ეს ტერმინოლოგია მაგრად მღლის. ხომ შეიძლება, სუფსიდირების ნაცვლად დაფინანსება თქვან, მაგრამ მაშინ ჩვენი ჩინოვნიკები ჭკვიანები აღარ გამოჩნდებიან და ჩვენს, უბრალო ხალხის დონეზე დაეცემიან... სიმართლე რომ გითხრა, ახალი ამბების კითხვასა და მოსმენას, ლიტერატურის კითხვა და მუსიკის მოსმენა მირჩევნია. ამიტომ, ბევრს ვერაფერს გეტყვი.

**დათო, 38 წლის:** — რა თქმა უნდა, სასიამოვნო სიახლე არაა, მაგრამ რა ვქნათ? მაინც და მაინც, ოპოზიციას დავემსგავსოთ, რომელსაც სხვა საქმე არაფერი აქვს და ნებისმიერ მოვლენას ეჭვის თვალით უყურებს? საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში თავის საქმეს არავინ აკეთებს, თორე ასეთ დღეში არ ვიქნებოდით. კი, გაძვირდა, მაგრამ ეს სახელმწიფოა და თუ ევროპისკენ მიმავალ გზაზე გვინდა სიარული, ბევრი სირთულე შეგვხვდება და არ უნდა ვიწუწუნოთ.

**ლია, 42 წლის**: — აბა, რა გითხრათ? ჯერ, ალბათ, იმდენად ვერ ვიგრძნობთ, მაგრამ ზამთარში ნამდვილად გაგვიჭირდება. ამ მთავრობამ ისე დაიწყო და გააგრძელა, დარწმუნებული ვარ, ბოლოს ცუდად დაამთავრებს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს.

**ანა, 20 წლის, სტუდენტი:** — საშინელებაა... გაიაფებისა და უამრავი დაპირების ნაცვლად, კვლავ გაძვირდა. ჩემი თაობის წარმომადგენლებს, სამწუხაროდ, ნაკლებად ანაღვლებთ, რადგან ელექტროენერგიის საფასური, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი, მშობლების გადასახდელია.

**ვაჟა, 64 წლის, სოციალურად დაუცველი:** — საერთოდ, აღარაფრის იმედი აღარ მაქვს, საერთოდ... ზამთარია თუ ზაფხული, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, გაუძვირებელსაც ვერ ვიხდიდი?! ტანსაცმელიც კი ერთი და იგივე მაცვია. ცოლი აღარ მყავს, შვილები არ მყოლია და, რა ვიცი, იმედია, ერთხელ დავიძინებ და აღარც გავიღვიძებ, ან ზამთარში გავიყინები!

**ეკა, 32 წლის:** — 4 თეთრი ბევრი არაფერია, ამაზე უარესებიც ხდება. ნეტავ, ბავშვებისთვის საჭირო წამლები და ნივთები გააიაფონ... 3 პატარა მყავს და რომ იცოდეთ, რა ძვირი ჯდება მათი შენახვა. ეს პრობლემა უფრო მაწუხებს... რა თქმა უნდა, ელექტროენერგიის გაძვირება ცუდია.

**მალხაზი, 47 წლის**: — არ მჯერა, რომ ერთადერთი გამოსავალი გაძვირება იყო. არ მგონია, საერთოდ, საჭირო ყოფილიყო ტარიფის მომატება. ოპოზიციას ვეთანხმები და ვფიქრობ, რომ ის ზედმეტი 4, თუ რამდენი თეთრიცაა, მხოლოდ ჩვენი ჯიბეების ამოცარიელებას ემსახურება. სუბსიდირებაო, გაიძახიან... რა თქმა უნდა, სოციალურად დაუცველთა გარკვეულ ნაწილს დანამატს არ გადაახდევინებენ, მაგრამ ვინც სულ ტყუილად გადაიხდის, მათ რა ვუყოთ?! თან, გარკვეული ნაწილი, საერთოდ ამოიღეს სოციალურად დაუცველთა სიიდან.

**თამაზი, 37 წლის:** — კარგი, მოსახლეობა გადაიხდის ზედმეტ 4 თეთრს, მაგრამ დენის ტარიფის გაძვირება, პირველ რიგში, ბიზნესის გაძვირებას გამოიწვევს, ეს კი, თავის მხრივ, ინვესტორებს დააფრთხობს. საერთოდ, ასეთ რამეს ბევრი ცუდი შედეგი მოაქვს ხოლმე.

**მხოლოდ ელექტროენერგიის კი არა ნებისმიერი რამის, ანუ ცხოვრების გაძვირებას ყველაზე მძაფრად ის ადამიანები განიცდიან, რომლებსაც ყველაზე მძიმე ფინანსური მდგომარეობა აქვთ. ასეთი ადამიანები, ძირითადად, სოციალურად დაუცველები არიან, მათი რაოდენობა კი, სამწუხაროდ, საქართველოში არცთუ ცოტაა. „ქართული სიტყვა“ სოციალურად დაუცველ ერთ-ერთ ოჯახს დაუკავშირდა...**

19 წლის ანა სულაქველიძის (რესპონდენტის სახელი და გვარი, მისი სურვილისამებრ, შეცვლილია. ამავე მიზეზით, მისი ასაკის გარდა, ოჯახის სხვა წევრების ასაკს არ ვაკონკრეტებთ) ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს. თბილისის ერთ-ერთ უბანში, 2-ოთახნახევრიან ბინაში ცხოვრობს ანაზე უფროსი და ეკა და, ასევე, უფროსი ძმა, ცოლითა და 2 შვილით. რესპონდენტის ძმა გაფორმებულია სამსახურში, სადაც 300 ლარს იღებს. მუშაობს ეკას დაც, მაგრამ მის მიერ ყოველდღიურად მაღაზიაში ნაშოვნი 8 ლარიდან ოჯახს რამე იშვიათად თუ რჩება, რადგან დილიდან ღამემდე მაღაზიის დახლთან მდგარს ერთხელ მაინც სჭირდება ჭამა და, როგორც სახლიდან სამსახურში წასვლა, ასევე, იქიდან შინ დაბრუნება. ყველაფერი ეს კი, მოგეხსენებათ, დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული.

**რაც შეეხება რესპონდენტის მშობლებს, ისინი სოფელში ცხოვრობენ და იმასღა ახერხებენ, რომ რამენაირად თავს მიხედონ და შვილებს კისერზე არ დააწვნენ.**

„მშობლები მხოლოდ სოფლიდან საჭმლის გამოგზავნას თუ ახერხებენ და ამასაც ძალიან იშვიათად. საქონელი არ ჰყავთ, არც მეურნეობა აქვთ. ერთადერთი ღორი ჰყავთ, რომელიც ჯერ პატარაა და იმედია, როცა დრო მოვა, გოჭებს მაინც მოგვცემს. გადასახადებს ხან ჩემი ძმა იხდის, ხან — ჩემი და. ასე ვართ... 2 თვის წინ, გადაუხდელობის გამო, გაზი ჩაგვიჭრეს... სარეცხის მანქანაც არ გვაქვს. ჩვენი სიღარიბის ზღვარი იმდენად დაბალია, რომ დაახლოებით, 300 ლარს სახელმწიფო გვაძლევს. პირადად მე, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსიც მაქვს, მაგრამ რაც სრულწლოვანი გავხდი, შესაბამისი დახმარებაც მომიხსნეს. წლინახევრიდან ხერხემლის გამრუდება მქონდა. შემდეგ გართულდა, მკურნალობას აღარ დაექვემდებარა და ოპერაციის გაკეთება დამჭირდა. მაშინ 10 000-ლარიანი ოპერაცია მთლიანად სახელმწიფომ დამიფინანსა. შემდეგ ავარიაში მოვყევი, ორგანოები გამისკდა და ოპერაცია გამიკეთეს. ახლა მკურნალობა აღარ მჭირდება, მაგრამ ფიზიკური დატვირთვა, 1 კილოგრამის აწევაც კი, აკრძალული მაქვს. სახლსაც რომ ვალაგებ, ხშირად უნდა წამოვწვე და დავისვენო, რადგან ხერხემალში ფიქსატორი მიდგას. ჩემს ძმას სწორნაწლავის პრობლემა აქვს და ოპერაციასაც ვერ იკეთებს, რადგან დაზღვევა მხოლოდ 70%-ს უფინანსებს და დანარჩენის საშუალება არ არის.

წელს „ილიაში“ ჩავაბარე, მაგრამ უსახსრობის გამო, შეიძლება, ვერ ვისწავლო. დაფინანსებაში ვერ მოვხვდი, მაგრამ რადგან ჩემი ფიზიკური მუშაობა არ შეიძლება, უნივერსიტეტი ერთადერთი შანსილაა და ვაპირებ, განცხადება დავწერო, რომ იქნებ, ჩემი სტატუსის გამო, სწავლა დამიფინანსონ. 2 250 ლარია გადასახდელი“, — ამბობს 19 წლის ანა.

**ოჯახს პრობლემა, რა თქმა უნდა, საკვების მხრივაც აქვს, განსაკუთრებით, მას მერე, რაც დოლარის კურსი და ტარიფები გაიზარდა. ისიც ცხადია, რომ მათ კვების რაციონში ხორცი და მსგავსი „ძვირადღირებული“ პროდუქტები არ შედის. ჭამენ მხოლოდ იმას, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელი და შედარებით იაფია — პურს, კარტოფილს, მაკარონს...**

## წერილი რომელიც გუგული მაღრაძემ აუცილებლად უნდა წაიკითხოს!

**ამ სახლში 2 მცირეწლოვანი ბავშვი ცხოვრობს, რომლებსაც ვერ აუხსნი, რატომ უნდა ჭამონ ცოტა. სათამაშოები, შოკოლადი და ბავშვისთვის საყვარელი სხვა რაღაცები მათთვის არ არსებობს.**

**ანა:** „— მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ფული საჭმელზე გვეყოს. რაიმე ახლის შეძენასა და სხვა დამატებით სიამოვნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. თვიდან თვემდე 6 ადამიანს, იდეალურ შემთხვევაში, 600 ლარით გაგვაქვს თავი. ყველა ხარჯი ამ ფულში შედის, თუნდაც ჩემი დის, ძმისა და ჩემი ტრანსპორტირება. არადა, ბავშვებს იმდენი რამ სჭირდებათ... საჭმელს, როცა გვინდა, ნამდვილად ვერ ვჭამთ და ვიცით, რომ რაღაც დოზა უნდა ვიკმაროთ. უნდა გაითვალისწინო, რომ შენს გარდა სხვასაც შია. დღეში, მაქსიმუმ, 3 პური უნდა გვეყოს. ვიდრე გაზს გაგვითიშავდნენ, ფქვილს ვყიდულობდით და პურს სახლში ვაცხობდით, ასე უფრო იაფი ჯდებოდა. ყოფილა შემთხვევა, ერთი ნაჭერი კარაქი ჩამომიჭრია და ჩემს რძალს საყვედური უთქვამს, რატომ ჭამ, ხომ იცი, ბავშვებისააო. თვიდან თვემდე მხოლოდ საკვებში 150 ლარი, ან ოდნავ მეტი უნდა ვიმყოფინოთ. თუ პროდუქტების გაძვირებამდე ფული გვყოფნიდა, ახლა ძლივსღა გვყოფნის“.

ყველაფერი ეს, ფინანსურის გარდა, მორალური დისკომფორტიცაა და ანა ვერ ცხოვრობს, ვერ იქცევა ისე, როგორც მისი თანატოლების უმრავლესობა. მითხრა, როცა ფეხსაცმელი გამფუჭებია და ახლის ყიდვა შეუძლებელი ყოფილა, მეგობარს უჩუქებიაო.

**ანა:** „— რამდენჯერ მდომებია, მეგობრებთან ერთად სადმე წავსულიყავი, მაგრამ მაგის 2-3 ლარი რომ არ მქონდა, დავრჩენილვარ, თუმცა მათ ჩემი მდგომარეობა იციან და ბევრჯერ საკუთარი ხარჯებითაც დავუპატიჟებივარ...“

**ბექა ლიბრაძე**

**რედაქციისგან: კარგი იქნება, თუკი ამ წერილს რომელიმე მაღალჩინოსანი, ან დეპუტატი, მაგალითად, გუგული მაღრაძე წაიკითხავს. დიახ, ქალბატონ მაღრაძეს ამ წერილის წაკითხვა, როგორც იტყვიან, დღეში სამჯერ უნდა „მიესაჯოს“. და რატომ, გუგული მაღრაძე? — იმიტომ, რომ ინგა გრიგოლიას „რეაქციაში“, რომელიც ქალბატონ მაღრაძეს, თურმე, არ მოსწონდა და მისი დახურვით არც გული დასწყვეტია, დეპუტატმა მაღრაძემ გარემო მოვაჭრეები მენტორულად დამოძღვრა, რას წუწუნებთ, მეც ვმუშაობ და თქვენზე არანაკლებ ვიღლები, თან შემოსავალი ყველას თავისი ცოდნის და შესაძლებლობების შესაბამისი აქვსო! ქალბატონო გუგული, რატომ გგონიათ, რომ სხვას თქვენზე ნაკლები განათლება ან კომპეტენცია აქვს? უბრალოდ, ის სხვები, თქვენს მსგავსად, საჭირო დროს საჭირო ადგილას ვერ მოხვდნენ... ის სხვები არც სააკაშვილის დედის დაქალები ყოფილან, რომ მერე მისთვის ზურგი ექციათ... საერთოდ, ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ამჯერად, ამით დავკმაყოფილდეთ და ვიდრე ლაპარაკს საკუთარ ღვაწლზე დაიწყებთ და იტყვით, ქვეყნის წინაშე იმდენი დამსახურება მაქვს, ავტომანქანა მემსახურებოდესო, 19 წლის ანასა და მასავით სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ მოზარდებზე იფიქრეთ ან, სულაც, ადექით და, სცადეთ: თვეში თავი 600 ლარად გაიტანოთ და მერე მოგვიყევით, რა განცდა დაგეუფლებათ!**

№ 36 (200)
9-15 სექტემბერი 2015

ქართული სიტყვა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გაბრიელ ეპისკოპოსი

გზა ჭაობისაკენ

# ტუალეტის ქაღალდზე დაწერილი დღიური

ისა ამინი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №30, 31, 32, 33, 34, 35)

**შატალო ქრისტე ღმერთთან**

სიმღერა დაამთავრა ამ ქვაზე დასახეთქმა. კონცერტი გაგრძელდა. ისემც, თქვენი თავიდან ბეწვი ნუ ჩამოვარდება, მე იქ ვერაფერი გავიგე და მოვისმინე. დავმუნჯდი და დავყრუვდი. კიდევ კარგი, ვოვაა ჩემ გვერდით, რა მეშველებოდა. ხელებს იქნევს გამალებით, როდის-როდის გამაგებინა. სმენა დამიბრუნდა.

— ფერი არ გადევს, რას გავხარ, წამოდი.

გონს მოვედი. ასე მგონია, სკოლას გადავდგამ ერთი ადგილიდან მეორე ადგილას. ვატყობ, არც ვოვაა კარგ დღეში. მის სულშიაც შემძვრალა ჟრუანტელობანა. ეტყობა, მასაც მოხვედრია ბელადის ურო. ერთმანეთს დავეჯაჯგურეთ, გამეტებით ვურტყამთ თავებს, ვანჯღრევთ, განადგურებით ვემუქრებით, რაც წინ გადაგველობება. კიბეზე დავგორდით. პირველ სართულამდე ზათქით ჩავაღწიეთ. წამოვდექით, თითი საფეთქელთან დავიტრიალეთ, ძრავები მოვქოქეთ. კენგურუებივით ხტუნვა-ხტუნვით დერეფანში გავჭენდით. ეზოში გავვარდით, სიბნელეს შევერიეთ...

ვილას ახსოვს წიგნები, ალქიმია ქიმია, თავზე მეხი დამატყდა, შემირხია სიმია. მთელი ღამე არ მიძინია. თუ რული მომერეოდა, ის მესიზმრებოდა. ის-მეთქი იმიტომ, რომ არაა საჭირო, მისი სახელი გამუდმებით გიმეოროთ. მე მეკუთვნის, მორჩა და გათავდა. თუ რამე პრეტენზია გაქვთ, ამ წიგნის მეცამეტე გვერდზე გელოდებით სისხამ დილით, დაშნებით, რა თქმა უნდა. გაიმარჯვოს ღირსეულმა. თუ დავეცე, ნუ მიტირებთ დანანებით. მიწაში არ ჩამდოთ, შეშაზე დამწვით. ფერფლი მის ნაფეხურებს მოაყარეთ. ჯერ მთელი ღამე წინ მაქვს. ეს ულიმღამო, პირქუში საძინებელი სულაც არ მეჩვენება გულისამრევად — მისი სული ტრიალებს. მთელ მსოფლიოში მხოლოდ ამ პალატის ფანჯრებიდან მოსჩანან მოკაშკაშე ვარსკვლავები შეუდარებლად. მას მეორე სართულზე სძინავს და ეს შენობაა მთელ ქვეყანაზე საუკეთესო, მიუხედავად იმისა, ბეტონის ფილებითაა შეკოწიწებული. ამ სახლთან ახლოს ვერ მოვა სილამაზით ვერც ლუვრი, თავისი ბრწყინვალე კანდელაბრებით, ვერც — ჰილტონი საპრეზიდენტო აპარტამენტებით. ვერანაირი სამეფო რეზიდენცია საზაფხულო ბაღებით, მომღერალი ფანტანებითა და კოკეტი ფრეილინებით. სადაც ის წევს, მის ოთახში ეულად ჩამოკონწიავებული, იაფფასიანი ასვატიანი ნათურა ათასჯერ და ათიათასჯერ აღემატება ზემოჩამოთვლილ სასახლეებში ჩამოკიდებულ ბროლის მეტიჩარა ჭაღებს. რკინის ზამბარიანი უბრალო „კრაოტი“, რომელშიაც ის წევს, სძინავს და ალბათ, აინუნშიც არ არის, რომ მესამე სართულზე, იმავე ზომის „კრაოტზე“ დევს თმაგაჩეჩილი კრეტინი, გონებაამღვრეული, სულელი ბიჭი, გავარვარებული სულით და ხორცით. ეს ჟანგშეპარული „კრაოტი“ ტოლს არ უდებს, არათუ, სათვალავშიც არ აგდებს, გვერდითაც არ მოიყენებს ძველი ეგვიპტის, სპარსეთისა და ინდოეთის. ფარაონების, შაჰებისა და მაჰარაჯების ოქროს ბუდუარებს. ალბათ, გულში გეცინებათ...

მდგომარეობაში, რომელშიაც შენ ჩავარდნილხარ, ჩემო ბიჭუნი, მასეთ სისულელეებზე ფიქრის დრო არ უნდა გქონდესო. შეიძლება, არც გამიფიქრია ლუვრებზე, ჰილტონებზე, მოღრეცილ სასახლეებზე, მაგრამ დედას გეფიცებით, იგულისხმება, ი-გული-ს-ხმება. მუცლით შობილ ევნუხებზე არა მაქვს საუბარი. ვინც თავი დაისაჭურისა, არც ეგ საქმე მეხება. თავის გზაზე გაუმარჯოთ, მაგრამ ვინც ჩემსავით თმაგაჩეჩილია, ცოტათი დაბნეული, ცოტათი მოსულელო, ჰარიფი და უეშმაკო, სჯერა ირგვლივ ყველა ადამიანისა, სჯერა, არ მოიტყუება — არ მოატყუებენ, ასეთად დარჩება ბოლომდე. რასაც მე განვიცდი ახლა, როგორ ვევნები და ვეწამები, თუ ეს ტალღა არ დაგჯახებია, აქვს რამეს ფასი? რა უფლება მაქვს, სხვას მივუთითო, რა გზით იაროს. მე ახლა, მიუხედავად ასეთი ტკივილისა, რომელსაც ახლავს პატარა სიხარულიც, ეს რომ არ მეგრძნო, საბედნიეროდ, შორს წასვლა არ დამჭირდებოდა — აქვეა სასაფლაო. ვიცი, ჩემი მეგობრები სადაც ინახავენ ბარსა და წერაქვს. თავს ისე ოსტატურად დავიმარხავდი, არათუ ჩემიანები, ჭია-ღუაც ვერ მიპოვიდა, რომ შევესანსლე...



ეს ადგილი იმისთვის დამითმია, ვისი ჯერიც მოვიდა. ჯერ დედამიწაზე მაქვს მოსაგვარებელი დიდი და პატარა საქმეები. როგორ გავიცნო და დავუახლოვდე ამ კაფანდარა გოგოს? საიდუმლო სამსახური წარმატებით მუშაობს. სულიერმა არ იცის ჩემი მდგომარეობა. არავისთვის გამიმხელია ჩემი ხვაშიადი. ორმო ამოვთხარე, სამჯერ ჩავძახე, გადავირიე, ჩამოვხმი, ვდნები. მიწა მივაყარე იმ ადგილას, მეორე დღეს ვეებერთელა ხე დამხვდა ამოსული. ბეროკინამ ხეს ტოტი მოაჭრა, სალამური გამოთალა, დაუკრა და...

მთელი სკოლა ჩვენზე ჭორაობს. ლაქლაქებენ და ლაქლაქებენ, სალაპარაკო არ ელევათ. რა ვქნა, კუდში ხომ არ დავუწყებ დევნას? ჩვენს საკლასო ოთახებს ერთი კედელი ჰყოფს. გამოსავალი მოვძებნე: ეპისტოლარულ-სასიყვარულო-ლიტერატურული ციებ-ცხელება დამეწყო მეც და მთელ ჩვენ ჯოგს. წერილებს ვადგენ ყველა მიჯნურისთვის. ამ საქმეში ბადალი არ მყავს. ბარათების შინაარსი გაჟღენთილია ფრანგული ლიტერატურის ბალზაკისდროინდელი რომანების სულისკვეთებით. ფოსტალიონებად უმცროსკლასელები დაფაცურდნენ. გასამრჯელოდ ბევრს არ ითხოვენ — სადილზე ჩვენი წილი კანფეტები დაინიშნეს ფეხის ქირად. ფოსტის მტრედებივით ღუღუნებენ. რუდუნებით გადააქვთ უსტარი ერთი კლასიდან მეორე, მომიჯნავე კლასში. ეჭვიც არ გვეპარება: დიდი ტვინის ჭყლეტის შედეგად, ათასჯერ გადათეთრებულ-შესწორებული ბარათი ვიდრე ადრესატამდე მიაღწევს, ჯერ სკოლის ცნობისმოყვარე ვარვარებში გადის ფილტრაციას. მთავარი ცენზორი მეშვიდე ბ-ს მოსწავლე სვეტაა. ერთი სვეტას შეგახედათ. ვერ დაიჯერებთ, რომ ეს გოგო ჯერ კიდევ ბავშვია. თექვსმეტი წლისა, ზრდასრული ქალი გეგონებათ, თავდაჯერებული თავის უპირატესობაში. თანრიგოსანია ბირთვის კვრაში. იფრინდას ფოსტალიონ გოგოებს უსაფრდება. მაძებრის ალღოიანია. დგას დოინჯშემოყრილი, სახეზე აწერია, მაგ წერილს, ვიღაც იდიოტის დაწერილს, ნებით მომცემთ თუ გაგაბრტყელოთ მამის ჯვარის ლავაშივითო. გულმოსულია კაცთა მოდგმაზე. არავინ ეფლირტავება, თვით მრავალჭირგამოვლილი ჯანგირა ახმახიც, რომელიც ზედგამოჭრილია სვეტასთვის, ამბობს, რა ვიცი, თავში რა მოეპრიანება. მუშტი რო მითავაზოს, სირცხვილით თავი სად გამოვყოო.

სვეტა ჩამორთმეულ წერილებს გაფაციცებით კითხულობს, ერთი ისეთს გადაიხარხარებს, ფანჯრები ზრიალებენ. თქვე კრეტინებო, გონებაჩლუნგებო, ამების ნაშიერნოო, — დააყოლებს. ადრესატამდე თვითონ მიაქვს ბარათი. მოკლედ, სისხლი გაგვიშრო, წერის ხალისი დაგვიკარგა.

ჩვენი წამება დიდხანს არ გაგრძელებულა. ჯანგირამ იმარჯვა. რა უთხრა სვეტას, გამოცანად დარჩა. ერთ მშვენიერ დღეს, სვეტა გადასხვაფერდა, ბირთვის კვრას შეეშვა (რითიც ფიზკულტურის მასწი გაანაწყენა, მომავალი დაიღუპაო, თქვა მასწმა.), სუნამოც, ინტერნატის ისტორიაში, სვეტამ დაიპკურა პირველმა. გაბედა და პომადაც წაისვა ტუჩებზე. ისეთი ამბავიატყდა, სვეტას სკოლიდან გასარიცხად ჰქონდა საქმე. ფიზკულტურის მასწმა უშველა, მხოლოდ იმ პირობით, თუ ბირთვის კვრას არ მიატოვებდა. ასე არ ივარგებსო, ფანჩატურაში შეგვკრიბა ყველა მიჯნური. წერილების ჩხაპვნასა და მელნით თითების დასვრას ჯობიაო. სვეტა მაგარია! რად გინდა: ვზივართ



ბიჭები სარგადაყლაპულებივით. გოგონები ისევ ცხვირი-ცხვირმიდებულები ჩურჩულებენ და ქირქილებენ. მარტო ჯანგირა და სვეტა საუბრობენ შეხმატკბილებულად. ერთი შეგახედათ. ჩვენი მშობლები გეგონებათ, ისეთი პატარები ვჩანვართ მათთან შედარებით. ისლა დაგვრჩენია, გამოვიდეთ ფანჩატურის წინ, კოჭი გავაგოროთ, ან ლახტი ვითამაშოთ და ასეთი ფორმით მოვაწონოთ თავი რჩეულებს. ვატყობ, კოჭის გაგორება გამოგვდის უკეთესად...

სიყვარულმა დაგვათრო, გამოგვრთო, მაგრამ არ სძინავს, ჩვენი მეშვიდე ა კლასის დამრიგებელს. სათანადო სიმაღლეზე დგას, ხელი შუბლზე აქვს მიდებული, ზვერავს ყველა კუთხე-კუნჭულს. მის გამჭრიახ მზერას ვერაფერს გამოაპარებთ. ვერ იტყვით, რომ დიქტატორია, გულქვა, აუტანელი. თავის მოვალეობას სანიმუშოდ ასრულებს. ნებისმიერი საქმე ალჩუზე აქვს დაყენებული. სიტუაცია კონტროლზე ჰყავს აყვანილი. ვისი საკლასო ოთახია ყველაზე უფრო სუფთა, დალაგებულ-დაწკრიალებული, პარკეტი სარკესავით პრიალა, მერხები დაუჩხაპნელი. ლუპითაც ეძებოთ, ვერ ნახავთ თვითშემოქმედების ნიმუშებს — „გ+მ=ნ“, რომლითაც უხვადაა აჭრელებული გარე კედლები და, როგორც ავი ენები ამბობენ, სხვა კლასის მერხები. ვინ არის ის პედაგოგი, რომლის მზრუნველობითაც ბაღში, რომელიც მეშვიდე ა-ზეა მიმაგრებული, წელიწადის ოთხივე სეზონში ჰყვავიან nაირ-ნაირი ყვავილები. ვისია, ვისია? — ესმასი. ქებათა-ქება ესმა მასწს, რომლის აღსაზრდელებიც დაუღალავად მონაწილეობენ ვიქტორინებში, სპორტულ შეჯიბრებებში, მხატვრულ კითხვაში, კედლის გაზეთის გემოვნებით, შინაარსიანად გაფორმება-გამოშვებაში. აი, ასე ჩიკორივით ტრიალებს ესმა მასწი., ჩვენი აღმზრდელი. კრუხივით დაგვფოფინებს, ერთი ფეხით კოჭლი, გაუთხოვარი, ლამაზი... არ გამოტოვა ქალაქში თეატრი, ყველგან მოგვატარა.

აი, ახლაც ოპერაში მივდივართ. მართლაც, საოცრებათა სამყაროში ამოვყავით თავი ნახევრად გასამხედროებული დაწესებულებიდან, ჰუმანო კოლონიიდან. კიბეზე როგორც კი შევდგით ფეხი, მაშინვე შემიპყრო მღელვარებამ. ვეებერთელა ფერადვიტრაჟიანი კარი... ფოიეში შევლაგდით: ენა ჩაგვივარდა...

ერთმანეთს ახალგამოჩეკილი წიწილებივით ვეკვრით. გაშლას ვერ ვახერხებთ, ფეხს ფეხზე ვიდგამთ. ცოტათი მოვშინაურდით. აქ მოსული მაყურებლისგან საკმაოდ განვსხვავდებით — სად ისინი, სად ჩვენ: უმეტესობა ბარაკებში ვცხოვრობთ. მართალია, სულაც არ გვანაღვლებს, სად დავიძინებთ. მთავარია, წვიმამ არ დაგვასველოს, მაგრამ აქ სხვა მომენტია, ძმებო. ეს ოხერი ოპერაა! პირდაფჩენილები, გარეული მხეცებივით სიფრთხილით ვადგამთ ნაბიჯებს. ემანდ, ხაფანგი არ იყოს დაგებული. ესმა მასწი ჟანა დარკივით მიგვიძღვის პარტერისაკენ. ოროსნებიც და ხუთოსნებიც მორჩილი კრავებივით მივყვებით, თითქოს ვიღაცის უხილავი თვალი არ გვაძლევს გასაქანს, ილაზღანდარო, ქაღალდის თვითმფრინავი გააფრინო. ჯერ სად ვართ. გაფრენას გვანახებენ სცენაზე ისეთს, რომ შენი მოწონებული. სიფათები გვეღრიცება. ვცდილობთ, უნახაობა არ შევიმჩნიოთ. მამაძაღლი, მთლად ვერ ვახერხებთ მიღრეცილ-მოღრეცილი ისნის ტუფლებით, გაქუცული შარვლებით, სამმანეთიანი ბამბაზიის პერანგებით, ოცკაპიკიანი ყელსახვევებით.

როგორც იქნა, მეორე კარს მივადექით. კაპელდინერები, გრაალის მცველებივით დაფუსფუსებენ, ხელში პროგრამები უკავიათ. ერთი ცალი შევიძინეთ. პარტერში შევედით. აი, აქ კი საბოლოოდ „დაგვერხა“: დარბაზის მორთულობამ გაგვახარა. ორკესტრის ორმომ ბოლო მოგვიღო. ხარბად ვისუნთქავ აქაურ ჰაერს, გაჟღენთილს „იქორით“.

ორმოში მუსიკოსები სხედან, ემზადებიან. თითოეული ინსტრუმენტიდან მოფრინავენ ჰანგების ნაწყვეტები. ლამის შიგ ჩავვარდე და გავითქვიფო მუსიკის საფერავში; არა, რქაწითელში; არა, უფრო „მრავალჟამიერში“. დარბაზში უზარმაზარმა ჭაღმა ჩახჩახს უკლო, თანდათან ჩაქრა. ქანდარებ-

გაგრძელება მე-17 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

9-15 სექტემბერი 2015 | № 36 (300)

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## გზა ქაოსისაკენ

მე-16 გვერდიდან

ზე გაბნეული ბრები ჩაინავლნენ. მათ მაგივრად, უპირატესობა ხელთ იგდეს პროჟექტორებმა. მთელი ყურადღება ფარდისკენაა გადატანილი.

აი, ორმოდან ვილაც თმაგაჩეჩილი კაცი წამოიმართა, შემაღლებულზე დგას, ნახევარი ტანი მოუჩანს, შემოტრიალდა, თავი დაგვიკრა. იურიკამ ყურში მიჩურჩულა:

— მაინც, რა არი ოპერა, ტო, მაგრა ასწორებს. ხედავ, რა პაჩოტში ვართ, დირიჟორიც კი კაი ძმაკაცივით გვესალმება...

გული ამიჩქარდა. რა იქნება შემდეგ? — ეს თმაგაჩეჩილი დირიჟორი ჩემი მაესტროს გილდიიდანაა. ამ კაცმა ხელი ასწია. მთელი ორკესტრი გაისუსა. კიდევ ერთხელ აიქნია ვირტუოზულად ხელები, თითქოს ზეციდან წამოსული მუსიკის ჰანგები ხელის მუჭში მოაქცია. ხელი გაშალა და ორმოში, მუსიკოსებს შორის მიმოფანტა სხვადასხვა ინსტრუმენტში ციდან წამოსული ოლიმპოს ღმერთების საკვები.

ვოლტორნებმა, ჰობოებმა, სკრიპკებმა, კლარნეტებმა — რა ჩამოთვლის ამ ვირტუოზთა არმიას, მწყობრად, ისეთი ცეცხლი დაანთეს, ჩვენ სკამებს მიველურსმენით. ჰაიდაა, წავიდა სიმფონიური „მუღამათი“. ასე მგონია, ჰაერში ავიჭერი, მერე ისევ ძირს დავენარცხე. ღონეს ვიკრებ. ისევ ზევით მივიწევ. თვალებით ფარდას ვბურღავ. იქით რა ხდება, ნეტავ? შესავალი დამთავრდა. პატარა პაუზა. დირიჟორმა, თავისი ჯადოსნური წკეპლით, ისევ მოუხმო მუზების ლაშქარს. ფარდა შეირხა, გახსნა დაიწყო. ჩვენ თვალწინ გადაიშალა სცენა მთელი თავისი დიდებულებით — ლამაზად გაწყობილი დეკორაციები, მომღერალ-მსახიობები. დაიწყეს მოქმედება სიმღერით, გალობით, ცეკვა-თამაშით. რითი აღარა კიდევ, ნუ მაწვალებთ, მეტი აღარ შემიძლია. ადექით და ერთხელ მაინც მიდით ოპერაში. ვისლა ახსოვს, ჯიბეში მზესუმზირა, წინდაში დამალული სიგარეტის „ბიჩოკი“. თვალი გოგონებისკენ გავაპარე. ისეთი სურათი დავინახე, სიზმარშიაც ვერ ვნახავდი და წარმოდგენითაც ვერ მოვიფიქრებდი. გინდაც მომკალით. საიდან, რა მანქანებით, ან რამ მოაფიქრათ, ეშმაკზე ერთი დღით ადრე გაჩენილებს: მარაოები უკავიათ ხელში, გულისყურით უსმენენ აბესალომის ნამღერ არიას. ისეთი გაფაციცებული იერი ადევთ, გეგონებათ, მათი წინაპრების ათი თაობა ოპერაში იყოს გაზრდილი; ხოლო ერთ-ერთი მათგანის ბებია ფალიაშვილს ეხმარებოდა პარტიტურის შედგენაში.

პირველი მოქმედება დამთავრდა. ოპერით, დარბაზით, სცენით ისედაც „დაბრედილი“ ვარ. გაჩხიკულმა მზექალამ, რა მანქანებით არ ვიცი, თეატრალური ბინოკლი რომ „გაჩითა“ და ჭალის თვალიერება დაიწყო, თან გვერდზე მჯდომ ბაბულიას, როგორი რევერანსით ჩაუფრანგულა, „შარმონ მადმუაზელ დე ბაბულო“ თუ ამდაგვარი, საერთოდ ენა ჩამივარდა, მეტყველების უნარი დავკარგე.

როგორც იქნა, დამთავრდა წარმოდგენა, რომლის უშუალო მონაწილენი ჩვენც ვართ. გარეთ გამოვედით. მინდა, ისევ უკან შევბრუნდე. იქ ვიცხოვრო... მთელი სიცოცხლე თუ არა, ერთი თვე მაინც. არ შევაწუხებ არავის. რასაც დამავალებთ, ყველგან გაგეგზავნებით. თავისუფალი ადგილი თუ არ იქნება, ფეხზე ვიდგები, სულაც, მუსიკოსების ორმოში ვიჯდები. იქიდან მოვუსმენ და შევხედავ სცენას.

გარეთ ავტობუსი გველოდება, „ბავშვები“ აწერია. ჩავსხედით ამ ავტობუსში, წავედით სკოლისკენ. ჭირის დღესავით არ მინდა ინტერნატში. კარგი იქნებოდა, პირდაპირ პაპასთან წავეყვანე ავტობუსს, ვენახთან ჩამოვესვი. შევვარდებოდი, იქვე, ვაზის ძირში მოვუყვებოდი მისხალ-მისხალ ნანახს. ყურადღებით მომისმენდა. პაპას მეტი ვინ მოგისმენს ამ ქვეყანაზე, აბა, ერთი მითხარით? თავს დამიქნევდა, ყველაფერში დამეთანხმებოდა, კიდეც შემაქებდა. მერე, ისევ ვიმღერებდით „შენ, ბიჭო, ანაგურელო“-ს. თუ შევატყობდით, კარგად გამოგვივიდა, ახალსაც მივუმატებდით — „დამისხი, დამალევინე, ეს ღვინო ოხერ ტიალი“. ეეჰ, კარგია — ჯერ ოცნებას არ მიშლიან.

სკოლის ეზოს შესასვლელთან დარაჯი ლაზარი ოვაციებით მოგვესალმა:



— ოპერადალეულებს, ჩვენი სალამიო...

ერთ მშვენიერ დღეს, ერთ არაჩვეულებრივ დღეს, არ დაიჯეროთ, არც დამიჯეროთ, დღე ბოროტია, დღევანდელი დღე განსაკუთრებით იმიტომ, რომ... იმიტომ. რაიონის განათლების განყოფილებიდან კომისია მობრძანდება. ჩვენ კლასში შემოვა, დაგვაფასებს თავისი არსებობით. დავწერთ თავისუფალ თემას: „ვინ მინდა გამოვიდე, როცა გავიზრდები, როცა სკოლას დავამთავრებ“. ძალიანაც არ გვეპიტნავება ჩვენს თავზე ასეთი საცდელი ექსპერიმენტი. შევჩოჩქოლდით. აბა, ვის სიამოვნებს, თუნდაც ჭამისას თავზე რომ დაგადგებიან. ლუკმა ყელში გადაგცდება. დედის მუცლიდან ვიშვით უკვე. ესე იგი, გამოვედით. ნეტავი, ამათ რისთვის სჭირდებათ ორ-სამ ფურცელზე დაწერილი ჩვენი აღსარება, ვინ ვართ და რანი გავხდებით — საიდან გვეცოდინება. აჯობებს, მკითხავ აბესთან მიგვიყვანონ, სამ მანეთად, რასაც გინდა იმას გეტყვის. ცოტათი შევშინდით. განსხვავებული ბავშვები ვართ. ასეა თუ ისე, გისოსებიდან ვიყურებით. ჩვენი უპირველესი ნატვრაა, ვიდრე გავარკვევთ, რანი გავხდებით, დროზე გავასწროთ აქაურობას. სახლის, შინაური გარემო გვწყურია. ცოტათი გვშურს შინ დარჩენილი დედმამიშვილების. ცოტათიც ვბრაზობთ, გული გვწყდება. მაინცადამაინც, ჩვენ გაგვიმეტეს...

სულში ნაპერწკალმა იელვა, გაღვივდა, აგიზგიზდა, მოუსვენრობა დაგვეტყო. პროტესტისმაგვარი დაიბადა ჩვენ გულებში. წინააღმდეგობა რის წინააღმდეგ, თვითონვე ვერ გაგვიგია. ერთმანეთს შევციცინებთ თვალებში. აბა, ვის ეყოფა გამბედაობა, ვინ მოიფიქრებს, ვინ იტყვის პირველად სანუკვარ სიტყვას: „შატალო!“ ამხელა ოყლაყები ვართ. შატალო არ ვიცით, როგორია, რა ფერისაა, ტკბილია თუ მწარე, თეთრია თუ შავი. ღირს ეს ჩიტი „შატალო“ ბრდღვნად? თავისუფალი სკოლის ბავშვები, რომლებიც აცდენენ გაკვეთილებს და შატალოზე დაიარებიან, თანატოლების უმრავლესობაში პატივისცემას იმსახურებენ. მე თუ მკითხავთ, დიდი ვერაფერი ბედენაა აღმა-დაღმა უმიზნოდ ხეტიალი. მუდმივად იმალები, ისეთ ადგილებში მიიძურწები, სადაც ბნელა. განა, ღამეა და უკუნი? — უბრალოდ, არ გინდა, ნაცნობს გადაეყარო, თანაც ისეთ ნაცნობს, რომელსაც უბნის ინსპექტორი ჰქვია. ერთხელ თუ გამოგიჭირა, კარგ საქმეზეც მიდიოდე, სულ ტყუილია, რამდენიც უნდა იფიცო დედა, არ დაგიჯერებს. თვალში ამოგიღებს, ისეთი სიტყვებით გაგიმასპინძლდება, სიტყვას შეუბრუნებ, თავს ვერ შეიკავებ. თუ მშობელსაც გადასწვდება, მით უარესი შენთვის. გასართყმელადაც გაიწევ. აი, აქ კი მეყოლე ვარდივით. შენი საქმე წასულია. მცირე გამონაკლისის გამოკლებით, მთელ ცხოვრებას გაგიმწარებს. ჩვენი მხარეც არაა მამა აბრამის ბატკანივით. ზოგიერთები ისეთი ბაცნები არიან, თითქოს ტყეში იყვნენ, ჯიბით დანას ატარებენ, მშიშრები და არაფრისმაქნისები. თუ დროზე მოეგებიან გონს, კარგია. თუ არა, დიდობაში, საკუთარი თავის გამოჩენა უჭირთ. აი, მე კლასში ვზივარ. სულ შატალოზე ვარ, აბა, რა ჯანდაბა?! ეს გონებრივი შატალოა. საგარეო შატალოს რა უნდა. მიიკარი გულზე წიგნი. გარეკანზე წარწერით „ვ. ლ. ლენინი“, ყველას დასანახად. ხელს არავინ გახლებთ. თუ გაკადნიერდებით და მეტყვით, ლენინის დრო წავიდაო, ვერ მოგართვით. ყველა ეპოქას თავისი ლენინი ჰყავს. კერპების სახელებშია განსხვავება, მეტი არაფერი. ბედნიერი და ლაღი, თავისუფალი ცხოვრების პირობას ყველა უანგაროდ იძლევა. სამაგიეროდ, ბევრს არც ითხოვენ. ძეგლებს, რომლებსაც მშვიდობის მტრედები ფეხსალაგად იყენებენ. წყალი არ გაუვა, ასეა...

მთელი კლასი ვემზადებით შატალოზე წასასვლელად. არც იმდენი საშუალებაა, სათითაოდ ავიკრათ გულზე ლენინის წიგნები. უმიზნოდ ხეტიალს დიდი გამოცდილება სჭირდება. ქაოსს ნუ ეხუმრებით. ჩემი და თომას გადასაწყვეტია ეს საქმე. ჩვენგან ელიან სეფე სიტყვას. საკუთარ ტყავს უფრთხილდებიან. არაა ადვილი ბელადობა, ბაბაია. მე და თომა, ვინაიდან საპატიო დაფაზე ვართ გამოჭიმულები, როგორც წარჩინებული გვამები (მატყუარები, ასე ვთვლი), თავი კლასგარეშე ლიტერატურითა გვაქვს გამოჭედილი. დისიდენტობაც „აგვკიდეს“. კოლექტივმა ასე ინდომა. გვაიძულა, ჩვენ გვეთქვა. ჩვენც, ვთქვით ყველას სათქმელი: „მივდივართ! ვაცდენთ გაკვეთილებს!“ ახლა იწყება თავდავიწყება. საშიში და ბურუსიანი. ვინც ახლა, ამ სტრიქონებს კითხულობთ, წარმატებები გვისურვეთ. თქვენგან რა წავა, ფულს ითხოვს თუ წყალს...

ვცმუკავთ, გვიხარია ჩვენი არჩევანი. საჭიროა სწრაფი მოქმედება, თორემ საცაა, მასწი ზედამხედველებით აივსება აქაურობა. ხელფასს ტყუილ-უბრალოდ კი არ აძლევენ, ჩვენ ნება-სურვილზე გვატარონ. ისევ და ისევ, აქ დამკვიდრებულმა შინაგანაწესმა გვიკარნახა გამოსავალი: მე და თომამ შემოვიტანეთ წინადადება:

— მწკრივში მოვეწყოთ, სიმღერით გავიდეთ თავისუფლებისკენ.

აქ, ჩვენთან წესია ასეთი: პირველიდან მერვე კლასამდე ორ-ორი, ხელიხელჩაკიდებული დავეწყობით. წინ ჩვენი რიგებიდან არჩეულ-დანიშნული, კუნთმაგარი და გონებაჩლუნგი მამასახლისი დგას. სადაც უნდა წავიდეთ — სასადილოში, საძინებელში, კლუბში, გადაადგილების ასეთი მასტურბაცია წესია, რომელიც ყელში გვაქვს ამოსული. ყველანაირი გზებით ვცდილობთ მის დამარცხებას. დახეთ! ბედის მწარედ დაცინვას. ამჟამად, ეს საძულველი შიდაგანაწესი გვეხმარება ჩვენი მზაკვრული განზრახვის განხორციელებაში, „ზოგი ჭირი მარგებელია“-ს ფონზე. დილის საუზმე ფართხაფურთხით ჩავათავეთ. მღელვარებისაგან ნახევარი კლასი ცხელი ჩაით დაიფუფქა. გამოვედით თუ არა სასადილოდან, ბატებივით შევქუჩდით. ხელი-ხელს ჩავკიდეთ. გეზი მთავარი საპარადო გასასვლელისკენ ავიღეთ — მესერზე ფორთხვას ასე გვირჩევნია, უფრო ინტელექტუალურია. თომამ წინადადება შემოიტანა:

— გადავდივართ გეგმა ბ-ზე. სიმღერა დავცხოთო.

ჩვენც შემოვცხეთ ომახიანი ბატყიყურა:
„მოვდივართ ერთად, მხნე სიმღერებით,
მაღლა გვიჭირავს დროშა დიდი,
სიხარულის და ბედნიერების. ვართ
განთიადი. პარტიამ მოგვცა ეს მომავალი,
ეს ბედნიერი ახალგაზრდობა. იმას
ვუმღერით, ჩვენი სალამი, ჩვენი მადლობა...“

სიმღერ-ყიყინით გავიარეთ ეზო. გზად გვხვდებიან სამუშაოზე მომავალი მასწები. მოწონებით გვიკრავენ თავებს. სკოლის დარაჯმა თვალი შეგვავლო. გულში ეჭვადაც არ გაუვლია, რა შეთქმულებასაც ჰქონდა ადგილი. თავისი ხელით გააღო ჭიშკარი. გაიჭიმა, სამხედრო სალამი აგვიღო. რას იფიქრებდა ამხელა კაცი, მისივე სიტყვები რომ მოვიშველიო, რომლის საფლავის ღობეც სამჯერ უნდა იყოს გადაღებილი, ასე თუ გაცუცურაკდებოდა. ეზოდან მშვიდობიანად გავედით. მარჯვნივ წასვლა ხელს არ გვაძლევს — იქიდან ავტობუსებს ზედამხედველები მოჰყავს. მარცხნივ, აფრიკისკენ წავედით. სახელწოდება ისეთი აქვს ამ დასახლებას, ძალაუნებურად, ბანანები და ქოქოსის პალმები გაგახსენდება. ცნობისმოყვარეობის გამო, ერთხელ მაინც ეწვევი, იქნება და, მართლაც, აფრიკაა. ერთი რამ შემიძლია დანამდვილებით მოგახსენოთ: მაიმუნები და გორილები „გაიჩითნენ“ ჩვენი სახით.

სკოლა თვალს მიეფარა. დავრჩით პირისპირ რეალობასთან. რაზმი აირ-დაირია. გაჩერებაზე შევქუჩდით. მგზავრების სიჭრელეა. მიხვდნენ, შატალოზე ვართ. ზოგი იცინის. ზოგი გვამუნათებს, თავებს აქნევენ, გულისტკივილით ამბობენ:

— ეს რა ახალგაზრდობა წამოვიდა. აფსუს, ვის უტოვებენ ამხელა ქვეყანას, აწყობილს საათივით, ქვიტკირის კედელივით შედუღაბებულს.

დროა, აქედან გავასწროთ, თორემ საქმეს ისეთი პირი უჩანს, სიტყვებით ხომ დაგვსეტყვეს, ვიდრე ვილაც გადარეული ქვას წამოავლებს ხელს და ჩვენკენ გამოისვრის, გაცლა სჯობს. ჩვენი საქციელის გამო, წმინდანებად არ შეგვრაცხავენ. არ ღირს, გაჩერებაზე დავეცეთ. ბრძოლის ველი გვირჩევნია.

გზას გავუყევით. ხელისგულზე ვართ. ძაღლი, მამაძაღლი გვამჩნევს. დიდი მკითხაობა არ უნდა, ბავშვიც კი მიხვდება, ყველას თვალში ვეჩხირებით. საზოგადოებრივი წესრიგი ირღვევა. მუშა — ქარხანაში, ბავშვი — სკოლაში, პროფესორი — ინსტიტუტში, ლოთი — სასადილოში. რა ვქნათ, ჩვენი არსებობა რითი გავამართლოთ.

რა იქნება შემდეგ?

ჯანგირამ ტატო მოიშველია: „წარვედ, მტკვრის პირსა სევდიანი ფიქრთ გასართველადო“. მარჯვნივ, ვიწრო ბილიკისაკენ გადაუხვია. დანარჩენებიც მივყევით. ჩავუარეთ პატარა ეზოიან სახლებს. ჩვენს დანახვაზე მხოლოდ ეზოს ფინიები გამორბიან, გვიყეფენ, კუდს აქიცინებენ, ჩვენც თან წაგვიყვანეთ, ხელს არ შეგიშლითო.

ჩავედით დედა მდინარის ნაპირზე. პატარა მდელოზე წამოვგორდით, თვალები ზეცას მივაბჯინეთ. რა დროს არ გვასხია ფრთები?! — მთებს შემოვივლიდით, ალაზნის ველსაც ვეწვეოდით, გულს ვიჯერებდით, ბეთლემს გავფრინდებოდით, ქრისტე ღმერთს ვნახავდით. იქიდან დაბრუნებულები, წელან რომ გაჩერებაზე მგზავრები იდგნენ, იმათ, პირველ რიგში, მერე კი, ყველას, დაგიბრუნებდით, რაც წლები დაგიკარგავთ. მხოლოდ იმ პირობით, თუ არ ჩაგვქოლავთ.

მართლაც და, რა კარგია მტკვარი! — გავიფიქრე თუ არა, ჟორიკამ წამოიბღავლა — ყველა, ყველაა, მაგრამ სადილად ბალახი ვჭამო, დესერტად ეს მღვრიე წყალი მივაყოლო, რომელი საქონელი გახლავართო. სევდიანი თვალებით, ინტერნატის მხარეს მიატრიალა გასიებული გოგრა. ფრთები დაგვცვივდა. მწარე რეალობა წინ დაგვიდგა, მთელი თავისი ავლადიდებით. სახლებში ვერ წავალთ — იქ არავინ გველოდება. შაბათ-კვირამდე ჩვენი კვება არ შედის განრიგში. ოჯახის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს. გზის ფულიც არ გვაქვს. მართალია, ავტობუსებიდან კონდუქტორები მოხსნეს, სალარო აპარატებია. იმის ოსტატებიც გვყავს კლასში, აპარატიდან მთელ გორგალს ისე ოსტატურად ამოწაპნიან, თქვენი მოწონებული, მაგრამ ისევ და ისევ, არ გვასვენებს შეკითხვა: რას იტყვი სახლში? მაგასაც თავი დავანებოთ, ნახევარზე მეტი სოფლიდანაა. თავიანთი სოფლის ორღობე აღარ ახსოვთ. ქალაქის ქუჩების ცოდნა ხომ ზედმეტია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

№ 36 (200)
9-15 სექტემბერი 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“



## ალა პუგაჩოვა გაახალგაზრდავდა

რუსული ესტრადის უბერებელი დედოფალი, ალა პუგაჩოვა მუსიკალურ ფესტივალ „ახალ ტალღაზე“ გამოსასვლელად ემზადება, რომელიც წელს იურმალას ნაცვლად სოჭში გაიმართება. სწორედ ამიტომ, ალამ, როგორც იტყვიან, იმიჯი შეიცვალა: პუგაჩოვას სტილისტმა სოციალურ ქსელში მომღერლის ფოტო გამოაქვეყნა. ფოტო სახლის ზღურბლზეა გადაღებული. ალას მაკიაჟი არ აქვს, მაგრამ მაინც მშვენივრად გამოიყურება.

ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ პუგაჩოვამ 20 კილოგრამი დაიკლო და სახის კანი გადაიჭიმა.

## თინა კანდელაკს მანიაკი დასდევს

რუსეთში მოღვაწე ქართული წარმოშობის ტელევარსკვლავი, თინა კანდელაკი, როგორც თვითონ ამბობს, თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობს. „ნახევარი წელია, უცნობი ადამიანი მითვალთვალებს“, — ამბობს თინა და „ინსტაგრამზე“ მანიაკის ფოტოსაც აქვეყნებს.

ფოტოს მიხედვით, წვეროსანი უცნობი 45 წლისაა და თმა უკან აქვს გადავარცხნილი.

„კაცი ნახევარი წელია, მითვალთვალებს, რადგან თვლის, რომ ასტრალური კავშირი გვაქვს. უაზრობებს ბოდავს. ვიდრე თავდასხმის ფაქტი არ იქნება, თავდაცვა შეუძლებელია — უაზრობაა სადმე დავრეკო და საჩივარი დავწერო. ბრალს ვერ წავუყენებ. ამიტომ, ძვირფასო ნათესავებო, წაიყვანეთ ეს ავადმყოფი და გაუწიეთ დახმარება. მას აშკარად ესაჭიროება დახმარება“, — წერს სოციალურ ქსელში კანდელაკი.

მას შემდეგ, რაც თინამ ზემოხსენებული განცხადება სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა, დახმარება ბევრმა შესთავაზა. ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებიც უცნობს დასახიჩრებით დაემუქრნენ.

სხვათა შორის, თინა ანალოგიური პრობლემის წინაშე ადრეც იდგა — 2008 წელს, სატელეფონო მანიაკი აწუხებდა. 2010 წელს კი, როგორც კანდელაკი ამბობს, „მერსედესი“ დაჰყვებოდა.

## ლედი გაგას ხორცის ტანსაცმელი დააკონსერვეს

ცნობილი დიზაინერის, ფრანკ ფერნანდესის მიერ საქონლის ხორცისგან დამზადებული შოკისმომგვრელი ტანსაცმელი, რომლითაც ცნობილი ამერიკელი მომღერალი, ლედი გაგა 2010 წელს „ემ-ტი-ვი“-ს დაჯილდოების ცერემონიალზე გამოცხადდა, ლპება. ამიტომ, ტანსაცმელი გაყინეს, პარალელურად, ქლორით, ფორმალინითა და სხვა ქიმიური ნივთიერებებით დაამუშავეს.

ლედი გაგას „დაკონსერვებული“ ტანსაცმელი ოჰაიოს შტატში, კერძოდ, ქალაქ კლივლენდის როკ-ენ-როლის დიდების მუზეუმშია გამოფენილი.

## 62 წლის მიკი რურკს 27 წლის მოცეკვავე შეუყვარდა

62 წლის ჰოლივუდელი მიკი რურკი ისევ შეყვარებულია — მისი რჩეული 27 წლის რუსი მოცეკვავე ირინა კორიაკოვცევაა.

„მიკი მოსკოვში გავიცანი. მერე, ნიუ იორკში ვესტუმრე“, — ამბობს მოცეკვავე.

შეგახსენებთ: 2009 წლიდან, ჰოლივუდელი რუს მოდელთან, 27 წლის ანასტასია მაკარენკოსთან მეგობრობდა და მასზე დაქორწინებასაც გეგმავდა.



ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

9-15 სექტემბერი 2015

№ 36 (300)



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

## არა-ჩვეულებრივი გვერდი





### ანჯელინა ჯოლის უცნობი ფოტოები

Zebra One Gallery-ის კოლექციას ახალგაზრდა ანჯელინა ჯოლის ფოტოები შეემატა, რომლებიც ცნობილმა ფოტოგრაფმა, ქეით გარნერმა 1995 წელს გადაიღო, მაშინ ანჯელინა 20 წლის იყო.

გალერეის მესვეურებმა, ანჯელინა ჯოლის მაცდურ ფოტოებს არცთუ მაღალი ფასი, 2 600 დოლარი დაადეს.

### პუტინის 1238-დოლარიანმა „სპორტულებმა“ მსოფლიო აალაპარაკა

რამდენიმე დღის წინ, ინტერნეტში ფოტოები გავრცელდა, რომლებიც სპორტულ დარბაზშია გადაღებული — რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, ვლადიმირ პუტინი და პრემიერი დიმიტრი მედვედევი ვარჯიშობენ. ვოვას, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი სპორტული ტანსაცმელი აცვია, თუმცა ფოტოებს სოციალურ ქსელებში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა — როგორც აღმოჩნდა, პუტინის „სპორტულები“ 1238 დოლარი ღირს.

საერთოდ, პუტინს რუსეთში მაჩოს იმიჯი აქვს — გარდა იმისა, რომ ფოტოები თევზაობის დროს და ცხენზე ამხედრებულს აქვს გადაღებული, ფოტოკამერების წინ წელსზევით შიშველი პოზირებს ხოლმე.

რაც შეეხება მედვედევის „სპორტულებს“, როგორც დასავლური მედია წერს, მაქსიმუმ, 42 დოლარი ღირს.

„როგორც იქნა, პუტინი გამოვიჭირეთ — ის 1488-დოლარიან შარვალს ატარებს... ობამა პუტინისგან მაგალითს აიღებს და იმიტომ, რომ პუტინი გახდეს, 1488-დოლარიან შარვალს იყიდის“, — ხუმრობენ ბლოგერები.წელს, სატელეფონო მანიაკი აწუხებდა. 2010 წელს კი, როგორც კანდელაკი ამბობს, „მერსედესი“ დაჰყვებოდა.

### ნიკოლა სარკოზის მამის რუსული ვნებანი

„მიყვარს რუსი ხალხი, აქაური სამზარეულო და რუსული არაყი“, — აცხადებს საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტისა და ამჟამად მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის, ნიკოლა სარკოზის მამა, პალ სარკოზი, რომელმაც მოსკოვში, პრეჩისტინკაზე მდებარე ზურაბ წერეთლის ხელოვნების გალერეაში საკუთარი ნამუშევრების გამოფენა გამართა.

სხვათა შორის, ნიკოლა სარკოზის მამა რუსეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრია. აკადემიის პრეზიდენტი კი, ზურაბ წერეთელი გახლავთ.

„მხატვრობაში, რომლითაც არცთუ დიდი ხნის წინ დავინტერესდი, ბევრი რამ ჩემი მეგობრისგან, ზურაბ წერეთლისგან ვისწავლე“, — აცხადებს პალ სარკოზი, რომლის შემოქმედების ძირითადი ნაწილიც ქალებს ეძღვნება.

„ჩემი ვაჟივით, ქალები ძალიან მიყვარს“, — ამბობს ექსპრეზიდენტის მამა, რომელსაც მეოთხე ცოლი ჰყავს.

### მარადონა ცოლად 24 წლის გოგოს ირთავს

როგორც დასავლური მედია იუწყება, არგენტინის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, დიეგო მარადონა დაქორწინებას აპირებს. მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდის რჩეული 24 წლის როსიო ოლივაა. მარადონა და როსიო ერთმანეთს ორი წელია, ხვდებიან.

მედიის ცნობითვე, მარადონას დაქორწინება რომში სურს, რათა ჯვარი თვით რომის პაპმა, ფრანცისკმა დასწეროს.

შეგახსენებთ: კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი არგენტინელია და საფეხბურთო კლუბ „სან-ლორენსოს“ გულშემატკივრობს.



ზურა მეგრელიშვილის ფოტო

## ჯანსულის სიცილნათელები

### დაღამდა
კვლავაც ბოროტთა თვე დგება,
გახსოვდეთ, არ გათენდება,
დრო-ჟამი მოდის ბოზური,
დრო გვიდგას ოდიოზური.

### აქეთ-იქით
ჩემი საქართველოს
ვითომდა პატრონი,
იყო და იქნება
მარადის ბატონი.
პუტინსაც ბევრი ჰყავს
ამ ერის მკვლელები,
ვნახოთ, რას იზამენ
ამერიკელები.

### გია ნოდიას!
ისე მოგვიჭრეს ფესვები,
ერს ბედი არ უწერია,
ვაჟა ფშაველას ლექსები
ალუდას დაუწერია.

### წვეროსან პარლამენტარს
წვეროსანო,
არ სთქვა, რატომ,
ადრე ჰგავდი ნაგავსა,
გახუნებულ
ტყავის პალტოს,
ნეტავ,
რამ დაგამსგავსა?

### გაყიდეს...
მტერი მიწას გვაყრიდეს,
ჩვენითაც ხომ ვიყრიდით,
საქართველო გაყიდეს,
ისევ ჩვენ თუ ვიყიდით.

### მაგისტრატურა
რომ დაამთავრებს
მაგისტრატურას,
დაეჯახება
მაგის „ტანკს“ ტურა.

### ბიძამისის ლექსი
„ნაციონალ“ ფაშისტების
ამბორო,
ილუპება
საქართველო ბედკრული,
მე, „კაგებე“-ს გენერალი
ვამბობ, რომ
მიშა, შენ ხარ
„კაგებესთან“ შეკრული!




თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი „არამიანცის“) მიმღები — „ემერჯენსი“

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ქაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით